საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის

III ანგარიში

მონიტორინგის პერიოდი: 2014 წლის მაისი - 2015 წლის ივნისი

SWEDEN

გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის

III ანგარიში

მონიტორინგის პერიოდი: 2014 წლის მაისი - 2015 წლის ივნისი

ანგარიში მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Sida-ს პოზიციას და ის არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

სარჩევი

გიგი (გიორგი) უგულავა, ვანო (ივანე) მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი . 8
გიგი (გიორგი) უგულავა და დავით კეზერაშვილი 27
გიგი (გიორგი) უგულავა, ალექსანდრე გოგოხია..... 41
გიგი (გიორგი) უგულავა, ალექსი თავბუაშვილი და სხვები (თბილისის განვითარების ფონდის საქმე) 53
ბაჩო ახალია, მეგის ქარდავა და სხვები (ნავთლუხის ეპიზოდი)..... 65
ივანე მერაბიშვილი, დათა ახალაია და სხვები 89
მიხეილ სააკაშვილი (ვალერი გელაშვილის ცემის საქმე)..... 106
მიხეილ სააკაშვილი (სახელმწიფო კუთვნილი ქონების გაფლანგვის საქმე) 107
მიხეილ სააკაშვილი (გირგვლიანის საქმე)..... 110
გიორგი ონიანი..... 112
ნიკანორ მელია, ზურაბ ადეიშვილი და სხვები (ბანკი ქართუს გაკოტრების საქმე) 124

2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდგომ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ყოფილი თანამდებობის პირების მიმართ, რამაც, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ გარკვეული ეჭვები გააჩინა პროცესის პოლიტიზირების შესახებ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ 2013 წლის თებერვლიდან გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგს ახორციელებს. ამ პერიოდში გამოქვეყნდა ორი ანგარიში. პირველი 2013 წლის თებერვლიდან ივლისამდე პერიოდს მოიცავს, მეორე კი 2013 წლის ივლისიდან 2014 წლის აპრილამდე პერიოდის დაკვირვებებს ეხება. ორგანიზაციის დამკვრვებლები ესწრებოდნენ სასამართლო სხდომებს და აღწერდნენ პროცესს შემდგომი შეფასების მიზნით. ანგარიშის მიზანია, ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობის და მხარეთა პოზიციების შესახებ, გამოვლინდეს პროცესუალური დარღვევები და გახმაურებულ საქმეებთან არსებული ტენდენციები.
წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2014 წლის აპრილიდან 2015 წლის ივნისამდე პერიოდს. დაკვირვება ხდებოდა 11 სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც ბრალდებულები იყვნენ წინა ხელისუფლების ყოფილი თანამდებობის პირები: მიხეილ სააკაშვილი, გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი, ბაჩანა ახალაია და სხვები.
„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მომავალშიც აპირებს გააგრძელოს გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი.
დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა შემდები ძირითადი ტენდენციები და ფატები:

აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული საკითხები

- ბრალდების მხარე ხშირ შემთხვევაში აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა, ზოგიერთი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენება პოლიტიკური მოტივების არსებობის შთაბეჭდილებას ტოვებდა. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო ზოგიერთ შემთხვევაში არ აკმაყოფილებდა პროკურატურის შუამდგომლობას აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე.

- ბევრ კითხვას აჩენს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენების არსებული პრაქტიკა. განსაკუთრებით პრობლემურია გიგი უგულავას მიმართ რამოდენიმე პატიმრობის გამოყენების საკითხი. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ზოგიერთ შემთხვევაში საეჭვოდ ემთხვეოდა ერთი ბრალდებულის მიმართ არსებული სხვა აღკვეთი ღონისძიების ვადის გასვლას.

რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ პროკურატურის მთავარ მიზანს იმ მომენტისთვის პირის პატიმრობაში დატოვება წარმოადგენდა.

- აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დღეს მოქმედი წესი იძლევა მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნული ხარვეზი პრაქტიკულ პრობლემად არაერთხელ გამოიკვეთა. მაგალითად, გიგი უგულავას წინააღმდეგ, რომელიც წელიწადზე მეტია იმყოფებოდა პატიმრობაში, ისე რომ მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი ჯერ არ დამდგარა, მის მიმართ განხორციელებული ქმედებათა ქრონოლოგია და აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე საკანონმდებლო ხარვეზის ბოროტად გამოყენება პროცესის პოლიტიკური მოტივებით წარმართვაზე მიანიშნებდა.

- პრობლემას გამოიკვეთა მიხეილ სააკაშვილის მიმართ გამოყენებული საპროცესო იძულების ღონისძიების ყადაღის გამოყენებისას. დარჩა შთაბეჭდილება რომ ბრალდებულთან დაკავშირებული პირების ქონებაზე ყადაღის დადების ფაქტობრივი (მტკიცებულებები) საფუძვლები არ იყო საკმარისი მათ ქონებაზე ყადაღის დასადებად.

მოწმეებთან დაკავშირებული საკითხები

- მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მოწმეთა განცალკევების საკითხი. როგორც წესი, საქმის განხილვისას ვერ ხერხდებოდა მოწმეთა ერთმანეთთან კომუნიკაციის სათანადოდ თავიდან აცილება. საქმეზე დაბარებული მოწმეები სხდომის დაწყებას დერეფანში ერთად ელოდებოდნენ და საუბრის შესაძლებლობა ჰქონდათ.

- პროცესის მანძილზე კითხვის ნიშნები ჩნდებოდა როგორც ბრალდების ისე დაცვის მხარის მოწმეების სანდოობასთან დაკავშირებით.

- რამდენიმე ბრალდებულმა მათ მიმართ კანონის დარღვევის შესახებ გააკეთა განცხადება. მათ მიერ გაჟღერებული ინფორმაცია აშკარად შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს. მნიშვნელოვანია, რომ მსგავს ფაქტებზე ხდებოდეს შესაბამისი რეაგირება.

საქმეთა განხილვის საჯაროობა

- საქმეთა განხილვისას მედია საშუალებებს არ შექმნიათ პრობლემა სხდომის აუდიო-ვიდეო ჩანაწერის გაკეთებისას, ისინი შეუფერხებლად ახდენდნენ მათთვის კანონით მინიჭებული უფლების რეალიზებას.

- რამდენჯერმე დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ყველა დაინტერესებულ პირს არ მიეცა შესაძლებლობა დასწრებოდა სხდომას. მიზეზი ზოგიერთ შემთხვევაში სხდომის დარბაზის სივიწროვე, ზოგ შემთხვევაში კი დამსწრეთა დიდი რაოდენობა იყო.

- პრობლემას წარმოადგენდა სასამართლოზე პირველი წარდგენის სხდომის საჯაროობა, რადგან სასამართლოს ოფიციალურ განრიგში ინფორმაცია სხდომის თაობაზე ყოველთვის არ ქვეყნდებოდა. მონიტორინგის ჯგუფი მედია საშუალებებით ცდილობდა ინფორმაციის მოძიებას სხდომის შესახებ.

გონივრულ ვადაში გასამართლების უფლება

- კანონმდებლობით არ იყო დადგენილი გამოძიებისა და სასამართლოში საქმის წარმოების მაქსიმალური ვადა, კანონი მხოლოდ გონივრული ვადის სტანდარტს ადგენდა. დაკვირვებულ საქმეებში აღნიშნული სტანდარტი არაჯეროვნად გამოიყენებოდა, რაც, როგორც წესი, ბრალდებულთა ინტერესებს აზიანებდა. მაგალითად, ბრალდებულ გიგი უგულავას პირველი ბრალი 2013 წლის 22 თებერვალს წარედგინა, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უკვე 2 წელიწადზე მეტია მიმდინარეობს და არცერთ საქმეზე განაჩენი არ არის გამოტანილი. აღნიშნული პრობლემა გარკვეულწილად გადაჭრა 2015 წლის 8 ივლისის ცვლილებებმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებებმა, რომლის მიხედვითაც პირველი ინსტანციის სასამართლომ წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან 24 თვეში უნდა გამოიტანოს განაჩენი.

- დაკვირვებულ საქმეებში, როგორც ბრალდების ასე დაცვის მხარის მიერ რიგ საქმეებში ხდებოდა პროცესის ხელოვნური გაჭიანურება. პროცესის გაჭიანურების მცდელობა განსაკუთრებით დაუშვებელია პროკურატურის წარმომადგენელთა

მხრიდან, ამით ხდება ბრალდებულის სწრაფი მართლმსაჯულების განხორიციელების უფლების ცალსახა ხელყოფა. ყალბი მიზეზებით სხდომების ხელოვნურად გადადება პირდაპირ პროკურატურის, როგორც ინსტიტუტის, იმიჯს ლახავს და მისი საქმიანობის პოლიტიკურ მოტივებზე მიუთითებს.

- გიგი უგულავას საქმეში დაცვის მხარეს მიეცა საშუალება დაეყენებინა შუამდგომლობა გიგი უგულავასთვის მერის უფლებამოსილების აღდგენის თაობაზე. ვინაიდან გიგი უგულუვას მერის ვადა ისედაც მალე ეწურებოდა, ბრალდების მხარე შეეცადა, პროცესი უსაფუძვლოდ გაეჭიანურებინა. შედეგად, საქმის განხილვა ბრალდების მხარის პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზით რამდენჯერმე გადაიდო.

წესრიგთან დაკავშირებული საკითხები

- გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ სათანადოდ ვერ უზრუნველყო დარბაზში წესრიგის დაცვა. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი პრობლემა სისტემატიურ ხასიათს არ ატარებდა. ზოგიერთ შემთხვევაში მოსამართლემ დამრღვევი პირების მიმართ ჯარიმისა და სხდომის დარბაზიდან გაძევების ღონისძიებაც გამოიყენა.

- ხშირი იყო შემთხვევები როდესაც სასამართლო დარბაზში და შენობაში, ასევე სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე ხდებოდა დაპირისპირება. დარბაზში ადგილი ჰქონდა მოწმეების მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებებს. მოწმეებს შეურაცხყოფას ძირითადად ბრალდებულის ახლობლები აყენებდნენ, რაც შეიძლება ჩაითვალოს მოწმეთა მიმართ ზეწოლად და სასამართლომ მაქსიმალურად უნდა შეზღუდოს ამგვარი ქმედებები.

- რამდენიმე პროცესზე დარბაზში დამსწრე პირებმა მოსამართლეებს და პროკურორებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ადგილი ჰქონდა იყო დარბაზიდან აგრესიული, შეურაცხმყოფელი და უცენზურო გამონათქვამებიც.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

- დაცვის მხარემ რამდენჯერმე საქმეთა განაწილების პრობლემა წამოჭრა. აღნიშნული არაერთხელ გამხდარა სამოქალაქო სექტორის მხრიდან კრიტიკის

საგანი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ კვლავ მყარადაა დარწმუნებული, რომ საქმეთა განაწილების დღეს მოქმედი წესი ხარვეზიანია. იგი განჭვრეტადია და ამასთან შესაძლებელია გარკვეული მანიპულაციაც, რაც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. იგი რეალურად იძლევა შესაძლებლობას წინასწარ განისაზღვროს თუ რომელი მოსამართლე რომელ საქმეს განიხილავს. საქმეთა განაწიელბის პრობლემაზე საუბრობდა ასევე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს სასამართლო პროცესების მონიტორნგის ანგარიში.

- პროკურატურის მიუკერძოებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალურობის შესახებ ნეგატიური საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას პირველ რიგში ხელს უწყობს რიგი თანამდებობის პირების კომენტარები, რომლებიც პროკურატურის იმიჯის დაზიანების გარდა, პირდაპირ და უხეშად არღვევდნენ უდანაშაულობის პრეზუმფციას. თანამდებობის პირების კომენტარებმა, რომლებიც მიმდინარე გახმაურებულ პროცესებსა და მათში მონაწილე ბრალდებულებს შეეხება, შესაძლოა, სასამართლოზე ნეგატიური გავლენა მოახდინონ.

გიგი (გიორგი) უგულავა, ვანო (ივანე) მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი

I. ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრისა და ჩამორთმევის ეპიზოდი
II. მთაწმინდის პარკის ჩამორთმევის ეპიზოდი
III. რუსთავის მეტალურგიული ქარხანის ჩამორთმევის ეპიზოდი
IV. 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის ეპიზოდი

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

გიგი (გიორგი) უგულავა (თბილისის ყოფილი მერი) - სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება, დახმარება გაფლანგვაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით *(მთაწმინდის პარკის ქონების გაფლანგვის ეპიზოდი)* და დახმარება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რასაც ახლდა განსაკუთრებით დიდი შემოსავლის მიღება *(ტელეკომპანია* „იმედის“ *ეპიზოდი).*

ივანე მერაბიშვილი (შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი) - სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით *(ტელეკომპანია* „იმედის“, 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის ეპიზოდი *და მთაწმინდის პარკში შეჭრის ეპიზოდები).*

დავით კეზერაშვილი (თავდაცვის ყოფილი მინისტრი) - სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება (2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის ეპიზოდი, ტელეკომპანია „იმედისა“ და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ეპიზოდები), უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობის შემოსავლების მიღება (ტელეკომპანია „იმედის“ ეპიზოდი).

ზურაბ ადეიშვილი (ყოფილი მთავარი პროკურორი, შემდგომ იუსტიციის მინისტრი) - სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით *(ტელეკომპანია„იმედის“, 2007 წლის ნოემბრის ეპიზოდები).*

მიხეილ სააკაშვილი (საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი) - სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით (2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის ეპიზოდი, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის და არკადი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდება).

2. რით გამოიხატა ქმედება

ტელეკომპანია იმედის, მთაწმინდის პარკისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჩამორთმევის ეპიზოდები

ბრალდების თანახმად, 2006-2007 წლებში ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით ხშირად გადაიცემოდა ხელისუფლების კრიტიკის შემცველი სიუჟეტები, რაც ნეგატიურად მოქმედებდა იმდროინდელი მმართველი გუნდის რეიტინგზე, ამიტომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, დაგეგმეს ტელეკომპანია „იმედის“ ხელში ჩაგდება. მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო არკადი პატარკაციშვილისა და მისი ოჯახის დევნა და შევიწროება. საბოლოოდ, ზეწოლისა და დაშინების გზით პატარკაციშვილების ოჯახს ჩამოართვეს ტელეკომპანია "იმედი".

ხელისუფლებამ პატარკაციშვილების ოჯახს ჩამოართვა მთაწმინდის პარკიც. კერძოდ, 2007 წლის 7 ნოემბერს, რუსთაველის გამზირზე მომიტინგეთა დაშლის პარალელურად, შს მინისტრის დავალებით მთაწმინდის პარკის ტერიტორიაზე, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეიჭრნენ შსს შეიარაღებული სპეცრაზმელები და ტერიტორიიდან უკანონოდ გამოაძევეს პარკის თანამშრომლები. იმავე დღეს, თბილისის მერიაში ჩატარდა პრესკონფერენცია, რომ თითქოსდა შპს „ლინქსი“ [1] არ იხდიდა მთაწმინდის პარკის იჯარის თანხას, რის გამოც თბილისის მთავრობამ შპს „ლინქსთან“ სრულიად უკანონოდ, ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება მაშინ, როდესაც პატარკაციშვილის კუთვნილი კომპანია (შპს „ლინქსი“) პირნათლად ასრულებდა ყველა

[1] მთაწმინდის პარკის მესაკუთრე კომპანია, რომელიც ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნოდა.

აღებულ ვალდებულებას და იმ მომენტისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის არანაირი საფუძველი არ არსებობდა.

პროკურატურა ბრალდებულებს პატარკაციშვილების ოჯახისთვის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჩამორთმევასაც ედავება. ბრალდების თანახმად, ზეწოლისა და დაშინების შემდეგ, ფიქტიურად გაფორმებული ხელშეკრულებების შედეგად, პატარკაციშვილების კუთვნილი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ქონება დავით კეზერაშვილის ოფშორული კომპანიის საკუთრებაში მოექცა. კერძოდ, დოკუმენტები ისე გაფორმდა, თითქოს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მესაკუთრე კომპანიას დავით კეზერაშვილის ოფშორული კომპანიის ვალი ჰქონდა. შემდეგ კი, აღსრულების ეროვნული ბიუროსა და სასამართლოს ჩარევით, ვალის გაქვითვის საფუძვლით, ქარხნის ქონება დავით კეზერაშვილის ოფშორული კომპანიის საკუთრებაში გადავიდა.

2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის ეპიზოდი

ბრალდების თანახმად, 2007 წლის 4 ნოემბერს, მიხეილ სააკაშვილის დავალებით, შსს-ს შენობაში, ივანე მერაბიშვილის კაბინეტში გაიმართა საგანგებო თათბირი, რომელსაც თავად ივანე მერაბიშვილი ხელმძღვანელობდა. თათბირს ესწრებოდნენ იმჟამინდელი გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი დათა ახალაია, თბილისის მერი გიგი უგულავა და გუბერნატორები.

ივანე მერაბიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარე თათბირზე გადაწყდა, რომ შეედგინათ საპროტესტო აქციებში მონაწილე პირთა სია, რომელთა მიმართ უნდა განხორციელებულიყო დაშინება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა და ცემა. სხვადასხვა გზით, მათ შორის ნარკოტიკების ჩადებით, საპროტესტო აქციებში მონაწილეთა დაპატიმრებაც უნდა მომხდარიყო. ბრალდების თანახმად, შეხვედრაზე გადაწყდა ისიც, რომ ოპოზიციის მხარდამჭერი ბიზნესმენებისთვის უნდა „მიეხედა“ ფინანსური პოლიციის ყოფილ უფროსს და იმჟამად თავდაცვის მინისტრს დავით კეზერაშვილს.

პროკურატურის თანახმად, თათბირზე ივანე მერაბიშვილის მიერ გაცემული დავალება - ადამიანების დაშინების, ცემისა და დაპატიმრების შესახებ - სისრულეში მოყვანილ იქნა 2007 წლის 7 ნოემბერს. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ აქციის დარბევის შესახებ გაცემული დანაშაულებრივი ბრძანების საფუძველზე,

რუსთაველის გამზირზე და რიყის მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდამცავებმა მომიტინგეები დაარბიეს.

ტელე იმედში შეჭრის ეპიზოდი

ბრალდების თანახმად, ამავე დღეს (2007 წლის 7 ნოემბერს), დასახული გეგმის შესაბამისად, ტელეკომპანია იმედის შენობაში ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სრულიად უკანონოდ, შეიჭრა შსს-ს სპეციალური დანიშნულების რაზმი, რომელმაც დააზიანა ტექნიკა, გამორთო ტელეკომპანია ,,იმედის'' მაუწყებლობა და ტელეკომპანიის თანამშრომლები ცემით გამოაძევა შენობიდან.

ტელეკომპანია "იმედის" დარბევის შედეგად ტექნიკური საშუალებების დაზიანების, დაკარგვის და მიუღებელი შემოსავლის სახით ტელევიზიის ზიანმა 3 158 307 ლარი შეადგინა .

3. მნიშვნელოვანი გარემოებები/ფაქტები

საქმის განმხილველმა მოსამართლემ საქმის სირთულიდან გამომდინარე - ბრალი ედებათ უმაღლესი თანამდებობის პირებს, საქმე იყო მოცულობით დიდი და რეზონანსული - მიიღო გადაწყვეტილება, საქმე განეხილა მოსამართლეთა კოლეგიურ შემადგენლობას, კერძოდ სამ მოსამართლეს. მომდევნო სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ კოლეგიური შემადგენლობის ერთ-ერთი მოსამართლის ძმას ჩატარებული ჰქონდა საქმეში ერთ-ერთი საგამოძიებო მოქმედება, ამიტომ აღნიშნულმა მოსამართლემ დააყენა თვითაცილება.[2]

აღნიშნულ საქმეზე საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილსა და ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს ბრალდება დაუზუსტდათ, დავით კეზერაშვილს, ზურაბ ადეიშვილსა და გიგი უგულავას - დაუმძიმდათ. **ბრალის დამძიმებამ კი გიორგი უგულავას მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნის საშუალება მისცა პროკურატურას**. ამ პერიოდში, გიგი უგულავა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის საქმეზე უკვე იმყოფებოდა პატიმრობაში.

[2] აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საანგარიშო პერიოდის შემდგომ

აღსანიშნავია, რომ ბრალდების მოთხოვნით, აღნიშნული საქმიდან ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის საქმე გამოიყო. მოგვიანებით კი, კვლავ ბრალდების შუამდგომლობით, საქმეები ისევ გაერთიანდა. დაცვის მხარის მტკიცებით, აღნიშნული განზრახ განხორციელდა, რომ საქმე პროკურატურისთვის მისაღებ მოსამართლეს განეხილა.

აღსანიშნავია ისიც, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით გიგი უგულავასთვის პატიმრობის შეფარდების საკითხი სასამართლომ კვირა დღეს განიხილა. დაცვის მხარის მტკიცებით, კვირა დღეს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის განხილვა განპირობებული იყო იმით, რომ საქმე პროკურატურისთვის სასურველ მოსამართლეს განეხილა.

საქმის სასამართლოში განხილვის პროცესში, დაცვის მხარემ აღკვეთი ღონისძიების შეცვლის თაობაზე დააყენა შუამდგომლობა. დაყენებული შუამდომლობის განხილვა რამდენჯერმე გადაიდო.

აღკვეთი ღონისძიების შეცვლის თაობაზე შუამდგომლობის დაყენების შემდეგ, ერთ-ერთ სხდომაზე პროკურორმა წარადგინა შუამდგომლობა სხდომის ათი დღით გადადების თაობაზე იმ მიზეზით, რომ მას გამოძიების ეტაპზე საქმეში მონაწილეობა არ მიუღია და საქმეს არ იცნობდა.

ერთ-ერთ სხდომაზე, როდესაც ივანე მერაბიშვილი პოლიტიკურ განცხადებას აკეთებდა, მოსამართლემ მას მიკროფონი გამოურთო, რასაც დარბაზიდან მოსამართლის მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებები მოჰყვა. მოსამართლემ წესრიგის დაცვის მიზნით სხდომა დახურა. მოგვიანებით სხდომა კვლავ გაიხსნა.

მოსამართლემ გიგი უგულვას დამცველებს მოუწოდა, თავი შეეკავებინათ პოლიტიკური შეფასებებისგან და არ გასცდენოდნენ საქმის ფარგლებს, რასაც დამცველებსა და მოსამართლეს შორის მცირე შელაპარაკება მოჰყვა.

4. აღკვეთის ღონისძიება

თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, იუსტიციის ყოფილ მინისტრს ზურაბ ადეიშვილსა და თავდაცვის ყოფილ მინისტრს დავით კეზერაშვილს დაუსწრებლად აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

თავდაპირველად, გიგი უგულავასა და ვანო მერაბიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით პროკურატურას სასამართლოსთვის არ მიუმართავს, ვინაიდან ყოფილ მერს უკვე შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა, ხოლო ვანო მერაბიშვილი მსჯავრდებული იყო სხვა საქმეზე და უკვე პატიმრობის სახით იხდიდა სასჯელს. აღკვეთი ღონისძიების მოთხოვნით სასამართლოს პროკურატურამ მოგვიანებით მიმართა, როდესაც გიგი უგულავას ბრალი დაუმძიმდა.

> შენიშვნა: პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ ინტერპოლის გენეალურმა სამდივნომ უარი თქვა მის წინააღმდეგ საერთაშორისო დევნის გამოცხადებაზე. უარის თქმის საფუძველი იყო პოლიტიკურად მოტივირებული სისხლისსამართლებრივი დევნის საფრთხე. [3]

აღკვეთი ღონისძიების მოთხოვნა ბრალის დამძიმების შემდგომ:

მას შემდეგ, რაც პროკურატურამ გიგი (გიორგი) უგულავას ბრალი დაუმძიმა, [4] ბრალდების მხარემ სასამართლოს აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნით მიმართა.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლად ბრალდების მხარე მიუთითებდა , რომ არსებობდა ბრალდებულის მიმალვის, სასამართლოში არგამოცხადების, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების ან ახალი დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი. ბრალდების მხარის მტკიცებით, გიგი უგულავა გავლენის, ფართო სანაცნობო წრისა და პოლიტიკური/ფინანსური რესურსების გამოყენებით, თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში ზეგავლენას მოახდენდა მოწმეებზე, რითაც ხელს შეუშლიდა მართლმსაჯულების განხორციელებას. აღნიშნულის დასაბუთებისას

[3] დამატებულ იქნა მიხეილ სააკაშვილის დამცველების შენიშვნების მიხედვით.

[4] http://pog.gov.ge/geo/news?info_id=654

პროკურატურა უთითებდა კონკრეტულ ფაქტებზე. პროკურატურა, ასევ,ე მიუთითებდა იმ შემთხვევებზე, როცა მოწმის სახით საგამოძიებო ორგანოში დაბარების მიუხედავად, გიორგი უგულავამ ოფიციალურად განაცხადა უარი გამოცხადებაზე. აგრეთვე, პროკურატურის აზრით, ის ფაქტი, რომ გიორგი უგულავას ახლო გარემოცვის წევრები, რომლებიც ბრალდებული არიან ამავე საქმეზე, თავს არიდებდნენ ქართულ მართლმსაჯულებას და იმყოფებიან საზღვარგარეთ, გიორგი უგულავას დამატებით აძლევდა შესაძლებლობას, თავისუფლების შემთხვევაში, დაეტოვებინა საქართველოს საზღვრები.

ბრალდებულის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ყველა წარდგენილ ბრალდებაში გიორგი უგულავა უდანაშაულოა და არ დაეთანხმნენ წარდგენილ შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე. დაცვის არგუმენტების თანახმად, საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს, ხელახლა პატიმრობის შეფარდებით კი ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუცია.
სასამართლომ წარმოდგენილი მასალებისა და შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მიიჩნია, რომ პროკურატურის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილებულიყო. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მასალებით უტყუარად დასტურდებოდა გიორგი უგულავას თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში საქმისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე მოწმეებზე შესაძლო ზემოქმედების მაღალი რისკი, რითაც განადგურდებოდა საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. სასამართლო არ დაეთანხმა ბრალდების მხარის არგუმენტებს გიორგი უგულავას მიერ ახალი დანაშაულის შესაძლო ჩადენის თაობაზე. აღნიშნა, რომ მის წინააღმდეგ აღძრულ არც ერთ სისხლის სამართლის საქმეზე არ არის სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული, დევნის დაწყება კი არ ნიშნავდა ახალი დანაშაულის ჩადენას. სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის არგუმენტი ბრალდებულის მხრიდან მიმალვის თაობაზე და მიუთითა, რომ მიმალვის რისკები რეალურად არსებობდა ბრალდებულის პიროვნებიდან და მისი ქმედებებიდან გამომდინარე, ის ფაქტი, რომ გიგი უგულავა საგამოძიებო ორგანოში დაბარების უწყების ჩაბარების შემდგომ ცდილობდა საქართველოს დატოვებას, შეფასდა, როგორც ბრალდებულის მიერ საგამოძიებო ორგანოსთვის თავის არიდება. ასევე, სასამართლომ აღნიშნა, რომ გიორგი უგულავასა და მისი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა და საერთაშორისო კავშირები, პატიმრობის გამოუყენებლობის შემთხვევაში, მისი მიმალვის ან სასამართლოში არგამოცხადების რეალურ რისკს ქმნიდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა.

5. პროცესის მიმდინარეობა

5.1. მნიშვნელოვანი შუამდგომლობები

ა. დაცვის მხარე:

1. დაცვის მხარემ აღკვეთი ღონისძიების შეცვლის თაობაზე შუამდგომლობა დააყენა. დაცვის მხარე აცხადებდა, რომ ახალი ეპიზოდი საქმეში რეალურად არ გამოვლენილა, თავდაპირველ და შემდგომ დამძიმებულ ბრალში ერთი და იგივე ფაქტობრივი გარემოებები იყო მითითებული. ამას გარდა, დაცვის განცხადებით, საქმეში პროკურატურას ახალი მასალა და მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. შესაბამისად, დაუშვებელია ხელახალი პატიმრობა იმ საქმის გამო, რომელიც პროკურატურისთვის მანამდეც იყო ცნობილი.

დაცვის მხარის განმარტებით, აღკვეთი ღონისძიების შეფარდება მოხდა პირველი წარდგენის სხდომის შემდეგ, რაც დაუშვებელია. დაცვის მხარის განცხადებით, აღკვეთი ღონისძიების მიზანშეწონილობისა და მისი შეცვლის განხილვისას, მტკიცების ტვირთი მათზე იყო სრულად გადმოტანილი, რაც ასევე დაუშვებელია. დაცვის მხარის განმარტებით, ბრალდებულს სხვა საქმეზე პატიმრობის ცხრა თვიანი ვადა ამოიწურა და მისი პატიმრობაში დატოვებით ირღვეოდა კონსტიტუცია.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარის განცხადებით, აღნიშნულზე ორი ინსტანციის სასამართლომ უკვე იმსჯელა- საქალაქო სასამართლომ, როდესაც ბრალდებულს ამ საქმეზე პატიმრობა შეუფარდა და სააპელაციო სასამართლომ, როდესაც დაცვის მხარის საჩივარი დაუსაბუთებლობის მოტივით დაუშვებლად ცნო.[5] ამასთან, დაცვის მხარეს არ წარუდგენია რაიმე ახალი გარემოება, რომელიც აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების საფუძვლებზე მიუთითებდა. შესაბამისად, ბრალდებული უნდა დარჩენილიყო პატიმრობაში.

დაცვის მხარის არგუმენტის საპირისპიროდ, ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ აღკვეთი ღონისძიების შეფარდებას პირველი წარდგენის შემდგომ კანონი არ კრძალავდა.

[5] http://www.tbappeal.court.ge/?news=216&mc=

ასევე, პროკურორების თქმით, არსებობდა მსგავსი სასამართლო პრაქტიკაც. საკუთარი არგუმენტის გასამყარებლად, ბრალდებამ მოიყვანა სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომელშიც ნათქვამია, რომ თუ პირველ წარდგენაზე ბრალდებულს აღკვეთი ღონისძიება არ შეფარდებია, შესაძლოა მისი შემდგომ მოთხოვნა და შეფარდება. ბრალდების მხარის განმარტებით, სასამართლოს შეეძლო არამხოლოდ უკვე შეფარდებული ღონისძიების შეცვლა, არამედ პირველი წარდგენის სხდომის შემდგომ აღკვეთი ღონისძიების მოთხოვნაც.

განჩინება: სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები, რომლის გამოც შერჩეულ იქნა პატიმრობა, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა დადგენილად. მტკიცებულებებისთვის ხელის შეშლის და მიმალვის საფრთხე ისევ არსებობდა, რაიმე ახალი გარემოება კი არ გამოვლენილა. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია იმის მტკიცება, რომ ბრალდებულის მიმართ ერთ საქმეზე გამოყენებული პატიმრობა გამორიცხავდა სხვა საქმეზეც პატიმრობის გამოყენებას. ამასთან, სხვა საქმეზე შეფარდებული პატიმრობის ვადის გასვლა ვერ ჩაითვლებოდა ამ საქმეზე ახალ გარემოებად. სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვა შესაძლებელიი იყო წინასასამართლო სხდომაზეც.

2. დაცვის მხარემ მოითხოვა მოწმედ დასაკითხ პირთა სიაში არ შეეყვანათ ჟურნალისტები, ვინაიდან მათ კანონით მინიჭებული აქვთ უფლება, არ მისცენ ჩვენება თავის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ბრალდების მხარის პოზიცია: აღნიშნულზე ბრალდების მხარე აცხადებდა, რომ ჟურნალისტები ფლობდნენ იმ ფაქტობრივ ინფორმაციას, რომელიც სასამართლოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში წაადგებოდა.

განჩინება: სასამართლომ დააკმაყოფილა დაცვის მხარის მოთხოვნა. სასამართლოს განმარტებით, ჟურნალისტი არის სპეციფიკური პროფესიის წარმომადგენელი, რომელსაც კანონი აძლევთ შესაძლებლობას, არ მისცეს ჩვენება თავის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მოსამართლემ გადაწყვიტა, არ შეეყვანა ჟურნალისტები დასაკითხ პირთა სიაში.

3. დაცვის მხარემ მოსამართლის აცილების თაობაზე რამდენიმე საფუძვლით დააყენა შუამდგომლობა, კერძოდ:

- ბრალდებული გიორგი უგულავა არის პოლიტიკური პატიმარი და იმყოფება უკანონო პატიმრობაში. ვინაიდან ის პატიმრობაშია, პრიორიტეტი უნდა მინიჭებოდა სწორედ უგულავას საქმეს, მოსამართლემ კი ჯერ სხვა საქმის (მიხეილ სააკაშვილის საქმის) განხილვა დაიწყო. ამასთან, მოსამართლემ რამდენჯერმე გადადო აღკვეთი ღონისძიების შეცვლის თაობაზე შუამდგომლობის განხილვა. დაცვის მხარე აცხადებდა, რომ ამით, ფაქტობრივად, მან თავისი პოზიცია გამოხატა შუამდგომლობასთან დაკავშირებით. შესაბამასად, მოსამართლე ობიექტური ვერ იქნებოდა;
- მოსამართლემ ბრალდებულ ერეკლე კოდუას (სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი უფროსი) საქმის განხილვისას, დაცვის მხარის მტკიცებით, დაუშვებელი მტკიცებულება დასაშვებად სცნო. დაცვის მხარე აცხადებდა, რომ მოსამართლემ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო ერეკლე კოდუას საქმეში და, შესაბამისად, ვერც ამ საქმეში იქნებოდა ობიექტური (იხილეთ ერეკლე კოდუას საქმე). დაცვის მხარის აზრით, არსებობდა რეალური რისკი, რომ აღნიშნული მოსამართლე იგივეს გაიმეორებდა ამ საქმეშიც.
- დაცვის მხარე, ასევე, მიუთითებდა, რომ აღნიშნული საქმიდან ბრალდების მხარის მოთხოვნით მიხეილ სააკაშვილის საქმის ჯერ გამოყოფამ, შემდეგ კი საქმეთა ისევ გაერთიანებამ საქმის განმხილველი მოსამართლის ცვლილება გამოიწვია. შედეგად, საქმე ხელოვნურად აღმოჩნდა აღნიშნული მოსამართლის განხილვის ქვეშ. დაცვის მხარე აცხადებდა, რომ მსგავსი გადანაწილება იმაზე მიუთითებდა, რომ აღნიშნული მოსამართლე პროკურატურის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და იგი პროკურატურისთვის დავის განხილვისთვის ყველაზე მისაღები კანდიდატი იყო. ამასთან, დაცვა აცხადებდა, რომ ბრალდებულების ზოგიერთ ადვოკატს საქმის გაერთიანების საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა არ მიუღია და სასამართლოს მათი პოზიციებიც უნდა მოესმინა.

ბრალდების მხარის პოზიცია: დაცვის მხარის შუამდგომლობაზე ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ მოსამართლეს საქმეზე ჩამოყალიბებული პოზიცია ვერ ექნებოდა, რადგან მას შუამდგომლობაზე ჯერ არც კი უმსჯელია. საქმეთა გაერთიანების შესახებ კი პროკურატურის წარმომადენლებმა განაცხადეს, რომ თავდაპირველად საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფა გამოძიების ინტერესში შედიოდა, შემდეგ კი გაერთიანება გახდა საჭირო, რომ საქმის განხილვა არ გაჭიანურებულიყო. პროკურატურამ ისიც აღნიშნა,

რომ საქმის გაყოფას თავის დროზე დაცვიც მხარეც დაეთანხმა და მათი ახლანდელი პოზიცია გაურკვეველი იყო.

განჩინება: მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ კანონით დადგენილი ნორმით, აცილების არც ერთი საფუძველი არ არსებობდა. მოსამართლის განმარტებით, კანონით განსაზღვრული კონკრეტული საფუძვლების გარდა (რასაც დაცვის შუამდგომლობა ვერ აკმაყოფილებდა), დადგენილია დამატებით ერთი საფუძველიც - "სხვა ნებისმიერი გარემოება", ამაში კი იგულისხმება შემთხვევა, როდესაც მოსამართლეს მიღებული აქვს გადაწყვეტილება შემაჯამებელ საკითხზე, რომლითაც გამოხატავს პოზიციას. მოსამართლის განმარტებით, დაცვის მხარის შუამდგომლობა მისი აცილების შესახებ ამ საფუძველსაც ვერ აკმაყოფილებდა.
მოსამართლემ, ასევე, აღნიშნა, რომ უსაფუძვლოა იმის მტკიცება, თითქოს მას შუამდგომლობასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს, რადგან შუამდგომლობა ჯერ არც განხილულა. საქმეთა გაერთიანებასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროცესზე წარმოდგენილი ყველა ადვოკატი ვერ მიიღებდა მონაწილეობას გაერთიანების საკითხის განხილვაში, ვინაიდან საკითხი გამოყოფამდე არსებულ სხვა საქმის განხილვისას დადგა. მოსამართლემ განაცხადა, რომ თავის დროზე მან შესთავაზა ადვოკატს (ოთო კახიძეს) დროის მიცემა სხვა ადვოკატებთან გაერთიანების საკითხზე შესათანხმებლად, რაზეც მან უარი განაცხადა.

4. დაცვის მხარემ მოსამართლეთა კოლეგიური შემადგელობის წინაშე დააყენა შუამდგომლობა პატიმრობის გაუქმების თაობაზე. დაცვის მხარე აცხადებდა, რომ ცხრა თვიანი პატიმრობის ვადა ამოწურული იყო და, შესაბამისად, გიგი უგულავა უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა. დამცველების განცხადებით, პატიმრობა გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკანასკნელი ღონისძიება. მოცემულ შემთხვევაში კი გიგი უგულავას პატიმრობაში ყოფნა სახელმწიფოს თვითმიზანი იყო, რეალურად კი პატიმრობის საფუძვლები არ არსებობდა. კერძოდ, ახალი დანაშაულის ჩადენის, მტიცებულების განადგურების ან მოწმეებზე ზემოქმედების საფრთე არ არსებობდა. ამასთან, არც ერთ მოწმეს არ განუცხადებია სამართალდამცავ ორგანოებში მათ მიმართ ზეწოლის თაობაზე. გიგი უგულავას კი არაერთხელ დაუტოვებია ქვეყნის ტერიტორია და უკან დაბრუნებულა. შესაბამისად, არ არსებობდა მისი მიმალვის საფრთხეც. გიგი უგულავას დამცველების განმარტებით, თითოეულ ბრალზე 9 თვიანი ვადის ხელახლა ათვლა არის არაკონსტიტუციური პრაქტიკა. ამგვარი პრაქტიკით წინასწარ პატიმრობაში ყოფნა სრულად ხდება დამოკიდებული პროკურატურაზე და არა სასამართლოზე.

დაცვის მხარის განცხადებით, 9 თვიანი პატიმრობის ვადის თაობაზე მათი საკონსტიტუციო სარჩელის დასაშვებად ცნობა[6] მიუთითებდა გონივრულ მოლოდინზე, რომ წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებული პრაქტიკა კონსტიტუციასთან შეუსაბამოა. საკონსტიტუციო სასამართლოში დასაშვებად იქნა ცნობილი ისიც, რომ მტკიცების ტვირთი პატიმრობის შეფარდებისა და გაგრძელებისას უნდა იყოს ბრალდების მხარეს. ამასთან, პარლამენტი იხილავდა ცვლილებებს აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მარეგულირებელი ნორმების გადასასინჯად. [7] აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დაცვის მხარის განცხადებით, გიგი უგულავას პატიმრობაში ყოფნა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსიტუციას.

დაცვის მხარის მორიგი არგუმენტი შეეხებოდა პატიმრობის შეფარდების ეტაპს. მათი განცხადებით, დაუშვებელი იყო გიგი უგულავას პატიმრობა შეფარდებოდა პირველი წარდგენის შემდგომ წინასასამართლო სხდომამდე შუალედში. აღნიშნულ არგუმენტებზე დაყრდნობით, დაცვის მხარე შუამდგომლობდა, გაუქმებულიყო პატიმრობა და ალტერნატივის სახით სასამართლოს სთავაზობდა გირაოს.

ბრალდების მხარის პოზიცია: ამაზე ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ რამდენჯერმე მოუწია მსგავსი შუამდგომლობის მოსმენა და დაცვას განსხვავებული არაფერი უთქვამს. ბრალდების მტკიცებით, გიგი უგულავამ ორჯერ აარიდა თავი საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, მესამე გამოძახებაზე კი ის ქვეყნის დატოვებას აპირებდა. სწორედ ამის საფუძველზე მიიღო სასამართლომ გადაწყვეტილება მისთვის პატიმრობის შეფარდების თაობაზე. ბრალდების მხარე გიგი უგულავას ფინანსურ შესაძლებლობებსა და საზღვარგარეთ კავშირებზეც მიუთითებდა. პროკურორები მიიჩნევდნენ, რომ ბრალდებული პატიმრობაში უნდა დარჩენილიყო. მათივე განმარტებით, გიგი უგულავამ სხვა საქმეზე გირაოს პირობებში ჩაიდინა ახალი დანაშაული (იგულისხმება მარნეულის ეპიზოდზე ბრალის წაყენება), რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ გირაომ ვერ უზრუნველყო მისი სათანადო ქცევა.

პროკურორების განმარტებით, დადგენილი პრაქტიკის თანახმად, 9 თვიანი ვადის ათვლა ყოველ კონკრეტულ საქმეზე ხელახლა იწყება და მხოლოდ ის ფაქტი, რომ უგულავას მაღალი თანამდებობა ეკავა, არ ქმნიდა მის მიმართ კანონის სხვაგვარად

---

[6] გიგი უგულავას დამცველებმა მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს, სარჩელი ეხება წინასწარი პატიმრობის 9 თვიან ვადას. http://www.interpressnews.ge/ge/samartali/336600-sakonstitucio-sasamarthlom-gigi-ugulavas-sarcheli-arsebithad-gansakhilvelad-miigho.html?ar=A

[7] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2015 წლის 8 ივლისს ცვლილებები სწორედ ამ საკითხებთან მიმართებით შევიდა.

განმარტების საფუძველს. რაც შეეხება პატიმრობის შეფარდების ეტაპს, აღინიშნა, რომ კანონი აწესებს აღკვეთი ღონისძიების შესახებ შუამდგომლობის მხოლოდ ფორმას და არა ვადას ან ეტაპს. ამიტომ მათ ჰქონდათ უფლება, პატიმრობის მოთხოვნის შუამდგომლობა პირველი წარდგენის შემდგომ წინასასამართლო სხდომამდე შუალედშიც დაყენებინათ. მათივე განმარტებით, აღნიშნულზე ორი ინსტანციის სასამართლომ უკვე იმსჯელა - საქალაქო სასამართლომ, როდესაც ამ საქმეზე გამოიტანა წინასწარი პატიმრობის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლომ მაშინ, როდესაც დაუშვებლად ცნო დაცვის მხარის საჩივარი დაუსაბუთებლობის მოტივით.[8]

განჩინება: სასამართლომ არ დაამაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა. სასამართლოს მოტივაციის თანახმად, აღნიშნულ საქმეზე როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა და აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საფუძვლები კანონიერად მიიჩნია. დაცვის მხარეს კი ახალი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. სასამართლომ მიიჩნია, რომ არც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საჩივრის დასაშვებად ცნობა არ იყო არსებითი მნიშვნელობის მქონე ახალი გარემოება.

ბ. ბრალდების მხარე:

1. ბრალდების მხარემ მოითხოვა, დასაკითხ პირთა სიაში იმ პროკურორებისა[9] და სისხლის სამართლის საერთაშორისო ექსპერტების შეყვანა, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ ყოფილი მაღალჩინოსნების მიერ შესაძლო დანაშაულების ჩადენის ფაქტების გამოსაძიებლად. ბრალდებამ, ასევე, მათი დასკვნის საქმისთვის დართვა მოითხოვა.[10]

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას. დაცვის მხარემ ეჭვქვეშ დააყენა პროკურატურის მიერ საქმეების გამოძიებაში დასახმარებლად მოწვეული საერთაშორისო ექსპერტების ობიექტურობა. დაცვის მხარის განცხადებით, საერთაშორისო ექსპერტები დაინტერესებულ პირებს წარმოადგენდნენ. შესაბამისად, ისინი სასამართლოს საქმეზე სასარგებლო ინფორმაციას ვერ მიაწვდიდნენ.

---

[8] http://www.tbappeal.court.ge/?news=216&mc=

[9] შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით.

[10] http://pog.gov.ge/res/docs/NEW/braldebismrcheveltasaertashorisojgufisdaskvna.pdf

განჩინება: სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და საერთაშორისო ექსპერტების მიერ გაკეთებული დასკვნა მტკიცებულებად დაუშვა და აღნიშნული ექსპერტები დასაკითხ პირთა სიაშიც შეიყვანა.

შენიშვნა: დასკვნა ეხება ეხება 2007 წლის 7 ნოემბერს დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენებას და არკადი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების, მათ შორის ტელეკომპანია „იმედი“-ს ხელში ჩაგდების საქმეს. საჯაროდ გავრცელდა ბრალდების მრჩეველთა საერთაშორისო ჯგუფის წერილი, რომლის ადრესატიცაა მთავარი პროკურორი, გიორგი ბადაშვილი, სადაც ექსერტთა ჯგუფი ამტკიცებს, რომ მტკიცებულებები საკმარისია ბრალდების შესახებ დადგენილების მხარდასაჭერად და ამართლებს სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებას მიხეილ სააკაშვილის, დავით კეზერაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის და გიორგი უგულავას წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ თავად დასკვნა არ გასაჯაროებულა.

მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა. საქმეზე განაჩენი არ დამდგარა.

ჩვენი შეფასება:

„იმედის“ საქმეზე გიგი უგულავას ბრალი სხვადასხვა დროს სამჯერ წარედგინა. საყურადღებოა, რომ 2014 და 2015 წლების დადგენილებებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები ძირითადად მეორდება და, ნაწილობრივ, ასევე მოიცავს 2013 წლის 22 თებერვლის დადგენილებაში მითითებულ ფაქტებს. მართალია, პროკურატურას სრული უფლება აქვს, დააზუსტოს ფაქტობრივი გარემოებები და/ან შეცვალოს დანაშაულის კვალიფიკაცია, თუმცა საქმეში არსებული გარემოებები გამოძიების ხელოვნურ გაჭიანურებაზე მიანიშნებს და აჩენს საფუძვლიან ეჭვებს, რომ პროკურატურამ შინაარსობრივად ერთი საქმე ხელოვნურად დაყო სამ სხვადასხვა ეტაპად, რათა მისთვის სასურველ დროს უგულავასათვის პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის საფუძველი ჰქონოდა.

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს, რომ პირის წინასწარი პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. აღნიშნული შეზღუდვა ეხება ერთ კონკრეტულ საქმეზე შეფარდებულ პატიმრობას და არ ნიშნავს, რომ სხვადასხვა დროს ჩადენილ სხვადასხვა დანაშაულზე გამოყენებული პატიმრობის საერთო ვადა ჯამში 9 თვეს უნდა შეადგენდეს, თუმცა, ერთი პირის მიმართ წინასწარი პატიმრობის გამოყენების კუთხით ქვეყანაში

არსებული პრაქტიკა საგანგაშოა. ერთი პირის მიმართ რამდენიმე ბრალდების არსებობის შემთხვევაში, საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების ვადის, თითოეული საქმისათვის დამოუკიდებლად განსაზღვრით ხდება წინასწარი პატიმრობისთვის დაწესებული 9 თვიანი ვადის ხელოვნურად გაგრძელება. კანონის ამგვარი გამოყენება პატიმრობის პრაქტიკულად შეუზღუდავი ვადით თვითნებური გაგრძელების შესაძლებლობას ქმნის, ეს კი აჩენს რეალურ საფრთხეს, რომ ბრალდებული უსასრულოდ იმყოფებოდეს პატიმრობაში ისე, რომ მის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენი არ იყოს დამდგარი. სწორედ მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი გიგი უგულავასთან მიმართებით. მსგავსი პრაქტიკა არსებული საკანონმდებლო ხარვეზის ბოროტად გამოყენებას ნიშნავს.

გიგი უგულავას 2014 წლის 28 ივლისს წარდგენილი (7 ნოემბრის ეპიზოდი) საჯარო მოხელის მიერ უფლებამოსილების გადამეტების ბრალდება დაუმძიმდა. კერძოდ, არსებულ ბრალს გაფლანგვაში დახმარება (ე.წ. „მთაწმინდის პარკის ქონების გაფლანგვის ეპიზოდი“) და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ე.წ. „ტელეკომპანია „იმედის“ ეპიზოდი“) დაემატა. ამ პერიოდში გიგი უგულავა სხვა საქმეზე (ე.წ. ფულის გათეთრება და „მარნეულის“ ეპიზოდი) უკვე იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, რომლის ვადაც 2015 წლის 2 აპრილს იწურებოდა. საეჭვოა ის გარემოება, რომ სწორედ 2015 წლის 2 აპრილის მოახლოებას დაემთხვა ბრალის დამძიმება და საქართველოს პროკურატურის ახალი შუამდგომლობა გიგი უგულავასთვის მეორე საპატიმრო აღკვეთი ღონისძიების მოთხოვნის შესახებ. **პროკურატურის მიერ განხორციელებული ქმედებების ქრონოლოგია აჩენს განცდას, რომ პროკურატურის თვითმიზანს გიგი უგულავას პატიმრობაში ყოფნა წარმოადგენს.**

შენიშვნა: *იგივე პრობლემა გამოიკვეთა სხვა საქმეზე, როდესაც საქმეს ნაფიცმსაჯულთა სასამართლო იხილავდა. საქმეზე პირველად მოწვეულმა ნაფიცმსაჯულებმა ვერ შეძლეს ვერდიქტის გამოტანა, ბრალდებულს კი პატიმრობის ცხრა თვიანი ვადა გასდიოდა, პროკურატურამ ბრალდებულს ახალი ბრალი წაუყენა, ახალი ბრალის წაყენება და პროკურატურის ქმედება კრიტიკის საგანი გახდა არასამთავრობო ორგანიზაციების და სახალხო დამცველის მიერ. თავად ბრალდების შინაარსის თაობაზე არსებული კითხვის ნიშნების გარდა, პრობლემა იკვეთება იმ კუთხით, რომ სახელმწიფო ბრალდება ბრალის წაყენებას იყენებს იარაღად პატიმრობის გაგრძელებისთვის, რის საშუალებასაც ფორმალურად მათ კანონი აძლევთ, თუმცა ხდება მისი ბოროტად გამოყენება და მანკიერი პრაქტიკის დამკვიდრება, რაც აჩენს საფუძვლიან ეჭვებს პროკურატურის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე.*

ჩამოთვლილი პრობლემები და ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო პრაქტიკის დანერგვა პოლიტიკურად მოტივირებულ ქმედებებზე მიუთითებს, რომლის მთავარ მიზანსაც კონკრეტული ადამიანის დიდი ხნით პატიმრობაში დატოვება წარმოადგენს. მსგავს პრობლემაზე მიუთითებდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის მეორე ანგარიშში ბრალდებულ ბაჩანა ახალაიასთან მიმართებით. ასეთი პრაქტიკა კი ცალსახად წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლისა და ადამიანის უფლებებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებთან. აღნიშნული ხელყოფს არა მხოლოდ კონკრეტული ბრალდებულის ფუნდამენტურ უფლებებს, არამედ მანკიერი პრაქტიკის ჩამოყალიბების საშიშ პრეცედენტს ქმნის.

პროცესებზე დაკვირვებისას გამოიკვთა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ეხება აღკვეთი ღონისძების შეცვლის განხილვისას მტკიცების ტვირთს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, **შუამდგომლობაში (აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ) უნდა აღინიშნოს, რა ახალი გარემოებები გამოვლინდა, რომლებიც არ იყო ცნობილი აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას და უნდა დაერთოს შესაბამისი მტკიცებულებანი (მასალები) ამ ახალ გარემოებათა შესახებ.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, კანონი ბრალდებულს/დაცვის მხარეს ავალდებულებს ამტკიცოს, რომ სახეზე არ/აღარ არის საპატიმრო აღკვეთი ღონისძიების გამოყენების საფუძველი. აღნიშნული ნორმა და მის საფუძველზე წარმოებული პრაქტიკა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტს (უდანაშაულობის პრეზუმფცია) რადგან ბრალდებულს ავალდებულებს ამტკიცოს მისი უდანაშაულობა. იგი, ასევე, ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას (მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს), შესაბამის პრეცედენტულ სამართალსა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს (მე-9 მუხლი). დასახელებული წყაროები, ერთის მხრივ, გამორიცხავენ ბრალდებულის ვალდებულებას, ამტკიცოს უდანაშაულობა, ხოლო, მეორე მხრივ, გამოკვეთენ სახელმწიფო ბრალდებისა და სასამართლოს როლს პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პროცესში.

მტკიცების ტვირთსა და აღკვეთი ღონისძიების პერიოდული გადასინჯვის მექანიზმის არარსებობაზე მიუთითებდა ეუთოს დემოკრატიულ ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისიც (ODIHR). ანგარიშში [11] ეუთო გასცემდა რეკომენდაციას,

[11] http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true

ბრალმდებელს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნისას ჰქონოდა **დასაბუთების უფრო მაღალი სტანდარტი.** ეუთო მოუწოდებდა საქართველოს პარლამენტს, კანონმდებლობაში აესახა წინასწარი პატიმრობის პერიოდული გადახედვის მექანიზმები, სადაც მტკიცების ტვირთი აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გაგრძელების თაობაზე ბრალმდებლის მხარეს იქნებოდა. ამგვარად, თავიდან იქნებოდა აცილებული იმგვარი პრაქტიკა, როდესაც პატიმრობა ავტომატურად მაქსიმალურ ვადამდე – 9 თვემდე გრძელდება, რაც თავისუფლების პრეზუმფციის დარღვევას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 8 ივლისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა ცვლილებები.[12] ცვლილებები სხვა საკითხებთან ერთად შეეხებოდა სწორედ ეუთოს ანგარიშში მითითებულ ზემოხსენებულ ორ პრობლემას. კერძოდ, ცვლილების თანახმად, თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, მოსამართლე განაჩენის გამოტანამდე თავისი ინიციატივით პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილავს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხს. ასევე, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ყველა შემთხვევაში ბრალდების მხარეს ეკისრება. ცვლილება ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს, ვინაიდან იგი არსებული მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრასა და ბრალდებულის საპროცესო უფლებების განმტკიცებას ემსახურება.
პროცესებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ პროკურატურის მხრიდან წინასწარი პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის დასაბუთების სტანდარტი საკმაოდ დაბალი იყო. როგორც წესი, პროკურატურას მწირი დასაბუთება მოჰყავდა, თუ რატომ იყო აუცილებელი აღკვეთის ღონისძიების უკიდურესი ფორმის პატიმრობის გამოყენება.

წინასწარი პატიმრობის პრობლემაზე და მისი გამოყენების მიზანშეუწონლობაზე საუბრობდა ეუთოს დემოკრატიულ ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისიც (ODIHR). ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეებზე სასამართლო მონიტორინგის ანგარიშში[13] ხაზგასმულია, რომ არავის უნდა წაერთვას თავისუფლების უფლება **თვითნებურად ან ჯეროვანი დასაბუთების გარეშე**. ამასთან, ორგანიზაცია აღნიშნავდა, რომ ბრალდებულის მიმართ გამოყენებული უნდა იქნას **რაც შეიძლება ნაკლებად**

[12] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2912924#DOCUMENT:1;
[13] http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true

შემზღუდავი ზომები და, პატიმრობის შეფარდების შემთხვევაში, **რაც შეიძლება მოკლე ვადა**.

წინასწარი პატიმრობის ხშირი და არაჯეროვანი გამოყენების პრობლემაზე მიუთითებდა ასევე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა[14] (PACE) და შეშფოთებას გამოთქვამდა წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობასა და მისი გამოყენების სიხშირის თაობაზე . აღნიშნავდა, რომ პატიმრობა გამოყენებულ უნდა იქნეს მაშინ როდესაც არსებობს აშკარა რისკი მიმალვის, გამოძიებისთვის და საქმისთვის ხელის შეშლის, ან თუ არსებობს საფრთხე, რომ ბრალდებული ჩაიდენს დანაშაულს და დაარღვევს საჯარო წესრიგს. PACE მიუთითებდა, რომ დაუშვებელია პატიმრობის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება. რეზოლუციაში ასამბლეა უფლებამოსილ პირებს მოუწოდებდა, მიეღოთ პროკურატურასა და სასამართლოსთვის ნათელი სახელმძღვანელო პრინციპები წინასწარი პატიმრობის გამოყენების თაობაზე, რათა უზრუნველყოფილიყო მათი პრაქტიკის სრული შესაბამისობა ევროპული კონვენციის მეხუთე მუხლის მოთხოვნებსა და მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებთან (2006) წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით.

გიგი უგულავას და სხვა მაღალჩინოსნების წინააღმდეგ მიმდინარე საქმეში რამდენჯერმე მოხდა დაცვის მხარის მიერ საქმეთა განაწილების პრობლემის წამოჭრა, რაც არაერთხელ გამხდარა სამოქალაქო სექტორის მხრიდან კრიტიკის საგანი. უმნიშვნელოვანესია, რომ სასამართლოებში საქმის განაწილების სისტემა იყოს არაგანჭვრეტადი და მკაცრად ეფუძნებოდეს შემთხვევითი შერჩევის პრინციპს. არაგანჭვრეტადი სისტემის არარსებობის პირობებში ყველა ეჭვი, რომელიც საქმის განაწილების სამართლიანობაზე და ობიექტურობაზეა გამოთქმული, ლეგიტიმურად უნდა ჩაითვალოს. საქმეთა განაწილების პრობლემას ეხებოდა ეუთოს დემოკრატიულ ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) სასამართლო მონიტორინგის ანგარიშში.[15] ეუთო საკანონმდებლო ორგანოს მოუწოდებდა გადაეხედა კანონმდებლობისთვის, რომელიც უფლებამოსილებას ანიჭებდა სასამართლოს თავმჯდომარეს ფაქტიურად გადაეხვია საქმის ავტომატური განაწილების წესიდან მისი შეხედულებისამებრ.

[14] http://www.assembly.coe.int/nw/xml/XRef/X2H-Xref-ViewPDF.asp?FileID=21275&lang=en

[15] http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true

დაცვის მხარის მიერ აღკვეთი ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობის დაყენების შემდგომ, ბრალდების მხარე აქტიურად ცდილობდა სხდომის გადადებასა და საქმის გაჭიანურებას. მსგავსი ქმედებები პირდაპირ აზიანებს პროკურატურის იმიჯს და აჩენს საფუძვლიან ეჭვებს პროკურატურის პოლიტიკურად მოტივირებულობაზე.

საქმეთა გაჭიანურების პრობლემაზე აღინიშნა ეუთოს დემოკრატიულ ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) სასამართლო მონიტორინგის ანგარიშში, სადაც ნათქვამია, რომ რიგ საქმეებში, მონიტორინგმა, ასევე, გამოავლინა ხარვეზები გონივრულ **ვადაში სასამართლო განხილვის უფლებასთან დაკავშირებით**, როცა საქმეთა გადადება ხანგრძლივი პერიოდით ხდებოდა; აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მწვავეა მაშინ, როდესაც საქმეზე ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული და მას განაჩენის გარეშე დიდი ხნის მანძილზე პატიმრობაში უწევს ყოფნა. მსგავსი დამოკიდებულება (საქმის ხელოვნური გაჭიანურება) პირდაპირ ლახავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, უდანაშაულობის პრეზუმფციას და ქმნის პოლიტიკური დევნის აღქმას.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 8 ივლისის ცვლილებებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გაჩნდა ჩანაწერი, რომლითაც გათვალისწინებულ იქნა ეუთოს რეკომენდაცია საქმის გონივრულ ვადაში განხილვის თაობაზე. კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა, თუმცა ეს ვადა არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებული თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას ან/და ბრალდებულის მიმართ გამოცხადებულია ძებნა.

პროცესის მანძილზე რამდენჯერმე დაფიქსირდა დარბაზში დამსწრე პირების მხრიდან მოსამართლის შურაცხყოფის ფაქტები. “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” მიიჩნევს, რომ მსგავსი ქმედებები და სასამართლოსადმი უპატივცემულობა დაუშვებელია. მნიშვნელოვანია, პროცესზე დამსწრე საზოგადოებამ გაითავისოს სასამართლოში მოქცევის წესები და წესრიგის მნიშვნელობა.

გიგი (გიორგი) უგულავა და დავით კეზერაშვილი

I ეპიზოდი - ე.წ რიყის ეპიზოდი
II ეპიზოდი - შპს თბილსერვის ჯგუფში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების დასაქმების (თბილსერვისის) ეპიზოდი

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

გიგი (გიორგი) უგულავა (თბილისის ყოფილი მერი) – სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა, როდესაც ეს ნივთი იმყოფებოდა გამფლანგველის მართლზომიერ გამგებლობაში (ე.წ. რიყისა და თბილსერვისის ეპიზოდები).[16]

დავით კეზერაშვილი (თავდაცვის ყოფილი მინისტრი) – სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვაში წაქეზება, როდესაც ეს ნივთი იმყოფებოდა გამფლანგველის მართლზომიერ გამგებლობაში. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების დამალვა, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (ე.წ რიყის ეპიზოდი).

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების თანახმად, 2008 წლის ბოლოს, საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს დავით კეზერაშვილს გააჩნდა რა გარკვეული ფინანსური ვალდებულებები ბიზნესმენ ჯოზეფ კეის წინაშე, განიზრახა ხსენებული თანხის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, რის გამოც დაუკავშირდა იმჟამინდელ ქ.თბილისის მერს - გიორგი უგულავას და შესთავაზა დედაქალაქის ბიუჯეტიდან მოეხდინა თანხების გამოყოფა, რომლის წარმოშობის წყაროს დაფარვისა და კანონიერი სახის მიცემის გზით მოახდენდა ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნულ შეთავაზებას გიორგი უგულავა დათანხმდა და შედეგად მოხდა შპს ,,ახალ რიყეზე“ 7 000 000 აშშ დოლარად გასხვისებული, ქ.თბილისში, რიყის ტერიტორიაზე მდებარე 43 350 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით მაღალ 17 000 000 აშშ დოლარად, საიდანაც 10 000 000 აშშ დოლარი წარმოადგენდა დავით კეზერაშვილის მიერ ჯოზეფ კეისათვის გადასაცემ თანხას, რითაც ბრალდებულებმა მოახდინეს სახელმწიფოს

[16] შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით.

კუთვნილი 10 000 000 აშშ დოლარის თანხის გაფლანგვა, რაც რეალურად უნდა მოხმარებოდა ძველი თბილისის ტერიტორიაზე ინვესტიციების განხორციელების წახალისებას, მის განაშენიანებას, რესტავრაციასა და რეკონსტრუქციას.

ბრალდების თანახმად, დავით კეზერაშვილმა თანხისათვის უკანონო წარმოშობის დაფარვის, მისი წარმოშობის წყაროს შენიღბვის მიზნით დაუკავშირდა ჯოზეფ კეის და შეუთანხმდა მის წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულებების შესრულებას შპს ,,ახალი რიყის“ ანგარიშზე განთავსებული ფულადი თანხებიდან, რა მიზნითაც დავით კეზერაშვილის მითითებით 2009 წლის იანვარში დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებულ ჯოზეფ კეის კუთვნილ კომპანია „LAKEBROW LIMITED“-სა და შპს „ახალი რიყეს“ შორის გაფორმდა 2008 წლის 05 აპრილით დათარიღებული ფიქტიური ხელშეკრულება მმართველობითი და ოპერაციული მომსახურების გაწევის თაობაზე. ხსენებული ხელშეკრულება წარმოადგენდა რა გიორგი უგულავას მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაფლანგული 10 000 000 აშშ დოლარისათვის კანონიერი სახის მიცემის სამართლებრივ საფუძველს, ხელოვნურად ჩაიდო პირობა შპს „ახალი რიყეს“ მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს სახით 10 000 000 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე. მოგვიანებით კი ვითომდა ხელშეკრულების დარღვევის გამო, დავით კეზერაშვილის მითითებით შპს „ახალი რიყის“ მიერ 10 000 000 აშშ დოლარიდან შესაბამისი გადასახადის გადახდის შედეგად დარჩენილი 8 811 189 აშშ დოლარი გადაირიცხა ჯოზეფ კეის კუთვნილი კომპანიის ანგარიშზე, რითაც დაიფარა ჯოზეფ კეის წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულებები.[17]

ბრალდების მეორე ეპიზოდი შპს ”თბილსერვის ჯგუფში” „ერთიანი ნაცონალური მოძრაობის“ 764 აქტივისტის, ე.წ. პარტიული კოორდინატორის, დასაქმებას შეეხება. საგამოძიებო სამსახურის თანახმად, დედაქალაქის ბიუჯეტისთვის განკუთვნილი ასიგნებებიდან მათ, ხელფასის სახით, 4 130 728 ლარი დაერიცხათ. კერძოდ, გიგი უგულავას დავალებით 2009 წლის 31 დეკემბერს შპს „თბილსერვის ჯგუფში“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებისათვის ფულის დარიგების მიზნით სპეციალურად შეიქმნა „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება“, სადაც ფიქტიურად გაფორმდა 712 აქტივისტი - ე.წ. პარტიული კოორდინატორი. ბრალდების მიხედვით, უმეტესობას ამ სამსახურში არც ერთი დღე არ უმუშავია და ეწეოდა პარტიულ საქმიანობას, თუმცა დედაქალაქის ბიუჯეტისთვის განკუთვნილი ასიგნებებიდან მათ ხელფასის სახით ჯამში 4 130 728 ლარი დაერიცხათ.

[17] დაზუსტებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი გარემოებები/ფაქტები

პროცესების მიმდინარეობისას დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოწმეებს დარბაზში დამსწრე პირებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსი ქმედებისათვის მოსამართლე წესრიგის დამრღვევ პირებს აჯარიმებდა ან სასამართლო დარბაზიდან აძევებდა. ასევე, ხშირი იყო დაძაბული ვითარება სხდომათა დარბაზის გარეთ.

პროცესებზე დაკვირვებისას დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოწმეები დარბაზის გარეთ, დერეფანში ერთად იდგნენ და ელოდებოდნენ პროცესზე მათ გამოსვლას. ამ დროის მანძილზე მათ კომუნიკაციის თავისუფალი შესაძლებლობა ჰქონდათ. სასამართლოს შესაბამის სამსახურებს არავითარი ზომა არ მიუღიათ მოწმეთა განცალკევების უზრუნველსაყოფად.

ერთ-ერთ სხდომაზე ბრალდებულმა გიგი უგულავამ მოსამართლეს სთხოვა, ბადრაგირების სამსახურს მისთვის უფლება მიეცა და ხელი არ შეეშალა ადვოკატებთან კომუნიკაციაში - იგი ფურცელზე დაწერილი სახით აწვდიდა მათ კითხვებს. მოსამართლემ მოუწოდა ბადრაგირების სამსახურს, არ დაერღვიათ ბრალდებულის უფლება თავის დამცველებთან კომუნიკაცია კონფიდენციალურად განეხორციელებინა. დაცვის მხარე და ბრალდებული ხშირად პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდნენ. მოსამართლემ რამდენჯერმე მოუწოდა მათ ამგვარი განცხადებებისგან თავი შეეკავებინათ.

მოსამართლემ დაცვის მხარის მიერ გარკვეული ქმედებები საქმის გაჭიანურებად შეაფასა და საპროცესო კანონმდებლობის დაცვისაკენ მოუწოდა. მოსამართლის შეფასება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ დაცვა დიდი ხნის განმავლობაში კითხავდა ერთ მოწმეს.

დაცვის მხარემ აღნიშნა, რომ თითქმის ორი წელი მიმდინარეობდა ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა, ამიტომ არ უნდა ხდებოდეს დაცვის მხარისთვის მოწმეთა სწრაფად დაკითხვისკენ მოწოდება დადანაშაულება პროცესის გაჭიანურებაში.[18]

2014 წლის 27 თებერვალს, საფრანგეთის ექს-ან- პროვანსის სააპელაციო სასამართლომ დავით კეზერაშვილის ექსტრადაციაზე ქართულ მხარეს უარი განუცხადა.

[18] დამატებულ იქნა გიგი უგულავას დამცველის შენიშვნების მიხედვით.

ბრალდებულის ექსტრადაციაზე უარი განპირობებული იყო დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე პოლიტიკური დევნის საშიშროებით.[19]

სხდომებზე ვიდეო გადაღებას შეფერხების გარეშე სხვადასხვა ტელევიზია აწარმოებდა.მხოლოდ ერთ შემთხვევაში მედია საშუალებას არ მიეცა ვიდეო გადაღების საშუალება, რადგან მათ მოსამართლისგან ნებართვა არ ჰქონდათ წინასწარ მიღებული. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანების მიხედვით კი ამგვარი შუამდგომლობით სასამართლოს მედია საშუალებებმა უნდა მიმართონ პროცესის დაწყებამდე ერთი საათით ადრე.[20] შუამდგომლობა პროცესის დაწყების შემდეგ იქნა დაყენებული, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.

4. აღკვეთის ღონისძიება

1. პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობა გიორგი (გიგი) უგულავასთვის გირაოს სახით 1 000 000 ლარის შეფარდების შესახებ.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და განაცხადა, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საჭიროება არ იკვეთებოდა, რადგან ბრალდებულმა გიორგი (გიგი) უგულავამ ამ პერიოდის განმავლობაში რამდენჯერმე დატოვა ქვეყნის ტერიტორია, თუმცა, ყოველ ჯერზე საქართველოში დაბრუნდა, ამასთანავე, იგი გამოძიებასთანაც თანამშრომლობდა.

2. ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა თბილისის მერისთვის საქართველოს საზღვრის გადაკვეთის აკრძალვის შესახებ. მან, ასევე, მოითხოვა, გიორგი (გიგი) უგულავას საგამოძიებო უწყებაში ყოველკვირეული გამოცხადების ვალდებულება დაკისრებოდა.

განჩინება: შუამდგომლობები არ დაკმაყოფილდა. გიორგი (გიგი) უგულავას მიმართ აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე არ იქნა გამოყენებული.

3. ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა გიორგი (გიგი) უგულავას თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე.

---

[19] დამატებულ იქნა დავით კეზერაშვილის დამცველის შენიშვნების მიხედვით.
[20] https://gyla.ge/uploads/publications/foto-video-audio.pdf

განჩინება: სასამართლოს განჩინებით, ბრალდების მხარეს უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. სასამართლოს განმარტებით, გიორგი (გიგი) უგულავა არ იქნა გადაყენებული თანამდებობიდან რადგან ბრალდების მხარის შუამდგომლობაში მითითებული თბილისის მერის თანამდებობიდან გადაყენების საფუძვლები ზოგადი და დაუსაბუთებელი იყო.

4. პროკურატურამ დავით კეზერაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება მოითხოვა. ვინაიდან ბრალდებული პროცესზე არ გამოცხადდა, არსებობდა ეჭვი, რომ იგი ემალებოდა სასამართლოს.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარემ დავით კეზერაშვილისთვის გირაოს შეფარდება მოითხოვა. მისი მტკიცებით, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება აუცილებელი არ იყო.

განჩინება: დავით კეზერაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

5.პროცესის მიმდინარეობა

5.1. მნიშვნელოვანი შუამდგომლობები

ა. დაცვის მხარის შუამდგომლობები:

1. დაცვის მხარემ იშუამდგომლა ევროსაბჭოს ასამბლეაზე მიღებული რეზოლუციის საქმეზე მტკიცებულებად დართვის შესახებ. რეზოლუციაში უგულავას და დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ იყო აღნიშნული.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ შუამდგომლობა უსაფუძვლოდ ჩათვალა, რადგან არ ეხებოდა სისხლის სამართლის ამ კონკრეტულ საქმეს და მის ფაქტობრივ გარემოებებს.

განჩინება: მოსამართლის განმარტებით, მართალია, შუამდგომლობა ფაქტობრივ გარემოებებს არ ეხება, მაგრამ მან ირიბად შეიძლება დაახასიათოს ბრალდებულის ბუნება, ამიტომ დაცვის მხარის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

2. დაცვის მხარემ ისარგებლა საგამონაკლისო უფლებით და დააყენა შუამდგომლობა საქმეს დართვოდა ექსპერტის დასკვნა (აუდიტორული შეფასება) და ასევე წერილები, რომელიც საფუძვლად დაედო ამ დასკვნას.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარე არ იყო წინააღმდეგი, დაცვის მხარეს გამოიყენებინა საგამონაკლისო უფლება, თუმცა ეს უფლება ერთი მტკიცებულების წარმოდგენის შესაძლებლობას იძლეოდა, დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი იყო როგორც წერილები ასევე დასკვნა, ანუ რამდენიმე მტკიცებულება. აღნიშნულზე დაცვამ განაცხადა, რომ წერილები არის დასკვნის არსებითი შემადგენელი ნაწილი, რომლის გარეშეც დასკვნა ვერ იარსებებდა, ამიტომ ის განხილული უნდა ყოფილიყო როგორც ერთი მტკიცებულება.

განჩინება: მოსამართლემ აღნიშნა რომ ეს იყო არა რამდენიმე მტკიცებულება, არამედ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც არ ეწინააღმდეგებოდა კანონს. შესაბამისად, დააკმაყოფილა შუამდგომლობა.

3. დაცვის მხარემ იშუამდგომლა, საქმეს დართვოდა სხვა საქმის პროცესის სხდომის ოქმი, სადაც მოწმის მიერ მიცემული ჩვენება ეწინააღმდეგობოდა ამ სისხლის სამართლის საქმეზე იმავე მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებას.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ საუბარია ორ განსხვავებულ საქმესა და ფაქტობრივ გარემოებაზე, ამიტომ შუამდომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

განჩინება: სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩვენებები ორ დამოუკიდებელ საქმეზეა მიცემული და ისინი ერთმანეთისგან სრულად დამოუკიდებელი იყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ სხვა პროცესზე მიცემული ჩვენების შინაარსობრივი მხარე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმესთან რელევანტური არ იყო. ამ მიზეზით, მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

4. დაცვის მხარემ მოითხოვა საქმეს მტკიცებულების სახით დართვოდა თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადება, სადაც ის აცხადებდა, რომ იცნობდა ბევრ იმ ადამიანს, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიაში ეხმარებოდა და ისინი დაასაქმა მერიაში. დაცვის მხარის განცხადებით, ბრალდება გიგი უგულავას სწორედ ამას ედავებოდა, რომ მან დაასაქმა ხალხი პარტიული ნიშნით, ამიტომ ამ მტკიცებულების არსებობა საქმეში

სტრატეგიული მნიშვნელობის იყო მათთვის. დაცვის მხარის განცხადებით, აღნიშნულზე უკვე მიმართეს საგამოძიებო ორგანოებს გამოძიების დაწყების მოთხოვნით.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ მტკიცებულება არ იყო საქმესთან შემხებლობაში, ამასთან გიგი უგულავამ პირები გააფორმა ფორმალურად, დავით ნარმანიამ კი ოფიციალურად დაასაქმა, მათ შორის კი იყო ძირეული განსხვავება.

განჩინება: სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და აღნიშნა, რომ ამ მტკიცებულების საქმეში არსებობა არანაირ შედეგს არ მოიტანდა, ხოლო გამოძიების დაწყების შემთხვევაში, ინფორმაცია მხარეს ისედაც მიეწოდებოდა.

5. დაცვის მხარემ წარმოადგინა საქმეზე დასართავად მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებდა, რომ ადგილი ჰქონდა ბრალდების მოწმის თ.შ.-ს მიმართ სახელმწიფოს მხრიდან მოსყიდვას. წარმოადგინეს თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „ენკოს“ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, სადაც გამყიდველი იყო შპს „ენკო“, რომლის დირექტორიც არის თ.შ. ხელშეკრულების შინაარსი ეხებოდა ახალგაზრდულ ოლიმპიადას, კერძოდ გზების შეკეთებას სტადიონის ტერიტორიაზე. ნასყიდობის ფასი მილიონ ლარამდე იყო.

ბრალდების მხარის პოზიია: ბრალდების მხარე აცხადებდა, რომ მასალებს საქმესთან კავშირი არ ჰქონდა, ამასთან მოწმის სანდოობის შემოწმება მისი დაკითხვისას იყო შესაძლებელი, შუამდგომლობა კი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ თუ სასამართლო ამ შუამდგომლობას დააკმაყოფილებდა, ისინი წარმოადგენდნენ ინფორმაციას, თუ როგორ იზრდებოდა დაცვის მოწმეების ქონება მ სასამართლოში ჩვენების მიცემის პარალელურად.

განჩინება: სასამართლომ აღნიშნა, რომ დაცვის მხარის განცხადება იყო ვარაუდი, სასამართლო კი ვარაუდს ვერ დაეყრდნობოდა. სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

6. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა მამუკა ახვლედიანის (საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე) ხელახლა დაკითხვის თაობაზე. აღნიშნული მოწმე წარმოადგენდა როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის მოწმეს. ბრალდების მხარეს მამუკა ახვლედიანი წარმოდგენილი ჰყავდა მხოლოდ ტელეიმედის წილების

გადანაწილებისა და რიყის გამოსყიდვის ეპიზოდთან დაკავშირებით, დაცვის მხარეს კი, ასევე, თბილსერვისის ეპიზოდთან დაკავშირებით. თავდაპირველად ეს ეპიზოდები წარმოადგენდა ორ სხვადასხვა საქმეს. დაცვის მხარე აცხადებდა, რომ თუკი არ მოხდებოდა პროკურატურის მიერ ამ ეპიზოდების ერთ საქმეში გაერთიანება, მოწმე ორჯერ დაიკითხებოდა. დაცვის მხარე მიიჩნევდა, რომ ეპიზოდების ერთ საქმეში გაერთიანების მიუხედავად, სასამართლოს მაინც უნდა დაეშვა მამუკა ახვლედიანის ხელმეორედ დაკითხვა. ამასთან, აცხადებდა, რომ როდესაც მამუკა ახვლედიანი ბრალდების მხარის მოწმედ იკითხებოდა, დაკითხვა ეხებოდა რიყისა და ტელეიმედის გადანაწილების ეპიზოდებს, ანუ ხდებოდა ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა და დაცვა ვერ დასვამდა თბილსერვისის ეპიზოდთან დაკავშირებულ კითხვებს, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის 242-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, პირველად იკვლევენ ბრალდების მხარის, ხოლო შემდგომ დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ შეკითხვით მიმართა დაცვის მხარეს, ხომ არ გამორჩათ მამუკა ახვლედიანის დაკითხვისას თბილსერვისთან დაკავშირებით კითხვების დასმა, თუმცა დაცვის მხარემ უარყო ბრალდება. ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკამყოფილებულიყო, რადგან ეს წინააღმდეგობაში იყო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან. პროკურატურამ პროცესზე განაცხადა, რომ დაცვას შეეძლო დაესვა მამუკა ახვლედიანისთვის სასურველი კითხვები ბრალდების მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზეც, მეორედ დაკითხვა კი დაუშვებელი იყო.

განჩინება: მოსამართლემ აღნიშნა, რომ მხარეს უფლება ჰქონდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გამოეკვლია ყველა შესაძლო მტკიცებულება. ამასთან, კოდექსი არ კრძალავდა პირის ორჯერ გამოძახებას სასამართლოში, თუმცა, რაც აკრძალული არაა, არ ნიშნავდა სავალდებულებას . მოსამართლის განმარტებით, დაცვის მხარეს შეეძლო დაესვა მისთვის სასურველი ნებისმიერი კითხვა ბრალდების მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზეც, რადგან დაცვა არცერთ ეტაპზე არაა შეზღუდული ბრალდების მიერ დასმული კითხვების შინაარსით და მოწმე ვალდებული იქნებოდა, ეპასუხა. სასამართლომ მიიჩნია, რომ საუბარი იყო უკვე გამოკვლეულ მტკიცებულებაზე და შუამდგომლობის დაკმაყოფილებით მოხდებოდა მისი ხელმეორედ გამოკვლევა, ამიტომ დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

ბ. ბრალდების მხარის შუამდგომლობები:

1. ბრალდების მხარემ მოითხოვა, საქმეს მტკიცებულებად დართვოდა დოკუმენტები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი შპს "თბილსერვის ჯგუფში" შეიქმნა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების დასაფინანსებლად და რეალურად დასაქმებული პირები დეპარტამენტში არ მუშაობდნენ .

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარემ განაცხადა, რომ მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზებიც უნდა განხილულიყო, ვინაიდან მისი წარმოდგენა მანამდეც შეიძლებოდა. შესაბამისად, დაცვის მხარემ ამ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა მოითხოვა.

განჩინება: მოსამართლემ განაცხადა, რომ აღნიშნული მტკიცებულების ამ ეტაპზე დაშვება გამოიწვევდა მხარეთა შეჯიბრობითობის და თანაბრობის უფლებების დარღვევას. საბოლოოდ, მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რადგან ჩათვალა, რომ ბრალდების მხარეს აღნიშნული შუამდგომლობის ადრეულ ეტაპზე დაყენება შეეძლო.

5.2. მოწმეთა ჩვენებები
ა. ბრალდების მხარის მოწმეები:

იმედის ეპიზოდი

ბრალდების მხარის მოწმის ჯოზეფ ქეის დაკითხვა მოხდა დისტანციური წესით, სკაიპის მეშვეობით. მოწმემ განაცხადა, რომ 2008 წლის დეკემბერში დავით კეზერაშვილმა სთხოვა შეხვედრა. შეხვედრაზე კი უთხრა, რომ "იმედი" უნდა მიეცა მათთვის და ეს იყო მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილება. შემდეგ სატელეფონო საუბარი შედგა მიხეილ სააკაშვილთან, რომელმაც გაუმეორა, რომ „იმედი" უნდა დაეთმო და გაეკეთებინა ის, რასაც დავით კეზერაშვილი ეტყოდა . მოწმის თქმით, მას დავით კეზერაშვილი ემუქრებოდა, ულტიმატუმებს უყენებდა და ეუბნებოდა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ელოდა. ჯოზეფ ქეის განცხადებით, გადაფორმების პროცესში დოკუმენტებთან დაკავშირებით გიგი უგულავასთან ჰქონდა კომუნიკაცია, რომელმაც უთხრა, რომ ყველა დოკუმენტს ისინი მოამზადებდნენ და მას უბრალოდ ხელის მოწერა მოუწევდა. ჯოზეფ ქეის განცხადებით, ტელეკომპანია „იმედი" იძულებით დაათმობინეს, რის სანაცვლოდაც

მოგვიანებით დაახლოებით 9 მილიონი ლარი ჩაურიცხეს და 10% კომპანიის წილიდან შეუნარჩუნეს, რაც მან 2012 წელს ბადრი პატარკაციშვილის ცოლს, ინა გუდავაძეს დაუთმო. ჯოზეფ ქეი ამბობდა, რომ "იმედის" სანაცვლოდ გაცილებით მეტი თანხა უნდა მიეღო, მისი გამოთვლით თანხა, რომელიც მან "იმედისთვის" დახარჯა, 11 მილიონს შეადგენდა. აღნიშნულის თაობაზე მოწმეს დავა არ დაუწყია, ვინაიდან ეშინოდა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების დასაქმების ეპიზოდი

დაკითხულმა "თბილსერვის ჯგუფის" თანამშრომელმა განაცხადა რომ კომპანიის 100% იყო მერიის საკუთრება, რომელსაც წლის ბოლოს უგზავნიდნენ ფინანსურ აღრიცხვას. მოწმის განცხადებით, მასთან საუბრისას გიორგი ხუჭუამ (თბილსერვის ჯფუგის ყოფილი ხელმძღვანელი) თქვა, რომ ტარიელ ხიზანეიშვილის (თბილისის მერის ყოფილი მოადგილე) დავალებით უნდა შექმნილიყო დეპარტამენტი, რაც იყო თბილისის მერის, გიგი უგულავას განკარგულება. მოწმის ინფორმაციით, ახლადშექმნილი დეპარტამენტის შენახვა შპს თბილსერვის ჯგუფს დაახლოებით 5 მილიონი ლარი დაუჯდა. მოწმემ განაცხადა, რომ მას გიგი უგულავასთან პირადი შეხება არ ჰქონია, თუმცა ტარიელ ხიზანეიშვილისგან და გიორგი ხუჭუასგან იცოდა, რომ დეპარტამენტის შექმნის ბრძანება მერმა გასცა.

დაიკითხა კიდევ ერთი მოწმე, რომელიც შპს "თბილსერვის" ჯგუფის თანამშრომელი იყო. მოწმის განცხადებით, მის რეალურ მოვალეობებში თანამშრომლების სახლში ტრანსპორტირება შედიოდა, თუმცა ოფიციალური ხელშეკრულების თანახმად, გაფორმებული იყო საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში სპეციალისტის პოზიციაზე.

მოწმეთა დაკითხვისას გაირკვა, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორები დასაქმებული იყვნენ და ხელფასს იღებდნენ თბილსერვის ჯგუფისგან, თუმცა თავად მათ ამის შესახებ არ იცოდნენ და მათი უმრავლესობა თბილსერვის ჯგუფში არასოდეს მისულა. მიუხედავად ამისა, შრომით ხელშეკრულებაზე მათივე ხელმოწერას ადასტურებდნენ. მათი განმარტებით, ხელშეკრულებას ნაციონალური მოძრაობის ოფისში აწერდნენ ხელს. იყვნენ მოწმეებიც, რომლებიც, გარდა ფორმალური გაფორმებისა, იქ მუშაობდნენ და დადიოდნენ სამსახურში.

დაიკითხა ასევე მოწმე გიორგი ხუჭუა (თბილსერვის ჯგუფის ყოფილი ხელმძღვანელი). მისი განცხადებით, მან ტარიელ ხიზანეიშვილისგან (თბილისის მერის ყოფილი მოადგილე) გაიგო, რომ გიგი უგულავას დავალებით უნდა შექმნილიყო საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, ასევე გადაეცა სია, თუ ვინ უნდა ყოფილიყო იქ დასაქმებული. მოწმემ განაცხადა, რომ ხელფასების მიზნით 3 მილიონამდე თანხა იყო გახარჯული.

თბილსერვის ჯგუფის ერთ-ერთმა თანამშრომელმა კი გაიხსენა, რომ, რადგან ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორები საქმიანობისთვის არ იღებდნენ ხელფასს, ერთ-ერთ თათბირზე, რომელსაც გიგი უგულავაც ესწრებოდა, გადაწყდა მათთვის ხელფასის გაცემა. მოწმის ინფორმაციით, გიგი უგულავამ თათბირზე განაცხადა, რომ დაფინანსება მოხდებოდა, თუმცა წყარო არ დაუსახელებია. მოწმემ მოგვიანებით გაიგო, რომ კოორდინატორებს ხელფასი თბილსერვის ჯგუფიდან ერიცხებოდათ.

თბილსერვისის ერთ-ერთი თანამშრომელი დაკითხვისას აცხადებდა, რომ როგორც ტარიელ ხიზანეიშვილისგან (თბილისის მერის ყოფილი მოადგილე) იცოდა, მას და იქ დასაქმებულ სხვა პირებსაც მხოლოდ პარტიული დავალებების შესრულება მოუწევდათ, ხოლო დეპარტემენტი გიგი უგულავას დავალებით იქმნებოდა. მანვე გაიხსენა, რომ გიგი უგულავა წინასაარჩევნო პერიოდში თავად ესწრებოდა და ხელმძღვანელობდა რამდენიმე შეხვედრას, სადაც მითითებებსაც გასცემდა.

დაიკითხა **ტარიელ ხიზანეიშვილიც** (თბილისის მერის ყოფილი მოადგილე), რომელმაც განაცხადა, რომ დეპარტამენტი შეიქმნა გიგი უგულავას დავალებით და ძირითადად პარტიის აქტივისტები დასაქმდნენ. მოწმის განცხადებით, დეპარტამენტის შექმნაც და გაუქმებაც გიგი უგულავას გადაწყვეტილებით მოხდა. ტარიელ ხიზანეიშვილის ჩვენებით, დასაქმებულებს პარტიული საქმიანობის გარდა, არანაირი სამუშაოს შესრულება არ უწევდათ. მას გადასცეს დასასაქმებელი ადამიანების 400 კაციანი სია.

პროცესზე გამოქვეყნდა შპს „ახალი რიყის" დირექტორის ნ.ბ-ს გამოძიებისას მიცემული 5 ჩვენება. ჩვენებებში გარკვეული ფაქტები ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგალითად, მოწმე პირველ ჩვენებაში საუბრობს, რომ რიყის ტერიტორიაზე სამუშაოები უნდა ეწარმოებინა ოფშორულ კომპანიას, მეორე ჩვენებაში კი აცხადებდა, რომ არ იცის, იყო თუ არა კომპანია ოფშორული. ასევე პირველ ჩვენებაში აცხადებდა, რომ აღნიშნული ოფშორული კომპანიისთვის თანხის გადარიცხვა მას დაავალეს, მეორე ჩვენებაში ამბობდა, რომ მას თანხა არ გადაურიცხავს. ჩვენებაში მოწმემ დაადასტურა, რომ გასაყიდ

ფასად მამუკა ახვლედიანისგან (თბილისის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე) მიიღო შეთავაზება 17 მილიონ დოლარზე, რაზეც დათანხმდა. მოწმემ განაცხადა, რომ დავით კეზერაშვილის სახელით მას მიუტანეს ხელშეკრულება, სადაც ჯარიმის სახით 10 მილიონი დოლარი იყო გათვალისწინებული, დარჩენილი 7 მილიონი კი განაწილდა შპს-ს დამფუძნებლებს შორის.

ბ. დაცვის მხარის მოწმეები:

რიყის ტერიტორიის ეპიზოდი

დაიკითხა ძველი ქალაქის რეაბილიტაციის ფონდის თანამშრომელი (სწორედ აღნიშნულმა ფონდმა გამოისყიდა შპს "ახალი რიყისგან" რიყის ტერიტორია 17 მილიონ ლარად). მან განაცხადა, რომ ფონდში გადაწყვეტილებებს იღებდა თავმჯდომარე ან ფონდის გამგეობა, გამგეობის თამჯდომარე 2008 წელს იყო მამუკა ახვლედიანი. მოწმე არ ფლობდა ინფორმაციას, ჰქონდა თუ არა უგულავას ან კეზერაშვილს პირადი ინტერესი რიყის ტერიტორიასთან დაკავშირებით. მოწმემ განაცხადა, რომ ფონდსა და შპს „ახალ რიყეს" შორის ხელშეკრულება მას არ მოუმზადებია. რიყის ტერიტორიის გადმოცემის შემდგომ, მოწმის განცხადებით იქ სხვადასხვა სამუშაო ჩატარდა, მათ შორის გვირაბის რეკონსტრუქცია და პარკის გაშენება.

დაიკითხა მერიის თანამშრომელი, რომელმაც განაცხადა, რომ, როგორც მან იცოდა, რიყის გამოსყიდვის მიზანი იყო იქ პარკის გაშენება. გიგი უგულავას, დავით კეზერაშვილის ან ჯოზეფ ქეის დაინტერესების შესახებ არ სმენია. მისი განცხადებით, გიგი უგულავა არასოდეს დაინტერესებულა და რაიმე ინფორმაცია შესყიდვებთან დაკავშირებით არასოდეს მოუთხოვია.

დასაქმების ეპიზოდი

დაიკითხნენ დაცვის მხარის მოწმეები, რომლებიც დასაქმებულები იყვნენ თბილსერვის ჯგუფში. მოწმეებმა თბილსერვის ჯგუფში დასაქმების ფარგლებში და პერიოდში რაიმე პარტიული სამუშაოს შესრულება უარყვეს, თუმცა აცხადებდნენ, რომ იყვნენ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები, დაურიგებიათ ბუკლეტები და ვაუჩერები, თუმცა დარიგებისას აგიტაციის გაწევა უარყვეს.

მოწმეების თქმით, თბილსერვისში დასაქმების პერიოდში მათ მოვალეობაში შედიოდა სამოქმედო ტერიტორიაზე ბუნკერების მდგომარეობისა და დასუფთავების პირობების კონტროლი. დაცვის მოწმეები აცხადებდნენ, რომ ისინი მერიაში სპეციალური განაცხადის შევსების გზით დასაქმდნენ და ყველა მათგანმა უარყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისში ხელშეკრულებაზე ხელმოწერა. მოწმეები აცხადებდნენ, რომ თუკი სამოქმედო ტერიტორიაზე დასუფთავებასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემა იყო, ამის თაობაზე თბილსერვისში რეკავდნენ, თუმცა პირადად გიგი უგულავასთან შეხება არასოდეს ჰქონიათ.

დაცვის მხარის ერთ-ერთი მოწმის განცხადებით, საგამოძიებო ორგანოში დაკითხვისას მას ეუბნებოდნენ, რომ მასაც და გიგი უგულავასაც დაიჭერდნენ, თუ სიმართლეს არ იტყოდა. მოწმემ განაცხადა, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა ზეწოლას, რაც გამოიხატა გამომძიებლის მხრიდან ხმამაღალ ტონში. ასევე, განაცხადა რომ 3 საათის განმავლობაში წყალი არ დაალევინეს.

მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა. საქმეზე განაჩენი არ დამდგარა.

ჩვენი დაკვირვება:

მოსამართლე დარბაზში წესრიგს ინარჩუნებდა, ამისთვის რამდენჯერმე დასჭირდა გამოეყენებინა ჯარიმა და დარბაზიდან გაეძევებინა დამსწრეები. ბრალდებული ხშირად პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდა. მოსამართლეს რამდენჯერმე მოუხდა მოეწოდებინა თავის შეკავებისაკენ, თუმცა რეალური შეზღუდვა არ მომხდარა.

მოსამართლემ დაცვას მოუწოდა მტკიცებულებათა გამოკვლევა მალე, რამდენიმე პროცესში დაესწრულებინა. მოსამართლემ მიიჩნია, რომ ირღვეოდა სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი. ბრალდებულს აქვს უფლება სწრაფი მართლმსაჯულებისა ამ კოდექსით დადგენილ ვადებში, თუმცა მას შეუძლია უარი განაცხადოს ამ უფლებაზე, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადოდ მომზადებისათვის. [21] აქვე გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ უფლებას აქვს საზღვრები. აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს სასამართლოს რესურსები და არ ხდებოდეს მისი არამიზნობრივი გამოყენება. შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებულ სისტემაში, სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა

[21] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი

და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა.[22]

მართალია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით მოსამართლეს შეუძლია შეკითხვების დასასმელად და დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადა, თუმცა ეს ეხება ყოველ კონკრეტულ მოწმეთა დაკითხვის შემთხვევას, კოდექსი პირდაპირ არ არეგულირებს საკითხს, აქვს თუ არა მოსამართლეს უფლება მოუწოდოს მხარეს მტკიცებულებათა გამოკვლევის დაჩქარებაზე და შეზღუდოს მხარე დროში. სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი სულისკვეთებიდან გამომდინარე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი უნდა გადაწყდეს ისე, რომ ხელი არ შეეშალოს მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებას და მხარის უფლებას მის მიერ განსაზღვრული მოცულობით და თანმიმდევრობით წარმოადგინოს მისი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი უნდა შეფასდეს იმგვარად თუ რამდენად შეეშალა ხელი მხარეს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ფაქტების სრულყოფილად დადგენაში და მტკიცებულებების გამოკვლევაზე უარმა პირდაპირპროპორციულად განაპირობა თუ არა მეორე მხარის სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანა. მნიშვნელოვანია შეფასდეს გამოსაკვლევი მტკიცებულებების შინაარსი და პირდაპირი ეფექტი მისაღწევ შედეგზე.

საქმის განხილვისას ვერ ხერხდებოდა მოწმეთა ერთმანეთთან კომუნიკაციის თავიდან აცილება. საქმეზე დაბარებული მოწმეები სხდომის დაწყებას დერეფანში ერთად ელოდებოდნენ და საუბრის შესაძლებლობა ჰქონდათ.

მედია საშუალებებს პროცესის მიმდინარეობის გადაღებაში ხელი არ შეშლიათ.

[22] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 25-ე მუხლის 1-ელი ნაწილი

გიგი (გიორგი) უგულავა, ალექსანდრე გოგოხია

I. უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ეპიზოდი
II. სითი-პარკის ეპიზოდი
III. მარნეულის ეპიზოდი

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

გიგი (გიორგი) უგულავა (ქალაქ თბილისის ყოფილი მერი) - იძულება, ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს (მარნეულის ეპიზოდი), განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზება და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება (უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ეპიზოდი), სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სითი-პარკი ეპიზოდი).[23]

ალექსანდრე გოგოხია (ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიის EXIMUS HOLDING-ის დირექტორი) - დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.
გიორგი ღონიაშვილი (გიგი უგულავას ქვისლი)- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ჯგუფურად, რასაც ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება, აგრეთვე ზეგავლენით ვაჭრობა.

დავით ჭედია (ქალაქ თბილისის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" ყოფილი უფროსი)- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

შენიშვნა: ბრალდებულმა გიორგი ღონიაშვილმა აირჩია მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განეხილა, შესაბამისად მისი საქმე გამოეყო გიგი უგულავას და სხვა ბრალდებულების საქმეს. ბრალდებულ დავით ჭედიას მიმართ კი სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

[23] შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით

2. რით გამოიხატა ქმედება

I. უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია

გამოძიების თანახმად, გიორგი უგულავას დანაშაულში ჩართულ სხვა პირებთან ერთად, მათ შორის ამავე საქმეზე დაკავებულ მის ქვისლ გიორგი ღონიაშვილსა და ლატარიის კომპანიის ყოფილ დირექტორთან, დავით კეზერაშვილის ბიზნეს პარტნიორ, ალექსანდრე გოგოხიასთან ერთად, ერთ-ერთი ოფშორული კომპანიიდან საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ე.წ. „შავი ფული“ მართლსაწინააღმდეგოდ შემოჰქონდა. აღნიშნული თანხა შემდგომში პოლიტიკური პარტიის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებას უნდა მოხმარებოდა. კერძოდ, ოფშორულ ზონაში, ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული, დავით კეზერაშვილთან დაკავშირებული კომპანიიდან, „ექსიმუს ჰოლდინგიდან“, ფიქტიური ხელშეკრულების საფუძველზე თანხა ირიცხებოდა ასევე ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიის, „ბრუქთრეიდის“ ანგარიშზე, საიდანაც აღნიშნული თანხა უკვე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიაში გიორგი ღვინიაშვილისა და გიგი უგულავას გამგებლობაში ხვდებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების მიზნით.

საერთო ჯამში, ოფშორული კომპანიიდან საქართველოში ფიქტიური ხელშეკრულების საფუძველზე ფულის გათეთრების გზით უნდა გადმორიცხულიყო 1 500 000 აშშ დოლარი, ხოლო გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მათ მხოლოდ 760 000 აშშ დოლარის გადმორიცხვა შეძლეს. აღნიშნული თანხა გიორგი უგულავამ პარტიული მიზნებისთვის გამოიყენა.

II. მარნეულის ეპიზოდი

გიგი უგულავა ბრალდებულია მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ 2014 წლის 05 ივნისს განხორციელებული იძულებისა და ჯგუფური მოქმედების ორგანიზებისათვის, რომელიც მიმართული იყო მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის კანონიერი საქმიანობის შეფერხებისაკენ. გიგი უგულავა და მისი პარტიის წევრები შეიჭრნენ მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში და მის თავმჯდომარეს მოსთხოვეს გაეცა პასუხი კითხვაზე, თუ რატომ გაუუქმა მან პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გამგებლობის კანდიდატის, აკმამედ იმამყულიევს რეგისტრაცია.

III. სითი-პარკის ეპიზოდი

“სი-თი პარკის” საქმესთან მიმართებით, გიგი უგულავას ბრალი ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და ამით კერძო კომპანიისთვის უპირატესობის მინიჭება. კერძოდ, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და გაფორმებული ხელშეკრულებების შედეგად, კერძო კომპანიის (სი-ტი პარკის) მიერ ჯარიმების გამოწერით შედეგად მიღებული თანხები აღარ ნაწილდებოდა სახელმწიფო და თვითმმართველობის ბიუჯეტს შორის და შემოსავალი ექცეოდა შპს „სი-ტი პარკის“ მფლობელობაში, შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს ზიანი მიადგა. კომპანიამ ზედმეტად მიიღო 1 086 718 ლარი.

3. მნიშვნელოვანი გარემოებები/ფაქტები

აღნიშნულ საქმეზე ბრალდებული გიგი უგულავა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს მაშინ, როდესაც რამდენიმე დღით ადრე სასამართლომ სხვა საქმეზე ბრალდების მხარის შუამდგომლობა პატიმრობის გამოყენების თაობაზე არ დააკმაყოფილა და თბილისის მერი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

ბრალდებულმა გიგი უგულავამ აღკვეთი ღონისძიების შეფარდების სხდომაზე განაცხადა, რომ მის მიმართ დაირღვა ადვოკატის ყოლის უფლება, ვინაიდან დაკავებიდან პირველი სამი საათის განმავლობაში ადვოკატებს მასთან შესვლის უფლება არ მისცეს. ამასთან, მისმა ადვოკატებმა პროცესზე განაცხადეს, რომ ბრალდებულს დაკავებისას არ განუმარტეს, თუ რა დანაშაულისთვის დააკავეს.

დაცვის მხარემ, ასევე, განაცხადა, რომ დაირღვა შეჯიბრობითობის პრინციპი, ვინაიდან მათ შეეზღუდათ საქმის მასალებზე წვდომა. ბრალდების მხარემ აღნიშნულზე განაცხადა, რომ ადვოკატების ორდერზე არ იყო ხელმოწერა, საქმის ნომერიც არასწორად ეწერა და მათ ბრალდებულის ნახვის უფლება ამიტომ არ მისცეს. პროკურატურის განცხადებით, მტკიცებულებების გადაცემისას, მათ გონივრული ვადა დაიცვეს და ადვოკატებს საქმის მასალები 10 საათში გადასცეს, თუმცა დაცვის მხარე მასალების წასაღებად არ გამოცხადდა. ბრალდების თქმით, აღნიშნულის შესახებ ოქმიც არსებობდა. ერთ ერთმა ბრალდებულმა, დავით ჭედიამ განაცხადა, რომ პროკურატურამ ამ საქმეზე განრიდება შესთავაზა. მოგვიანებით კი, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

გიორგი ღონიაშვილის ადვოკატმა განაცხადა, რომ მას მტკიცებულებები კანონით დადგენილ ვადაში გადაეცა, თუმცა თავად ბრალდებულს ციხეში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მოპოვებული მასალების გაცნობის შესაძლებლობა არ ჰქონდა. მან აღნიშნა, რომ პროკურატურაში გააგზავნეს წერილი, ხოლო პროკურატურამ სასჯელაღსრულების დაწესებულებას მიმართა, რომ გიორგი ღონიაშვილისთვის მასალების გაცნობის ტექნიკური საშუალება მიეცათ. აღნიშნული პრობლემა იყო გიორგი უგულავას მიმართაც, თუმცა დაცვის მხარის განცხადებით, პროკურატურის დახმარებით აღმოიფხვრა.

ბრალდების მხარემ ერთ-ერთ პროცესზე დაცვის მხარე საქმის გაჭიანურებაში დაადანაშაულა. მათი განცხადებით, დაცვის მხარისთვის ცნობილი იყო, რომ ციხეში მყარი დისკების ჩვენების ტექნიკური უზრუნველყოფა ვერ ხდებოდა. მიუხედავად ამისა, გიორგი ღონიაშვილს სწორედ მყარ დისკზე განთავსებული მასალები მიუტანეს, რომ პროცესი გაჭიანურებულიყო. ბრალდების მხარის მტკიცებით, ჩაფიქრებული იყო,შემდგომში ბრალდების მხარე დაედანაშაულებინათ პროცესის გაჭიანურებაში. მომდევნო პროცესებზე გაირკვა, რომ აღნიშნული პრობლემა მოგვარდა და ბრალდებულმა ყველა მასალა ნახა.

გიგი უგულავამ უარი განაცხადა პროცესებზე დასწრებაზე. აღნიშნული განცხადების შემდგომ იგი პროცესებს აღარ დასწრებია.

4. აღკვეთის ღონისძიება

ბრალდების მხარემ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მოითხოვა. ბრალდების განცხადებით, საქმე ეხებოდა მძიმე კატეგორიის დანაშაულებს, ამასთან არსებობდა ეჭვი, რომ ბრალდებული მიიმალებოდა, არ გამოცხადდებოდა სასამართლოში, გაანადგურებდა საქმისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებას, ხელს შეუშლიდა გამოძიებას ან ჩაიდენდა ახალ დანაშაულს. ბრალდების მხარე ითხოვდა, საკითხის გადაწყვეტისას ასევე მხედველობაში ყოფილიყო მიღებული ბრალდებული გიგი უგულავას კავშირი დავით კეზერაშვილთან, რომელიც იძებნებოდა. ბრალდების მხარის განცხადებით, ისინი ფლობდნენ ოპერატულ ინფორმაციას, რომ გიგი უგულავა საზღვრის გადაკვეთის შემდგომ აპირებდა მიმალვას. მათივე მტკიცებით, ადგილი ჰქონდა ბრალდებულის მხრიდან მოწმეებზე ზეწოლას.

დაცვის მხარის თანახმად, მოწმე, რომლის მიმართაც ადგილი ჰქონდა შესაძლო ზეწოლის ფაქტს, იძლეოდა არაერთგვაროვან ირიბ ჩვენებებს, რაც მის სანდოობას ეჭვქვეშ აყენებდა. რაც შეეხება მეორე მოწმეზე ზეწოლის ფაქტს, რასაც ბრალდება სატელეფონო საუბრის ამონაწერით ადასტურებდა, დაცვის მხარის განმარტებით, ამონაწერი განჩინების გარეშე იყო ამოღებული, ანუ სატელეფონო საუბარუ უკანონოდ იყო მოპოვებული. შესაბამისად, ის ვერ დაედებოდა საფუძვლად პატიმრობის შეფარდებას. დაცვის მხარე უარყოფდა ბრალდებულის მხრიდან მიმალვის საფრთხის არსებობას, ვინაიდან შეფარდებული გირაოს პირობები გიგი უგულავას არც ერთხელ არ დაურღვევია, რამდენიმე საქმეზე კი მის მიმართ აღკვეთი ღონისძიება არ გამოუყენებიათ. ამასთან, ბრალდებულმა გამგზავრებამდე საჯაროდ განაცხადა, რომ იგი უკრაინაში 2 დღიანი ვიზიტით მიდიოდა (გიგი უგულავა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს), და მისი გამგზავრება ვერ ჩაითვლებოდა მიმალვის მცდელობად. დაცვის მხარე ბრალდებულ გიგი უგულავას აღკვეთი ღონისძიების გარეშე დატოვებას ან პირადი თავდებობის გამოყენება ითხოვდა.

სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა ადგილზე თათბირით დააკმაყოფილა და ბრალდებულ გიორგი უგულავას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

ამ დროისთვის გიორგი ღონიაშვილს აღკვეთი ღონისძიების სახით უკვე შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა, ხოლო ალექსანდრე გოგოხიას მიმართ გამოცხადებული იყო ძებნა.

5. პროცესის მიმდინარეობა

5.1. მნიშვნელოვანი შუამდგომლობები

ა. დაცვის მხარის შუამდგომლობები:

1. დაცვის მხარემ ბრალდებულ გიგი უგულავას მიმართ აღკვეთი ღონისძიების შეცვლა მოითხოვა. დაცვის მხარემ განაცხადა, რომ არ არსებობდა პატიმრობის საფუძვლები. კერძოდ, არ არსებობდა ბრალდებულის მიმალვის საფრთხე, რადგან ბრალდებულს სხვა საქმეებზე შეფარდებული ჰქონდა გირაო და მისი პირობები ბრალდებულს არასდროს დაურღვევია. ბრალდებულმა არაერთხელ დატოვა საქართველო და უკან დაბრუნდა. ადვოკატმა, ასევე, განაცხადა, რომ საგამოძებო ორგანოებში დაბარების გამო, ბრალდებულმა ორჯერ გადადო საერთაშორისო ვიზიტი. დაცვამ განაცხადა, რომ გიგი უგულავას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე ბრალდებულმა თვითმფრინავის ბილეთები საჯაროდ განათავსა სოციალურ

ქსელში და საგამოძიებო ორგანოს წინასწარ აცნობა (მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით), რომ იგი დროებით ქვეყნის დატოვებას აპირებდა, რაც მიანიშნებდა, რომ ბრალდებული მიმალვას არ ცდილობდა. დაცვის მხარემ, ასევე, უარყო ბრალდების მტკიცება მოწმეებზე შესაძლო ზეწოლის თაობაზე, თითქოს ორმა მოწმემ მიიღო მოკლე ტექსტური შეტყობინება, რომ არ გამოცხადებულიყო პროცესზე და არ მიეცა ჩვენება. დაცვამ განაცხადა, რომ აღნიშნული პატიმრობის საფუძველი ვერ იქნებოდა, რადგან ამ ფაქტებიდან ერთ-ერთზე გამოძიება არ დაწყებულა, მეორეზე კი პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, თუმცა ვერაფერი დაადგინა. ამ გარემოებებზე დაყრდნობით, დაცვა ითხოვდა, პატიმრობა შეცვლილიყო გირაოთი 20 000 ლარის ოდენობით.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შემდეგ არ გამოვლენილა ახალი გარემოება, რაც ღონისძიების სახის გადასინჯვის საფუძველი გახდებოდა. ჯერ კიდევ არსებობდა ბრალდებულის მიმალვის საფრთხე, ვინაიდან ბრალდებულს ქონდა სათანადო კავშირები საზღვარგარეთ. გიგი უგულავას აეროპორტში დაკავებაც სწორედ იმაზე მიანიშნებდა, რომ ის მიმალვას ცდილობდა. ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ დაცვის მხარის მტკიცება, თითქოს გიგი უგულავამ გაუგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინება გამომძიებელს გამგზავრების შესახებ, ვერ დასტურდება, ვინაიდან საქმეში არ იდო ამის დამადასტურებელი მტკიცებულება. ბრალდების მხარე გიგი უგულავას პატიმრობაში დატოვების დამადასტურებელ გარემოებად ასევე ასახელებდა ბრალდებულის კავშირს საზღვარგარეთ მყოფი დანაშაულებრივი ჯგუფის წარმამადგენელთან, ალექსანდრე გოგოხიასთან (იმავე საქმეზე ძებნაში მყოფი ბრალდებული). ბრალდების წარმომადგენლების თანახმად, გიგი უგულავას მოწმეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მცდელობა ჰქონდა. ამასთან, მოწმეები წარმოადგენენ მის სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფ პირებს და ბრალდებულს მათზე ზემოქმედება შეეძლო. პროკურატურის განმარტებით, დაცვის მხარის მტკიცება, რომ ყველა მტკიცებულება უკვე მოპოვებულია და ამის გამო არ მოხდებოდა მოწმეებზე ზეწოლა, გათვალისწინებული არ უნდა ყოფილიყო, რადგან მოწმეთა ჩვენება მხოლოდ მაშინაა მტკიცებულება, როდესაც ისინი სასამართლოს წინაშე იქნებიან წარდგენილი. პროკურატურამ, ასევე, განაცხადა, რომ ბრალდებულმა გირაოს ქვეშ ყოფნის პერიოდში, (იგულისხმება ამ საქმის დაწყებამდე სხვა საქმეზე გამოყენებული გირაო) ჩაიდინა ამ საქმეში არსებული დანაშაულებრივი ქმედება, რაც მიანიშნებდა, რომ სხვა საქმეში გამოყენებულ მსუბუქი აღკვეთის ღონისძებას, გირაოს, მის მიმართ შემაკავებელი ხასიათი არ ჰქონდა. შესაბამისად, მიმდინარე საქმეზე პატიმრობა უნდა გამოყენებულიყო.

შენიშვნა: აღნიშნულზე დაცვამ განაცხადა, რომ გირაოს მოქმედების პერიოდში ბრალის წარდგენა არ ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენა დამტკიცებულია.

განჩინება: სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და გიგი უგულავა პატიმრობაში დატოვა. სასამართლომ განმარტა, რომ ის საფუძვლები, რომლებიც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას დაედო, კვლავ არსებობდა და საქმეზე აღკვეთის ღონისძიების შეცვლის გარემოება არ გამოვლენილა.

2. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ გიორგი ღონიაშვილის (გიგი უგულავას ქვისლი) აღკვეთის ღონისძიების საკითხიც იმავე მოსამართლემ განიხილა. საკითხის განხილვისას კი პატიმრობის მოთხოვნის საფუძვლად იგივე გარემოებები იყო წარმოდგენილი (საზღვარგარეთ გასვლა) და მოსამართლემ ღონიაშვილს პატიმრობა შეუფარდა. ვინაიდან დაცვის მხარეს ღონიაშვილის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება უსამართლოდ მიაჩნდა, მისი აზრით, იგივე მოსამართლე გიგი უგულავას მიმართ ობიექტური ვერ იქნებოდა.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და აღნიშნა, რომ აცილების არცერთი საფუძველი არ არსებობდა. მათი განცხადებით, დაცვამ რამდენიმე საათით ადრე იცოდა, რომ აღნიშნული მოსამართლე განიხილავდა აღკვეთი ღონისძიების საკითხს და შეეძლოთ შუამდგომლობა წერილობითი ფორმით წარმოედგინათ.

განჩინება: სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და აღნიშნა, რომ მხარემ ერთი საათით ადრე იცოდა შუამდგომლობის განმხილველი მოსამართლის ვინაობა და შეეძლო შუამდგომლობის წერილობით წარმოდგენა. გარდა ამისა, რამდენიმე პირის მიმართ საქმის განხილვა მოსამართლის აცილების საფუძველი ვერ გახდებოდა.

3. დაცვის მხარემ იშუამდგომლა, საქმეს დართვოდა შემდეგი დოკუმენტები: Human Rights Watch-ის მოხსენება, სადაც საუბარია საქართველოში პოლიტიკური მოტივით განხორციელებულ სისხლისსამართლებრივ დევნებზე და მორატორიუმის დროს გიორგი უგულავას დაკავებაზე; ევროსაბჭოს რეზოლუცია, სადაც გიგი უგულავას პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივ დევნაზე არის აღნიშნული. დაცვის

მხარემ განაცხადა, რომ ამ დოკუმენტების გამოკვლევა ხელს შეუწყობდა დაცვის უფლების რეალიზაციაში, ობიექტური მიზეზიდან გამომდინარე კი აღნიშნულ დოკუმენტებს უფრო ადრე ვერ წარადგენდნენ.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო და დაცვის მხარის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები მტკიცებულებებად დაშვებული არ უნდა ყოფილიყო. პროკურატურის განმარტებით, დაცვის მხარემ ამ მტკიცებულებათა ავთენტურობა და რელევანტურობა ვერ დაადასტურა, ვინაიდან დოკუმენტების შემდგენი პირების დაკითხვა შეუძლებელი იყო. ბრალდების მტკიცებით, მოთხოვნილი დოკუმენტები არ ეხებოდა არცერთ იმ ეპიზოდს, რაშიც გიგი უგულავას ამ კონკრეტულ საქმეზე ედებოდა ბრალი. ასევე, დოკუმენტებში არსად იყო საუბარი იმაზე, რომ გიგი უგულავას უკანონოდ ედებოდა ბრალი, ის უკანონოდ დააკავეს ან მის მიმართ ხორციელდებოდა პოლიტიკური დევნა. ბრალდების განცხადებით, პოლიტიკური დევნის შესახებ დასკვნას Human Rights Watch არ აკეთებს, დოკუმენტში აღნიშნულია ტერმინი „ოპოზიციის განმარტებით“. ბრალდებამ, ასევე, განაცხადა, რომ დოკუმენტები ფაქტობრივ გარემოებებს არ ადასტურებდნენ.

განჩინება: სასამართლომ დააკმყოფილა შუამდგომლობა და აღნიშნა, რომ დოკუმენტების შემხებლობა ბრალდებულთან ნამდვილად დასტურდებოდა.

4. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე იმ მიზეზით, რომ ადვოკატი ახალი ჩართული იყო საქმეში და მას აღკვეთი ღონისძიების შეცვლის თაობაზე შუამდგომლობის დაყენება სურდა. იმავე ადვოკატს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში აღკვეთი ღონისძიების საკითხზე საჩივარი ჰქონდა შეტანილი და სურდა, რომ ეს შუამდგომლობა სწორედ მას დაეყენებინა. მოსამზადებლად კი ერთი კვირა მოითხოვა.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას. პროკურორმა განაცხადა, რომ ადვოკატმა იცოდა საქმის მასალები, რადგან სტრასბურგში გაგზავნილი საჩივარი სწორედ ამ საქმეს შეეხებოდა. ბრალდებამ დაცვის მხარის ქმედება პროცესის გაჭიანურებად შეაფასა.

განჩინება: სასამართლომ დაცვის მხარეს განუმარტა, რომ ყოველი ახალი დამცველის ჩართვა სხდომის გადადების საფუძველს არ იძლევა. მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

5. დაცვის მხარემ ბრალდებულ დავით ჭედიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობა დააყენა. დაცვის მხარის განმარტებით, დანაშაულის ჩადენაზე არც ერთი მოწმის ჩვენება არ მიუთითებდა, არსებული მტკიცებულებებით მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დასტურდებოდა. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობა დაყენდა გიგი უგულავას მიმართ. დაცვის მხარე აცხადებდა რომ ვერ დასტურდებოდა ბრალდებულების მხრიდან დანაშაულის ჩადენა.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარე არ დაეთანხმა არც ერთ შუამდგომლობას და განაცხადა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება ბრალდებულთა მხრიდან დანაშაულის ჩადენა.

განჩინება: სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისია ალბათობის მაღალი ხარისხის არსებობისთვის, რომ უგულავამ აღნიშნული დანაშაულები ჩაიდინა. შესაბამისად, არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა მის მიმართ დევნის შეწყვეტის თაობაზე. დავით ჭედიას მიმართ კი სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი ალბათობის მაღალი ხარისხის არსებობის სტანდარტისთვის, ამიტომ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

6. დაცვის მხარემ გიგი უგულავას მიმართ აღკვეთი ღონისძიების გაუქმების თაობაზე დააყენა შუამდომლობა.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარე დაეთანხმა დაცვის მხარის შუამდგომლობას. ვინაიდან სხვა საქმეზე ბრალდებულს უკვე შეეფარდა პატიმრობა, ამით კი აღკვეთი ღონისძიების მიზნები მიიღწეოდა, ბრალდებას სხვა სახის აღკვეთი ღონისძიების შეფარდებაზე არ უშუამდგომლია.

განჩინება: სასამართლომ დააკამყოფილა შუამდგომლობა. ბრალდებულ გიგი უგულავას პატიმრობა მიმდინარე საქმეზე გააუქმდა, თუმცა პატიმრობაში რჩება, ვინადიან მას სხვა საქმეზე აქვს შეფარდებული პატიმრობა.

ბ. ბრალდების მხარე:

1. ბრალდების მხარემ წარმოადგინა ახალი მტკიცებულება. კერძოდ, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების შესაბამისი ორგანოდან მიღებულ პასუხი პროკურატურის წერილზე. ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ მტკიცებულების წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზი არსებობდა, ვინაიდან პასუხი ახლა მოვიდა და მისი მანამდე წარმოდგენა შეუძლებელი იყო.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარემ მტკიცებულების გასაცნობად დამატებითი დრო მოითხოვა.

მომდევნო სხდომაზე დაცვის მხარის წარმოამდგენლებმა განაცხადეს, რომ შინაარსობრივად ეთანხმდებოდნენ მტკიცებულების საქმეზე დართვას, თუმცა აცხადებდნენ, რომ წერილი დაგვიანებით გადაეცა დაცვის მხარეს და პროკურატურას ის უფრო ადრე ჰქონდა მიღებული. ბრალდების მხარემ აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სისტემაში დადგენილი პროცედურებიდან გამომდინარე, თავადაც გვიან მიიღო და გაეცნო წერილს, გაცნობიდან ორ დღეში კი სასამართლო პროცესზეც წარმოადგინა.

განჩინება: მოსამართლემ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და აღნიშნა, რომ ბრალდების მხარისთვის წერილი მართლაც სასამართლოში წრმოდგენამდე ორი დღით ადრე გახდა ხელმისაწვდომი, შესაბამისად, მის უფრო ადრე წარმოდგენას ვერ მოახერხებდა.

2. ბრალდების მხარემ იშუამდგომლა, ბრალდებულ გიორგი ღონიაშვილის მიმართ პატიმრობა შეცვლილიყო 10 000 ლარიანი გირაოთი.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და აღნიშნა, რომ აღკვეთი ღონისძიების გამოყენების საფუძვლები საერთოდ არ არსებობდა. ამასთან, ბრალდებული ვერ შეძლებდა 10 000 ლარის გადახდას. დაცვის მხარემ მოითხოვა, არ დაკმაყოფილებულიყო ბრალდების მხარის შუამდგომლობა და ღონიაშვილი აღკვეთი ღონისძიების გარეშე დარჩენილიყო.

განჩინება: სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა გირაოს შეფარდების თაობაზე, სასამართლომ გაითვალისწინა დაცვის მხარის არგუმენტაცია და ბრალდებული აღკვეთი ღონისძიების გარეშე დატოვა. შესაბამისად, ის გათავისუფლდა.

5.2 მოწმეთა ჩვენებები

ა. ბრალდების მხარის მოწმეები:

დაიკითხა მოწმე, რომელმაც განაცხადა, რომ მან გ.კ.-გან გაიცნო გიორგი ღონიაშვილი (ბრალდებული). გ.კ.-მ მას რამდენჯერმე შესთავაზა ყალბ ანგარიშ-ფაქტურებთან დაკავშირებით შეხვედრა, რამდენიმე უარის თქმის შემდეგ კი მოწმემ ფინანსურ პოლიციას მიმართ და შეხვედრის ადგილას კამერები დაამონტაჟებინა. მოწმეს სთხოვდნენ, რომ მოხდებოდა ოფშორული კომპანიიდან თანხის დარიცხვა მისი კომპანიის ანგარიშზე, შემდეგ კი მოხდებოდა განაღდება. გ.კ. შეპირდა, რომ თვითონ მოაგვარებდა საქმეებს. მოწმემ კონკრეტულ თემა ვერ გაიხსენა. თუმცა, ახსოვდა, რომ გარკვეულ საკითხებზე ეუბნებოდნენ, რომ ამას გიგი უგულავა მოაგვარებდა.

მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა. საქმეზე განაჩენი არ დამდგარა.

ჩვენი დაკვირვება:

გიგი უგულავა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურამდე რამდენიმე დღით ადრე დააკავეს, რაც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გამოცხადებული ე.წ მორატორიუმის[24] დარღვევა იყო, ვინაიდან გიგი უგულავა იმ პერიოდში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობდა. ამასთან, საინტერესოა, რომ რამდენიმე დღით ადრე ბრალდების მხარის შუამდგომლობა აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებაზე სასამართლომ არ დააკმაყოფილა. ცხადია, მისი დაკავება მოხდა სხვა ბრალდების საქმეზე, რის უფლებამოსილებასაც კანონმდებლობა იძლევა. თუმცა, მოვლენათა განვითარების ქრონოლოგია სერიოზულ კითხვის ნიშნებს აჩენს.

---

[24] მორატორიუმის ფარგლებში, სამართალდამცავ ორგანოებს მაქსიმალურად უნდა შეეკავებინათ თავი იმ პირთა კანონიერი უფლებების შეზღუდვისა და დაკავებისგან, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ წინასაარჩევნო კამპანიაში http://www.myvideo.ge/?video_id=2309419

საქმის განხილვისას პროცესებზე რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა, რომელიც მხარეთა შეჯიბრებითობას ხელყოფდა, არ გამოვლენილა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა ეძლეოდათ, წარმოედგინათ არგუმენტები და მტკიცებულებები, განეხორციელებინათ საპროცესო მოქმედებები და დაეცვათ საკუთარი ინტერესები.

გიგი (გიორგი) უგულავა, ალექსი თაბუაშვილი და სხვები (თბილისის განვითარების ფონდის საქმე)

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

გიგი (გიორგი) უგულავა (ქ.თბილისის ყოფილი მერი) – სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა.

ალექსი თაბუაშვილი (ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის ყოფილი უფროსი) – დიდი ოდენობით სხვისი ქონების მითვისება ან გაფლანგვა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

დავით ავალიანი (ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის ყოფილი გამგებელი) – სხვისი ქონების მითვისება ან გაფლანგვა

დიმიტრი ჩხეიძე (ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგებლის ყოფილი მოადგილე) – თანამონაწილეობა სხვისი ქონების მითვისებასა ან გაფლანგვაში.

დავით ალავიძე (თბილისის მერის ყოფილი მოადგილე) – სხვისი ქონების მითვისება ან გაფლანგვა.

გიორგი საბანაძე („თბილისის განვითარების ფონდის“ ყოფილი ხელმძღვანელი) – სხვისი ქონების მითვისება ან გაფლანგვა

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების მხარის მტკიცებით, გიგი უგულავამ სხვა ბრალდებულებთან ერთად შეიმუშავა დანაშაულებრივი სქემა, რომლითაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად თბილისის რეაბილიტაციისათვის შექმნილი „თბილისის განვითარების ფონდის“ თანხები (48 180 460 ლარი) გაფლანგა.

ბრალდების თანახმად, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს, პლასტიკურ ბარათებზე, ხელფასის სახით, 13 852 497 ლარი დაერიცხათ. ბრალდების მეორე ეპიზოდის მიხედვით, იმისთვის, რომ თანხა არ დაბეგრილიყო, ბრალდებულებს თანხა

გამოჰქონდათ და შემდეგ აქტივისტებს ურიგებდნენ. ამ მიზნით ფონდმა 34 328 463 ლარით იზარალა.

3. მნიშვნელოვანი გარემოებები/ფაქტები

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების[25] შემდგომ, დაცვის მხარეს მიეცა შესაძლებლობა, მოეთხოვა გიგი უგულავასთვის თბილისის მერის უფლებამოსილების აღდგენა. თუმცა, შუამდომლობის განხილვა, პროკურატურის მიერ განხორციელებული ქმედებების გამო, ვერ მოხერხდა. პროკურატურის წარმომადგენლებმა ერთ შემთხვევაში პოზიციის ჩამოსაყალიბებლად დრო მოითხოვეს, ორ შემთხვევაში კი პროცესზე მივლინების გამო არ გამოცხადნენ. ისინი განხილვის გადადებას მოითხოვდნენ. სასამართლომ ერთ შემთხვევაში პროკურატურის მოთხოვნა სხდომის 10 დღით გადადებასთან დაკავშირებით არაგონივრულად მიიჩნია და 5 დღით გადადო სხდომა, მეორე შემთხვევაში კი - 10 დღით. მოგვიანებით, ბრალდებულმა შუამდგომლობა გაიხმო.

გიგი უგულავამ რამდენჯერმე გააკეთა პოლიტიკური განცხადება, სასამართლომ ბრალდებულ უგულავას ზოგიერთ შემთხვევაში ამგვარი განცხადებებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა.

ბრალდების მხარის მოწმის ბესიკ კვიციანის დაკითხვისას დაცვის მხარის მიერ დასმული კითხვებიდან გაირკვა, რომ მას ბორკილები დაადეს და ისე წაიყვანეს ფინანსურ პოლიციაში, არ გადასცეს დაკავების ოქმი. მოგვიანებით კი უთხრეს, რომ მოწმის სახით კითხავდნენ. მოწმემ დაადასტურა ეს ფაქტები. მისივე განცხადებით, აღნიშნულის თაობაზე მიმართულ საჩივარს რეაგირება არ მოჰყოლია.

ბრალდებულ გიორგი საბანაძის მიმართ გამოცხადებულია ძებნა, საქმის განხილვისას ის ფლორენციაში დააკავეს, მაგრამ ფლორენციის სასამართლომ ექსტრადაციის შესახებ განცხადება არ დააკმაყოფილა. ამჟამად გიორგი საბანაძე რეგისტრირებულია უნგრეთში ლტოლვილის სტატუსით.

დიმიტრი ჩხეიძემ (ბრალდებული) გააკეთა განცხადება, რომ ფულის გამოტანის კადრები, რომლებიც გავრცელდა ტელევიზიით და კადრები და რომელიც მას

[25] http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=836&action=show

დაკავებისას აჩვენეს, განსხვავდება ერთმანეთისგან. მისი განცხადებით, კადრები დამონტაჟებული იყო.

ბრალდებულმა გიგი უგულავამ აღნიშნულ საქმეზეც პროცესებზე დასწრებაზე უარი განაცხადა, რადგან ის სასამართლოსა და მოსამართლეს უნდობლობას უცხადებდა.

ტელევიზიები პროცესს რეგულარულად და შეუფერხებლად იღებდნენ. მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოსამართლემ შენიშვნა მისცა დამსწრე პირს მობილური ტელეფონით სურათების გადაღებასთან დაკავშირებით.

4. აღკვეთის ღონისძიება

პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიების სახით გიგი უგულავას მიმართ პატიმრობის გამოყენება მოითხოვა. ბრალდების მხარემ შემდეგი არგუმენტები წარმოადგინა: გამოძიებისას გარკვეული მტკიცებულებების პოვნა ვერ მოხერხდა და არსებობდა ეჭვი, რომ ეს მტკიცებულებები ბრალდებულებმა გადამალეს ან გაანადგურეს; გიგი უგულავას მოწმეებზე ზემოქმედება შეეძლო, ვინაიდან თანამდებობაზე ყოფნისას მათ ხელმძღვანელობდა; პროკურატურის წარმომადგენლებმა, ასევე, გიგი უგულავას მიმალვის რისკზე ისაუბრეს და ამ რისკის დამადასტურებლად მოიყვანეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარი ინციდენტი[26], რომლის გამოც უგულავა პროკურატურაში დასაკითხად რამდენჯერმე იყო დაბარებული, თუმცა შეგნებულად არ გამოცხადდა. აღნიშნული მიზეზების გამო, ბრალდება აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას მოითხოვდა.

პროკურატურის არგუმენტის საპასუხოდ დაცვის მხარემ განაცხადა, რომ გიგი უგულავამ 10-ჯერ მაინც გადაკვეთა საქართველოს საზღვარი მას შემდეგ, რაც მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო და ყოველ ჯერზე უკან დაბრუნდა. ამასთან, გიგი უგულავა ყოველთვის ცხადდებოდა პროცესებზე, თანამშრომლობდა გამოძიებასთან და არასდროს უცდია მიმალვა. დაცვის მხარემ აღკვეთის ღონისძიების სახით **პირადი თავდებობის გამოყენება მოითხოვა**, პირად თავდებად კი სასამართლოს **დავით ბაქრაძის**, **დავით საყვარელიძის** და **გიორგი ვაშაძის** კანდიდატურები შესთავაზა. სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ არ დააკმაყოფილა; სასამართლომ, ასევე, არ

[26] http://www.radiotavisupleba.ge/media/video/24896953.html

დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების სახით პირადი თავდებობის გამოყენების თაობაზე; აღკვეთის ღონისძიების სახით, გიგი უგულავას 50 000 ლარის ოდენობის გირაო შეეფარდა.

მოგვიანებით პროკურატურამ გიგი უგულავასთვის მერის უფლებამოსილების შეჩერების მოთხოვნით მიმართა. სასამართლომ მხარეთა დაუსწრებლად განიხილა შუამდგომლობა და გიგი უგულავას თანამდებობრივი უფლებამოსილება შეუჩერა.

დაცვის მხარის სარჩელის საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა ადგილობრივი თვითმმართველობის საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით არჩეული პირების თანამდებობიდან გადაყენებას და ამავე კოდექსის 160-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება, რომელიც უშვებდა ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას ზეპირი მოსმენის გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხალხის მიერ არჩეული თანამდებობის პირის უფლებამოსილების შეჩერება ან შეწყვეტა, იმავდროულად, გულისხმობს ხალხის მანდატის შეჩერებას ან შეწყვეტას და წარმოადგენს თვითმმართველობის ავტონომიაში ერთ-ერთ ყველაზე უხეშ ჩარევას. საკონსტიტუციო სასამართლომ, ასევე, დაადგინა, რომ ზეპირი მოსმენის გარეშე პირის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვა სამართლიანი სასამართლოსა და დაცვის კონსტიტუციური უფლებების არათანაზომიერ შეზღუდვას წარმოადგენს.

5. პროცესის მიმდინარეობა

5.1. მნიშვნელოვანი შუამდგომლობები

ა. დაცვის მხარის შუამდგომლობები:

1. საკონსტიტუციო გადაწყვეტილების შემდგომ, რომლითაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ის ნორმა, რომელიც სასამართლოს შესაძლებლობას აძლევდა მხარის დასწრების გარეშე განეხილა მერის გადაყენების საკითხი, დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა გიგი უგულავას მიმართ მერის უფლებამოსილების შესახებ განჩინების გაუქმების და მისი მერად აღდგენის შესახებ. დაცვის მხარე მიიჩნევდა, რომ ვინაიდან უგულავას უფლებამოსილების ვადა არ ამოწურვია, მას უკანონოდ ეზღუდებოდა თანამდებობის დაკავების უფლება და იგი თანამდედობაზე უნდა აღედგინათ.

შენიშვნა: აღნიშნულზე პროკურატურამ მოითხოვა გონივრული ვადით სხდომის გადადება პოზიციის ჩამოსაყალიბებლად. შუამდგომლობის დაყენების შემდეგ კი ბრალდება ორჯერ სხდომაზე არ გამოცხადდა, მიზეზად დასახელდა მივლინება. პროკურატურამ სასამართლოს მიმართა სხდომის 10 დღით გადადების თხოვნით, სასამართლომ ერთ შემთხვევაში სხდომა 5 დღით, მეორე შემთხვევაში კი 10 დღით გადადო.

ბრალდების მხარის პოზიცია: პროცესზე გამოცხადების შემდეგ ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდებულიყო, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლო ვერ შეითავსებდა სააპელაციო სასამართლოს ფუნქციას და ვერ გააუქმებდა იმავე ინსტანციის გადაწყვეტილებას. ამასთან, ბრალდების მხარის განცხადებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ნორმის არაკონსიტიტუციურად ცნობის თაობაზე არ ნიშნავდა ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას,[27] ანუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი მხარეთა დაუსწრებლად მერის უფლებამოსილების შეჩერების განხილვა, ვერ გახდებოდა გიგი უგულავას მერად აღდგენის საფუძველი. დაცვის მხარე ნორმას სხვანაირად განმარტავდა და აცხადებდა, რომ კანონი ამის დაშვების შესაძლებლობას იძლეოდა.

შენიშვნა: პროკურატურის პოზიციის დაფიქსირების შემდეგ, შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების გამოტანა გადაიდო, მომდევნო ხდომაზე კი ცნობილი გახდა, რომ წინა დღით დაცვის მხარემ შუამდგომლობა უკან გაითხოვა. შესაბამისად, მოსამართლეს განჩინება არ გამოუცხადებია.

2. ერთ-ერთ სხდომაზე ბრალდებულმა გიგი უგულავამ მოითხოვა მოსამართლეს მიეთითებინა ბადრაგირების სამსახურის თანამშრომლებისთვის, რომ არ შეეშალათ ბრალდებულისა და ადვოკატებს შორის კომუნიკაციაში ხელი და მიეცათ საშუალება ერთმანეთისთვის საქმის მასალები გადაეცათ. მოსამართლემ დააკმაყოფილა შუამდგომლობა.

[27] საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი. მუხლი 20.

ბ. ბრალდების მხარე:

1. ბრალდების მხარემ კანცელარიის საშუალებით სასამართლოში წარადგინა შუამდგომლობა პროცესის გადადების თაობაზე, რადგან პროკურორები მიდიოდნენ მივლინებით[28] 10 დღით ბათუმში სემინარში მონაწილეობის მისაღებად.

> შენიშვნა: აღნიშნული შუამდგომლობა დაყენდა მაშინ, როდესაც უნდა მომხდარიყო გიგი უგულავას მერის თანამდებობაზე აღდგენის საკითხის განხილვა.[29]

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარემ განაცხადა, რომ პროკურატურას სხდომაზე დაუსწრებლობის საპატიო მიზეზი არ წარმოუდგენია და მოითხოვა, სასამართლოს დაევალებინა ბრალდებისთვის, იმავე დღეს ან მომდევნო დღეს საქმეზე წარმოდგენილიყო ახალი პროკურორი და სხდომა ჩანიშნულიყო უახლოეს დღეებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლების შელახვა. ბრალდებულმა გიგი უგულავამ კი პროკურატურის ქმედებას პოლიტიკურად მოტივირებული უწოდა.

განჩინება: სასამართლოს განცხადებით, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებზე ვერ იმსჯელებდა, რადგან პროკურატურამ აღნიშნა, რომ წარმოადგენდა მტკიცებულებას, შესაბამისად ამაზე წარმოდგენის შემდეგ იმსჯელებდა. სასამართლომ პროცესის 10 დღით გადადება არაგონივრულად მიიჩნია, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს. სხდომა 5 დღით გადაიდო.
მომდევნო სხდომაზე პროკურატურის წარმომადგენლები კვლავ არ გამოცხადნენ მივლინების მოტივით. სასამართლომ ამჯერად 10 დღით გადადო სხდომა.

2. ბრალდების მხარემ რამდენიმე ადვოკატის აცილების შუამდგომლობა დააყენა. ბრალდების განცხადებით, ადვოკატები გამოძიების ეტაპზე ბრალდების მოწმეთა წარმომადგენლები იყვნენ და მათ უწევდნენ იურიდიულ კონსულტაციას. შესაბამისად, სახეზე იყო ინტერესთა კონფლიქტი.

> შენიშვნა: აღნიშნული შუამდგომლობა დაყენდა მაშინ, როდესაც უნდა მომხდარიყო გიგი უგულავას მერის თანამდებობაზე აღდგენის საკითხის განხილვა.[30] დაცვის მხარე ბრალდებას პროცესის გაჭიანურებაში ადანაშაულებდა

---

[28] შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით.
[29] Ibid
[30] Ibid

და ითხოვდა მოსამართლისგან, მისცემოდათ საშუალება, დაეყენებინათ მერის უფლებამოსილების აღდგენის შუამდგომლობა, თუმცა მოსამართლემ ამის ნება არ დართო და აღნიშნა, რომ პროცესი ჯერ აცილების შუამდგომლობების დაყენებას ითვალისწინებდა.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარემ პროკურორები საქმის გაჭიანურების მცდელობაში დაადანაშაულა, რადგან მსგავსი შუამდგომლობა წინა პროცესზეც იქნა დაყენებული და არ დაკმაყოფილდა, მას შემდეგ კი ახალი გარემოება არ გამოკვეთილა. გარდა ამისა, დაცვის მხარე აცხადებდა, რომ ეს მოწმეები არიან დაცვის მხარის მოწმეებიც, ამასთან, იცოდნენ რომ ერთ-ერთი აცილების კანდიდატი არ იმყოფება პროცესზე, ბრალდებამ გამიზნულად დააყენა შუამდგომლობა პროცესის გაჭიანურების მიზნით (მოგვიანებით გამოცხადდა პროცესზე ის ადვოკატიც, რომლის მიმართაც აცილება იქნა დაყენებული).

განჩინება: სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. განმარტა რომ მოწმე არ წარმოადგენდა პროცესის მხარეს, შესაბამისად სახეზე ვერ იქნებოდა ინტერესთა კონფლიქტი.

3. ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა გიგი უგულავას მიმართ შეფარდებული გირაო შეცვლილიყო პატიმრობით. ბრალდების მხარის განცხადებით, ვინაიდან მას 2014 წლის 4 ივლისს წარედგინა ახალი ბრალი. ეს ნიშნავდა, რომ ბრალდებულმა გირაოს შეფარდების პერიოდში ჩაიდინა ახალი დანაშაული. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით კი, როდესაც ბრალდებულმა, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეულია გირაო, დაარღვია ამ ღონისძიების გამოყენების პირობა ან კანონი, პროკურორს შეუძლია მოითხოვოს გირაოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლა.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე აცხადებდა, რომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან მათ არ გადასცემიათ მტკიცებულებები, რომელიც ერთვოდა შუამდგომლობას. ამასთან, ბრალის წაყენება არ ნიშნავდა, რომ პიროვნებამ ჩაიდინა დანაშაული. შესაბამისად, ბრალდების მხარის მტკიცება დაცვამ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად შეაფასა. დაცვის მხარე, ასევე, აპელირებდა იმ ფაქტით, რომ ბრალდებულ უგულავას უკვე ჰქონდა პატიმრობა სხვა საქმეზე შეფარდებული და მეორედ შეფარდება დაუშვებელი იყო.

შენიშვნა: ბრალდებამ განაცხადა, რომ დაცვამ თავად თქვა უარი მტკიცებულებების მიღებაზე.

განჩინება: სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა. აღნიშნა, რომ ბრალდებული ისედაც იმყოფება პატიმრობაში სხვა საქმეზე და აღკვეთი ღონისძიების გამოყენების მიზნები ამით მიღწეულია.

4. ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა სწრაფი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიზნით, სხდომები ჩანიშნულიყო ყოველდღიურად ან კვირაში სამჯერ მაინც.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას. განაცხადა, რომ უკვე დაგეგმილი აქვთ საქმეები გრაფიკის მიხედვით. ამასთან, საბანაძეს ერთი ადვოკატი იცავს და იგი მთელ თავის დროს მხოლოდ ამ საქმეს ვერ დაუთმობს.

განჩინება: სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. განაცხადა, რომ თავადაც ბევრი საქმე აქვს წარმოებაში და ჩანიშნულია სხდომები. ამასთან, დაცვის მხარე არ იყო თანახმა არასამუშაო დღეებში ემუშავათ და მოსამართლე მას ვერ დაავალდებულებდა.

5. ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა, დაზარალებულად ცნობილი მერიის წარმომადგენლის ჩანაცვლება მომხდარიყო სხვა პიროვნებით, ვინაიდან ის პირი, რომელიც წარმოადგენდა მერიას, აღარ მუშაობდა აღნიშნულ ორგანოში.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და აღნიშნა, რომ მოცემულ ეტაპზე დაზარალებულის წარმომადგენლად ცნობილია ლევან აფხაზავა, მისი ჩვენება დაშვებულია მტკიცებულებად, ახალი მოწმის ჩასმას კი სისხლის სამართლის პროცესი არ ითვალისწინებს. ამასთან, არ არსებობდა ცვლილების საფუძველი. აღნიშნულზე ბრალდებამ განაცხადა, რომ მერიის ახალი წარმომადგენელიც დაკითხული იყო და მისი ჩანაცვლება სხვა პირით არ წარმოადგენდა ახალ მტკიცებულებას.

განჩინება: მოსამართლემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა, ვინაიდან ჩათვალა, რომ ეს ხელს შეუწყობდა სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების შესრულებას.

5.2. მოწმეთა ჩვენებები

ა. ბრალდების მხარის მოწმეები:

დაიკითხნენ მოწმეები, რომლებიც 2011-2012 წლებში მუშაობდნენ საარჩევნო უბნებში. მათ მოვალეობებში შედიოდა პარტიული დავალებების შესრულება, საარჩევნო პერიოდში ფლაერების და ბუკლეტების დარიგება. მოწმეებმა განაცხადეს, რომ ანაზღაურებას იღებდნენ პლასტიკური ბარათის საშუალებით, შემდგომ კი ხელზე. მათ თბილისის განვითარების ფონდთან არანაირი შეხება არ ჰქონიათ, არ ფლობდნენ ინფორმაციას, იქ რა თანამდებობებზე იყვნენ გაფორმებულები. ასევე, არ იცოდნენ, ვინ განკარგა მათ სახელზე დარიცხული თანხები, მათ ამ თანხებით არ უსარგებლიათ (ხელფასის გარდა, რეალურად კი უფრო დიდი თანხის დარიცხვა ხდებოდა).

დაიკითხა უბნის კოორდინატორი, რომელმაც განაცხადა, რომ ნაღდ ფულს მერიიდან ალექსი თაბუაშვილისგან (ბრალდებული) იღებდა, შემდეგ კი ანაწილებდა ზონის ხელმძღვანელებზე, რომლებიც ეწეოდნენ ნაციონალური მოძრაობის აგიტაცია პროპაგანდას, არიგებდნენ ფლაერებს, ბუკლეტებს. პირველად წამოიღო 200 000, მეორედ 500 000- მდე ლარი.

დაიკითხა მოწმე, რომელიც იმ პერიოდში იყო კრწანისის მაჟორიტარი დეპუტატი, მან დაახასიათა უბნების და კოორდინატორების სქემა და განაცხადა, რომ დავალებებს იღებდა თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარისგან, გიორგი მელაძისგან. მოწმემ განაცხადა შემდეგი: თათბირები ტარდებოდა კვირაში ერთხელ, თუმცა შესაძლებელია, რამდენჯერმეც ჩატარებულიყო. მათ ძირითადად უძღვებოდა გიორგი მელაძე, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი გიორგი უგულავა. თათბირებს ესწრებოდა ალექსი თაბუაშვილიც (ბრალდებული). მოწმემ თქვა, რომ ძირითად გადაწყვეტილებებს პარტიაში გიგი უგულავა იღებდა. მანვე გაიხსენა გიგი უგულავას მიერ ჩატარებული თათბირი, სადაც გადაწყდა, რომ კოორდინატორები საქმიანობისთვის აიღებდნენ ხელფასს. თანხას აგიტატორები პლასტიკური ბარათებით იღებდნენ, პლასტიკური ბარათები კი მოწმეს ალექსი თაბუაშვილმა (ბრალდებული) გადასცა. მოწმის განცხადებით, ნაღდი ფულიც ალექსი თაბუაშვილისგან გამოჰქონდა. არჩევნების შემდგომ, როდესაც კოორდინატორებს თანხა არ დაერიცხათ, ალექსი თაბუაშვილმა მოწმეს გადასცდა გიგი უგულავას ნათქვამი, რომ უგულავა წაგებულ არჩევნებში ხელფასის დარიგებას არ აპირებდა.

დაიკითხა მოწმე, რომელიც მუშაობდა იურისტად თბილისის განვითარების ფონდში, ის ამზადებდა ხელშეკრულებებს და აგვარებდა უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მისი თქმით, თბილისის განვითარების ფონდი დაარსდა 2010 წელს, თავმჯდომარე იყო ჯერ გიორგი საბანაძე, შემდეგ დავით ავალიანი. ფონდის სხდომები ფონდის შენობაში არ იმართებოდა, მისი ვარაუდით, სხდომები მერიაში ტარდებოდა. თქვა, რომ, მისი ინფორმაციით, თანამშრომლები ხელფასს საქართველოს ბანკში იღებდნენ. მოწმეს წარუდგინეს ფონდში დასაქმებული შენობის კვლევის სპეციალისტების სია, თუმცა, მან ფონდში ასეთი თანამდებობების არსებობის ფაქტი ვერ გაიხსენა.

მოწმემ, რომელიც 2011-2012 წლებში იყო ისნის რაიონის გამგეობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი, განაცხადა, რომ ის ანაწილებდა თანხას და ხელზე აძლევდა კოორდინატორებს, ამას აკეთებდა თავმჯდომარის გადაწყვეტილებით. მოწმეს კოორდინატორებისთვის დასარიგებელი თანხა ძირითადად ალექსი თაბუაშვილისგან (ბრალდებული) გამოჰქონდა.

დაიკითხა მოწმე ბ.კ, რომელიც 2011-2012 წლებში იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ისნის რაიონის აღმასრულებელი მდივანი. პარტიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით და ხვიჩა სანაიას (ნავთლუღის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი) დავალებით, იგი თანხებს კოორდინატორებზე ნაღდი ფულის სახით გასცემდა . თანხა მიჰქონდა ძირითადად ალექსი თაბუაშვილისგან. მოწმემ განაცხადა, რომ თანხის წარმომავლობის შესახებ მხოლოდ ის იცოდა, რომ იყო პარტიული წარმომავლობის. რეალური წარმომავლობა მხოლოდ დაკავების შემდგომ გაიგო. მოწმის განცხადებით, დაკავებისას მისთვის არ უთქვამთ დაკავების მიზეზი, ხელბორკილებით მიიყვანეს ფინანსურ პოლიციაში და მხოლოდ იქ მისულს განუცხადეს, რომ მოწმის სახით დასაკითხად მოხდა მისი დაკავება.

ძველი თბილისის გამგებლის ყოფილმა მოადგილემ დაკითხვისას განაცხადა, რომ ბარათები მას დავით ავალიანმა (ბრალდებული) გადასცა, თანხა გამოიტანა და შემდეგ უკან დაუბრუნა.

დაიკითხნენ ლიბერთი ბანკის თანამშრომლები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ გიორგი საბანაძეს, დავით ალავიძეს (ბრალდებულები) და კიდევ რამდენიმე პირს სურდათ გაეტანათ რამდენიმე მილიონი ლარი ნაღდი ფულის სახით ბანკიდან.

დაიკითხა ერთ-ერთი კომპანიის ბუღალტერი. კომპანიის საქმიანობის სფერო იყო ფურშეტებისა და პრეზენტაციების გამართვა, მათ თბილისის განვითარების ფონდს ჯამში 414 000 ლარის მომსახურება გაუწიეს. მომსახურება ითვალისწინებდა შეხვედრების გამართვას მოსახლეობასთან და მათ მომარაგებას საჭმლითა და ფურშეტებით. მოწმემ განაცხადა, რომ შეხვედრებზე, როგორც მედია საშუალებით იგებდა, ნაციონალური მოძრაობის წევრები ხვდებოდნენ მოსახლეობას. დაიკითხა კომპანიის სხვა თანამშრომელიც, ისიც ადასტურებს მომსახურების გაწევას. იხსენებს, რომ შეხვედრაზე გამოდიოდნენ ნაციონალური მოძრაობის წევრები, მათ შორის, გიგი უგულავაც. დაიკითხა ამავე კომპანიის დირექტორი, რომელმაც გაიხსენა, რომ შეხვდა დათო ალავიძეს (ბრალდებული), რომელმაც გააცნო გიორგი საბანაძე (ბრალდებული), შეხვედრა ეხებოდა ღონისძიებების გამართვას და მის ორგანიზებას. კომპანიის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე ნაციონალური მოძრაობის ლიდერები უნდა შეხვედროდნენ მოსახლეობას. მომსახურების გაწევისათვის ფინანსურ ანგარიშწორებასთან დაკავშირებით მოწმეს ურთიერთობა გიორგი სანაძაძესთან (ბრალდებული) ჰქონდა.

დაიკითხნენ ექსპერტები, რომელთაც ევალებოდათ ქალაქის რეაბილიტაციის ფონდში ფიქტიურად გაფორმებული თანამშრომელთა სიის შედარება რეალურ თანამშრომელთა სიასთან, შედეგად ადამიანების დიდი ნაწილი დაემთხვა ერთმანეთს.

ერთ-ერთმა ბრალდების მხარის მოწმემ ლიბერთი ბანკში მის სახელზე დამზადებულ ბარათთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ბარათი, რომელზეც ერიცხებოდა 300 ლარი, როგორც ამხანაგობის თავმჯდომარეს, წარადგინა ფინანსურ პოლიციაში და იგი არ დაემთხვა გამოძიების მიერ ნახსენებ ბარათს.

მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა. საქმეზე განაჩენი არ დამდგარა.

6. ჩვენი დაკვირვება

2014 წლის 24 მაისს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, დაცვის მხარეს მიეცა საშუალება, დაეყენებინა შუამდგომლობა გიგი უგულავასთვის მერის უფლებამოსილების აღდგენის თაობაზე, თუმცა ბრალდების მხარის ქმედებებმა მათ ამის საშუალება დროულად არ მისცა. პროკურატურის ქმედებები ცალსახად მიმართული იყო პროცესის გაჭიანურებისკენ. თავდაპირველად, მათ დრო მოითხოვეს შუამდგომლობაზე პოზიციის ჩამოსაყალიბებლად, შემდეგ ორჯერ არ გამოცხადნენ სასამართლო სხდომაზე და ითხოვდნენ პროცესის 10 დღით გადადებას,

ორივე შემთხვევაში მიზეზად მივლინება სახელდებოდა. სასამართლომ ერთ შემთხვევაში ხუთი დღით, მეორე შემთხვევაში კი 10 დღით გადადო სხდომა. ამას მოყვა შუამდგომლობის განხილვის სხდომაზე ბრალდების მიერ ადვოკატების აცილების შუამდგომლობა დაყენება, რაც, ასევე, პროცესის გაჭიანურებად შეიძლება შეფასდეს. საბოლოოდ, დაცვის მხარემ შუამდგომლობა გამოითხოვა, რაც სასამართლოსადმი უნდობლობით ახსნა.

ბრალდების მხარის მოწმის ბ.კ.-ის დაკითხვისას გაცხადებული ფაქტები, სამართალდამცავი ორგანოების მისდამი ქმედებების შესახებ, შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს. მოწმის განცხადებით, ამ ფაქტებთან დაკავშირებით მან შეიტანა საჩივარი სამართალდამცავ ორგანოში, თუმცა მას რეაგირება არ მოჰყოლია. მნიშვნელოვანია, რომ მსგავს ფაქტებზე ხდებოდეს შესაბამისი რეაგირება სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან.

ბრალდებულები ხშირად აკეთებდნენ პროცესებზე პოლიტიკურ განცხადებებს, მოსამართლეს რამდენჯერმე მოუხდა მოეწოდებინა თავის შეკავებისაკენ, თუმცა მათ ძირითადად ამის საშუალებას აძლევდა.

მედია საშუალებებს პროცესის მიმდინარეობის გადაღებაში ხელი არ შეშლიათ.

რამდენჯერმე შეიცვალა სხდომის დარბაზი. სხდომა არ ჩატარდა განრიგში მითითებულ დარბაზში, რაც ხელს უშლიდა დაინტერესებულ პირებს პროცესზე დასწრებაში.

ბაჩო ახალაია, მეგის ქარდავა და სხვები (ნავთლუხის ეპიზოდი)

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

ბაჩო ახალაია (თავდაცვის ყოფილი მინისტრი) - წამება, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება.

ლევან ქარდავა (კუდ-ის ყოფილი უფროსი) და გიორგი მაზმიშვილი (კუდ-ის მაღალჩინოსანი) - მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით და იარაღის გამოყენებით, რამაც ფიზიკური პირის უფლების, საზოგადოების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ჯგუფურად; ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი განზრახი მკვლელობა.

მეგის ქარდავა (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი) - მოხელის მიერ ჯგუფურად ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი წამება, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ.

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების თანახმად, ლევან ქარდავასა და გიორგი მაზმიშვილს ნავთლუღის სპეცოპერაციის ღამეს საკონტროლო გასროლით 3 ახალგაზრდის - მურად გორგაძის, რომან სურმანიძისა და მარად ართმელაძის - მკვლელობა ედებათ ბრალად. ბაჩო ახალაია და მეგის ქარდავა კი ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმის ერთ-ერთ ეპიზოდში, რუსთავის ნომერ პირველ დაწესებულებაში პატიმრების ცემაში არიან ბრალდებულნი. ბრალდების თანახმად, მოვლენები შემდეგნაირად ვითარდებოდა: პატიმარმა გია გორგაძემ დაწესებულების დირექტორს აცნობა, რომ ერთ-ერთი პატიმრისგან მიიღო შეთავაზება ციხიდან გაქცევაზე, გია გორგაძემ მზადყოფნა გამოთქვა, ეთანამშრომლა ციხის ადმინისტრაციასთან. ამ საკითხზე მას ციხეში უშუალოდ ბაჩანა ახალაია შეხვდა. ჩატარებული იქნა სპეცოპერაცია, რომლის დროსაც ქ.თბილისში, „ნავთლუღის“ ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ლიკვიდირებული იქნენ გია გორგაძის ძმა - შოთა (მურად) გორგაძე, რომან სურმანიძე და მარად ართმელაძე, რომლებიც, თითქოსდა, პატიმართა მასობრივი გაქცევის მიზნით, გეგმავდნენ ქ.რუსთავის N1

საერთო რეჟიმის დაწესებულებაზე შეიარაღებულ თავდასხმას. მოგვიანებით სპეცრაზმის თანამშრომლების თანხლებით, ბაჩანა ახალია და მეგის ქარდავა მივიდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N1 დაწესებულებაში, სადაც ბ. ახალაიას ბრძანებით, პატიმრები - გია გორგაძე, დავით ლექვთაძე, ვალერიან პაპავა, მიხეილ მანდარია, მამუკა ბეჭვაია და ბერდია მესხი სასტიკად ცემეს და აწამეს, ციხიდან გაქცევის მომზადების აღიარების მისაღებად. აღნიშნულის შემდეგ, დაზარალებულები #1 დაწესებულებასთან შედარებით უფრო მკაცრი რეჟიმის - N7 გადაიყვანეს, სადაც ბაჩანა ახალაიას და მეგის ქარდავას მიერ გაგრძელდა მათი ცემა და წამება კვლავ აღიარების მოთხოვნით. ხსენებული პატიმრების წამება საერთო ჯამში გაგრძელდა რამდენიმე საათის განმავლობაში, რის შემდეგაც, მიუხედავად მიღებული სხეულის დაზიანებებისა, ყველა პატიმარი ყოველგვარი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გარეშე შეასახლეს საკნებში.

ამას გარდა, ბაჩანა ახალაია დამნაშავედ იქნა ცნობილი სანდრო გირგვლიანის საქმეზე მსჯავრდებული პირებისთვის ციხეში შეღავათიანი და განსაკუთრებული პირობების შექმნის გამო.

3. მნიშვნელოვანი გარემოებები/ფაქტები

ბრალდების მხარის მოწმეს, თეიმურაზ ტაბაღუას, დატოვებული ჰქონდა ქვეყნის საზღვარი და რადგან მასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა, გამოქვეყნდა მისი გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენება. დაცვის მხარის შეფასებით, მოწმეს საზღვარი პროკურატურამ დაატოვებინა, რათაპროცესზე მათთვის არასასურველი ჩვენება არ მიეცა. აღსანიშნავია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებულ ვიდეოში თეიმურაზ ტაბაღუა საუბრობდა[31] ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემის მიზნით სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ზეწოლაზე. გამოქვეყნებული ოთხი ჩვენებიდან, მან ბოლო ჩვენებაში განაცხადა, რომ მასზე ზეწოლას ადგილი არ ჰქონია, უბრალოდ გამომძიებლის მიერ დასმული შეკითხვები გადაღილობის გამო ზეწოლად აღიქვა. მან დაადასტურა, რომ ვიდეოჩანაწერის გაკეთება მისი ინიციატივით მოხდა, თუმცა ნებართვის გარეშე გამოქვეყნდა.

ბოლო ჩვენებაში ტაბაღუა ასევე დაცვის მხარის მიერ ჩატარებულ გამოკითხვის ოქმზე საუბრობს. მისი განცხადებით, ის რეალურად გამოკითხვას არ დასწრებია, მას

[31] https://www.youtube.com/watch?v=XVdAZfDwXMw

ტელეფონით დაუკავშირდნენ, მას შეეცოდა ბაჩო ახალაიას ცოლი და უთხრა, ის დაეწერათ ოქმში, რაც ბაჩოს მდგომარეობას შეამსუბუქებდა და ხელს მოაწერდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბრალდების მხარის მოწმე გია გორგაძე გეგმავდა პრესკონფერენციის გამართვას. ბრალდებულ ბაჩანა ახალაიას მეუღლის განმარტებით, გია გორგაძე აპირებდა თქმას, რომ მას ჩვენება ძალით მიაცემინეს და ბაჩანა ახალაია უდანაშაულო იყო. პრესკონფერენციამდე რამდენიმე წუთით ადრე, გია გორგაძე სამართალდამცველებმა წაიყვანეს. არსებობს ამის დამადასტურებელი ვიდეო კადრებიც. მოგვიანებით, პროკურატურამ განაცხადა, რომ მთავარ პროკურატურას დაუკავშირდნენ გია გორგაძის ოჯახის წევრები, რომლებმაც სამართალდამცავებს აცნობეს, რომ არ იცოდნენ სად იმყოფებოდა გია გორგაძე, მას გათიშული ჰქონდა მობილური ტელეფონი. ოჯახის წევრები გამოთქვამდნენ ეჭვს, რომ გორგაძე გაიტაცეს ბაჩანა ახალაიასა და მეგის ქარადავას მიმართ მიცემული მამხილებელი ჩვენების გამო და ითხოვდნენ დახმარებას. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, მთავარმა პროკურატურამ დაუყონებლივ დაიწყო გამოძიება გია გორგაძის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ფაქტზე. საქმეზე ჩატარდა შესაბამისი ღონისძიებები, დადგინდა გია გორგაძის ადგილსამყოფელი, რის შედეგადაც იგი დაკითხვისა და სათანადო საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით საგამოძიებო ორგანოში მიიყვანეს. პროკურატურის დატოვების შემდგომ, მოწმემ უარყო, რომ პრეს კონფერენციაზე ზეწოლის ფაქტებზე საუბარს აპირებდა.[32]

საქმეში ბრალდების მხარის ერთ-ერთი მთავარი მოწმე შალვა თათუხაშვილი გარდაიცვალა. დაცვის მხარის შეფასებით, პროკურატურამ თათუხაშვილი რამდენჯერმე გაიტაცა და ნავთლუღის საქმეში ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემა აიძულა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად თათუხაშვილმა მძიმე ემოციური სტრესი მიიღო, რაც მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა.

პროკურატურა გამოეხმაურა მოწმის გარდაცვალების ფაქტს და აღნიშნა, რომ დაცვის მხარის ბრალდება უსაფუძვლო იყო და რომ მიმდინარეობდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომელსაც უნდა დაედგინა, რა დაზიანებები აღენიშნებოდა შალვა თათუხაშვილს და რა გახდა მისი გარდაცვალების მიზეზი. მოგვიანებით, პროკურატურამ ექსპერტიზის დასკვნაც[33] გაასაჯაროა, სადაც აღნიშნულია, რომ შალვა თათუხაშვილის სიკვდილის მიზეზი გახდა სუნთქვის მწვავე უკმარისობა

[32] https://www.youtube.com/watch?v=ubBjqiAjGxw
[33] http://pog.gov.ge/geo/news?info_id=465

განვითარებული ალკოჰოლური ინტოქსიკაციის შედეგად, ფსიქოტროპული ნივთიერებების მოქმედების ფონზე.

აღნიშნულ საქმეზე [ბაჩო ახალაიას] პატიმრობა მოეხსნა, ვინაიდან კანონით განსაზღვრულ ვადებში საქმეზე სასამართლო პროცესების დასრულება ვერ მოხერხდა. თუმცა, 9 თვიანი ვადის მიწურულს, რამდენიმე დღით ადრე ბაჩო ახალაიას ახალი ბრალი წარედგინა ე.წ. „თეთრაძის“ საქმეზე, რაც მისთვის პატიმრობის გაგრძელების საფუძველი გახდა.
თუმცა მანამდე დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა პატიმრობის ნაკლებად მკაცრი ღონისძიებით შეცვლის შესახებ არ დაკმაყოფილდა. [34]

ერთ-ერთ სხდომაზე ახალაიას და პროკურორს შორის შეკამათება მოხდა. აღნიშნულის მიზეზი მოწმეთა ნუსხაში შალვა თათუხაშვილის არსებობა იყო, რამაც ბრალდებულ ახალაიას გაღიზიანება გამოიწვია. ახალაიას თქმით, თათუხაშვილის ჩვენება მტკიცებულებათა ნუსხაში იმ მოტივით არ უნდა ყოფილიყო შესული, რომ მოწმე გარდაცვლილია და იგი ჩვენების სისწორეს ვერ დაადასტურებდა.

დაცვის მხარეს სურდა ესარგებლა საგამონაკლისო უფლებით და მოწმედ დაეკითხა დამატებით ერთი პიროვნება. აღნიშნული პიროვნების დაკითხვაზე ბრალდებამ უარი განაცხადა. ბრალდების განმარტებით, აღნიშნული პიროვნება რეგულარულად ესწრებოდა სასამართლო სხდომებს. დაცვის მხარემ განაცხადა, რომ სხდომებს ესწრებოდა არა დასაკითხი პიროვნება, არამედ მისი ტყუპისცალი. სიტუაციაში გარკვევის მიზნით, სასამართლომ სხდომათა ვიდეო ჩანაწერების შესწავლა გადაწყვიტა. ვიდეო ჩანაწერების შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ პროცესებს სწორედ ის პიროვნება ესწრებოდა, ვის დაკითხვასაც დაცვის მხარე ითხოვდა.

ერთ-ერთმა მოწმემ (ლ. მ.) დაკითხვისას განაცხადა, რომ მასთან მივიდა დაახლოებით 15 კაცი, რომელთაც განუცხადეს, რომ ჰქონდათ ინფორმაცია თითქოს მასთან ინახებოდა იარაღი და ნარკოტიკული საშუალება, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად კი ვერაფერი ნახეს, რის შემდეგაც მოწმე წაიყვანეს სამმართველოში, სადაც ხელი მოაწერინეს გარკვეულ დოკუმენტზე.

ლევან ქარდავამ ერთ-ერთ პროცესზე გააკეთა განცხადება, რომ გამომძიებლები და პოლიციელები მის უფლებებს ლახავდნენ. ის აცხადებდა, რომ მასზე ხორციელდებოდა

[34] დამატებულ იქნა ბაჩო ახალაიას დამცველის შენიშვნების მიხედვით.

ფსიქოლოგიური ზეწოლა სხვადასხვა ხერხით და ფორმით. მან აღნიშნა, რომ რამდენჯერმე გაიყვანეს საკნიდან და იყო სასურველ ჩვენების მიცემაზე დათანხმების მცდელობა. მისივე განცხადებით, მიუხედავად სასამართლოს მიერ მინიჭებული ზარების განხორციელების უფლებისა, ციხის ადმინისტრაციის გამო აღნიშნული უფლების რეალიზებას ვერ ახდენდა. ამის გამო, ლევან ქარდავამ შიმშილობა გამოაცხადა, რის შედეგადაც მას დაუბრუნეს სატელეფონო ზარების განხორციელების უფლება.

გიორგი მაზმიშვილმა (ბრალდებულმა) ისაუბრა პოლიციელებისა და გამომძიებლების მხრიდან განხორციელებულ არაჰუმანური მოპყრობის შესახებ. მისი თქმით, დაკავების შემდგომ, დიდი ხნის მანძილზე არ ჰქონდა დამცველის აყვანის შესაძლებლობა.მას ცრუ ჩვენების მიცემასაც აიძულებდნენ.

მოსამართლემ პროკურატურას მოუწოდა დაეწყო გამოძიება გიორგი მაზმიშვილისა და ლევან ქარდავას მიერ მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით.

ერთ-ერთ სხდომაზე ბრალდებულმა ბაჩანა ახალაიამ განაცხადა, რომ მისი ნათესავების მისამართით მუქარა განხორციელდებოდა. მოსამართლემ ჰკითხა, ვისი მხრიდან და ვისი მისამართით განხორციელდა მუქარა, მოუწოდა პროკურორებს, შესაბამისი რეაგირება მოეხდინათ აღნიშნულ განცხადებაზე და დაეწყოთ გამოძიება. მომდევნო სხდომაზე პროკურორმა განაცხადა, რომ ბაჩანა ახალაიას განცხადებიდან გამომდინარე (მუქარასთან დაკავშირებით), შესაბამისი ინფორმაცია წერილობითი ფორმით მე-2 განყოფილებაში გადააგზავნეს და მან მოხსენებითი ბარათი მოამზადა. შესაბამისი დოკუმენტი პროკურორმა წარუდგინა მოსამართლეს.

მოწმე ლევან ქარდავამ განაცხადა, რომ ის დააკავეს შეიარაღებულმა პირებმა, რომლებსაც არ განუმარტავთ, ვინ იყვნენ, წაართვეს ტელეფონი, უთხრეს, რომ უნდა წაყოლოდა პროკურატურაში და მოეწერა ხელი ყველაფერზე, რასაც დაუდებდნენ, “თუ არ სურდა ცხოვრების გაფუჭება”.

დაცვის მხარის მოწმემ ჯ.ი.-მა პროცესზე დაკითხვისას განაცხადა, რომ პროკურორი ბრალდებულების წინააღმდეგ ჩვენების მიცემის სანაცვლოდ პირდებოდა, რომ მის წინააღმდეგ საქმე არ აღიძვრებოდა. პირდებოდნენ, ასევე, სამსახურს. მოწმემ განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა მუქარასაც.

დაცვის მხარის მოწმე გ.მ.-მ დაკითხვისას განაცხადა, რომ მას პროკურატურის თანამშრომლებმა შესთავაზეს ხელი დაედო კონკრეტული პირებისთვის, უარის მიღების შემდგომ კი ბრალი წაუყენეს.

სხდომა რამდენჯერმე გადაიდო დაცვის მხარის მოთხოვნის საფუძველზე.
მოსამართლემ ერთ-ერთი სხდომა დამსწრეთა მხრიდან წესრიგის დაუცველობის გამო დახურა.

4. აღკვეთის ღონისძიება

დაცვის მხარე დავით ახალაიას, ლევან ქარდავასა და გიორგი მაზმიშვილის მიმართ მოითხოვდა არ გამოყენებულიყო აღკვეთი ღონისძიების არცერთი სახე, ალტერნატივის სახით კი სასამართლოს გირაოს გამოყენებას სთავაზობდა.
ბაჩო ახალაიას, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

5. პროცესის მიმდინარეობა

5.1. მნიშვნელოვანი შუამდგომლობები

ა. დაცვის მხარის შუამდგომლობები:

1. **დაცვის მხარემ** წინასასამართლო სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა ბრალდებულების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. დაცვის მხარე მიუთითებდა საკმარისი მტკიცებულებების არარსებობაზე.

ბრალდების მხარის პოზიცია: პროკურატურის განცხადებით, შუამდგომლობა უსაფუძვლო იყო, რადგან არსებობდნენ მკვლელობის თვითმხილველი მოწმეები, რომელთაც ნახეს შეიარაღებული ბრალდებულები. საქმეში არსებობდა, ასევე, ჩვენებები, რომ დაღუპული პირები იარაღის გარეშე იყვნენ. ეს ყოველივე კი ამტკიცებდა ბრალდებულების მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს.

განჩინება: სასამართლომ ჩათვალა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით ქმნიდა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა და საქმე არსებითად განსახილველად გადასცა სასამართლოს.

2. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ბრალდებულ ბაჩო ახალაიას და გიორგი მაზმიშვილის მიმართ აღკვეთი ღონისძიების პატიმრობის 30 000 ლარიანი გირაოთი შეცვლის თაობაზე. დაცვის მხარე ასაბუთებდა, რომ გამოძიების დასრულების გამო, აღარ არსებობდა მოწმეებზე ზეგავლენის საშიშროება. ლევან ქარდავას მიმართ კი დაცვის მხარე ბრალდებულის აღკვეთი ღონისძიების გარეშე დატოვებასა და გათავისუფლებას ითხოვდა.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და განმარტა, რომ მოწმეს ჩვენება სასამართლოში უნდა მიეცა და ზეწოლა ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. ასევე, ხაზს უსვამდა ბრალდებულების კავშირებზე საზღვარგარეთ და მიმალვის საფრთხეებზე.

განჩინება: მოსამართლემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და სამივე ბრალდებული პატიმრობაში დატოვა.

3. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა, მომხდარიყო ბრალდების მხარის მოწმის ჯ.ჯ.-ს კუთვნილი ტელეფონის დათვალიერება, იმის დასადგენად, რეალურად იმყოფებოდა თუ არა ეს პიროვნება შემთხვევის ღამეს (12 ივნისს) მის მიერ ჩვენებაში მითითებულ ადგილას (სამგორის მეტროსთან).

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ აღნიშნული შუამდგომლობა ერთხელ უკვე განხილული იყო სასამართლოზე და მაშინ მოსამართლემ იგი არ დააკმაყოფილა. შესაბამისად, იგივე შუამდგომლობის ხელახლა დაყენების საჭიროება არ არსებობდა.

განჩინება: სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ განჩინება მსგავსი შუამდგომლობის თაობაზე დაცვამ არ გაასაჩივრა, ამასთან, დაცვის მხარისთვის ჯ.ჯ.-ს ტელეფონის ნომერი ადრევე იყო ცნობილი და თავისუფლად შეეძლო მოეპოვებინა შემავალი და გამავალი ზარების ნუსხა თუნდაც სასამართლოს გზით, რაც ასევე არ განახორციელა. ამდენად, რადგან მტკიცებულებათა მოსაპოვებლად განკუთვნილი ვადა გასული იყო, სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

4. ბრალდებულმა ბაჩო ახალაიამ მოითხოვა მოსამართლის აცილება. როგორც ახალაიამ განაცხადა, მაშინ, როდესაც მას აღკვეთ ღონისძიებად პატიმრობა სამჯერ ჰქონდა შეფარდებული, აღნიშნულმა მოსამართლემ აღკვეთი მეოთხედ შეუფარდა, რაც,

ახალაიას აზრით, "ადამიანურ ლოგიკაში არ ჯდება". სწორედ ამ საფუძვლით ითხოვდა ბრალდებული მოსამართლის აცილებას, რასაც სხვა ბრალდებულებმაც მხარი დაუჭირეს.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარის განცხადებით, არ არსებობდა კანონით განსაზღვრული აცილების არცერთი საფუძველი, შესაბამისად, არ ეთანხმებოდა შუამდგომლობას.

განჩინება: მოსამართლემ აღნიშნული შუამდგომლობა უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

5. დაცვის მხარემ მოითხოვა, საქმეს მტკიცებულებად დართვოდა ევროსაბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია [35], სადაც საუბარია ბაჩო ახალაიას მიმართ გამოყენებული პატიმრობის, როგორც აღკვეთი ღონისძიების, მიზანშეუწონლობაზე.

ბრალდების მხარი პოზიცია: ბრალდების მხარე აცხადებდა, რომ დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათის იყო. ამასთან, ის არ მოიცავდა ფაქტების შესახებ რაიმე ინფორმაციას, ამიტომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო და მტკიცებულება საქმეს არ უნდა დართვოდა.

განჩინება: სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ ევროსაბჭო არის პოლიტიკური ორგანო და ვერ ხედავდა რეზოლუციის საქმეზე დართვის საფუძველს.

6. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა მომხდარიყო ბრალდების მხარის მოწმის ჯ. ჯ.-ის კუთვნილი ტელეფონის დათვალიერება, ვინდაიდან მომხდარიყო დადგენა რეალურად იმყოფებოდა თუ არა ის 12 ივნისს შემთხვევის ადგილას სამგორის მეტროსთან.[36]

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ განაცხადა რომ აღნიშნული შუამდლომლობა უკვე განიხილა სასამართლომ და არ დაკმაყოფილდა, ახალი გარემოებაც არ იყო სახეზე, შესაბამისად არ ეთანხმებოდა და თვლდა, რომ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

---

[35] http://www.assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-DocDetails-EN.asp?FileID=21275&lang=EN

[36] დამატებულ იქნა ბაჩო ახალაიას დამცველის შენიშვნების მიხედვით.

განჩინება: სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. განმარტა, დაცვის მხარისთვის ჯ.ჯ.-ს ტელეფონის ნომერი ცნობილი იყო ადრევე და მათ შეეძლოთ, თუნდაც სასამართლოს გზით, მოეპოვებინათ შემავალი და გამავალი ზარების ნუსხა. მოსამართლემ აღნიშნა, რომ სასამართლო მტკიცებულებების მოპოვების ეტაპზე ვერ დაბრუნდებოდა და დაცვის მხარემ წინასასამართლო სხდომამდე მტკიცებულებათა მოსაპოვებლად განკუთვნილი ვადა.

ბ. ბრალდების მხარე:

1. ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა, გამოქვეყნებულიყო შალვა თათუხაშვილის და თეიმურაზ ტაბაღუას ჩვენებები, რადგან შალვა თათუხაშვილი გარდაიცვალა, თეიმურაზ ტაბაღუამ კი დატოვა ქვეყნის საზღვრები და მასთან დაკავშირება ვერ ხერხდებოდა.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარემ განაცხადა, რომ თეიმურაზ ტაბაღუა დაცვის მხარის სასარგებლო ჩვენებას იძლეოდა, ამიტომ პროკურატურამ მას გამიზნულად დაატოვებინა საზღვარი. შალვა თათუხაშვილთან დაკავშირებით კი, დაცვის მხარის აზრით, გარდაცვალება დაკავშირებული იყო სასურველი ჩვენების მიღების მიზნით წამებასთან.

განჩინება: სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა აღნიშნული ორი მოწმის ჩვენების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

2. ბრალდების მხარემ დააყენა გიორგი ონიანის, როგორც მოწმის აცილების შუამდგომლობა, რადგან ის ბრალდებულ ბაჩო ახალაიასაც იცავდა სხვა საქმეზე და ვერ იქნებოდა ობიექტური.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა, რადგან აღნიშნული შუამდგომლობა არ იქნა დაყენებული წინასასამართლო სხდომაზე, ონიანის მოწმედ ყოფნის ფაქტი კი იმ ეტაპზეც ცნობილი იყო ბრალდებისთვის.

5.2. მოწმეთა ჩვენებები

ა. ბრალდების მხარის მოწმეები:

ე.წ "ნავთლუღის სპეცოპერაციის" ეპიზოდი

დაიკითხა დაზარალებული გია გორგაძე. მოწმემ განაცხადა, რომ სასჯელის შემსუბუქების მიზნით ციხის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობდა. ერთ-ერთმა პატიმარმა, დ.ლ.-მ მას უთხრა, რომ მისი ძმა და მეგობრები გარედან ციხის გუშაგებს „მოხსნიდნენ" და შემდგომ ციხიდან გაიქცეოდნენ, გია გორგაძისგან ის იარაღის მიწოდებაში დახმარებას ითხოვდა. გია გორგაძემ დახმარება აღუთქვა, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდა ციხის ადმინისტრაციას. გია გორგაძე ტელეფონით ესაუბრა ბაჩო ახალაიასაც, ბაჩოსთან შეთანხმებით დაუკავშირდა თავის ძმას, რომელიც თავის ორ მეგობართან ერთად (შემდგომში სპეცოპერაციისას გარდაცვლილი 3 პირი) შეხვდებოდა პატიმარ დ.ლ.-ს მიერ მითითებულს პირებს და გადასცემდნენ იარაღს, ისინი კი, თავის მხრივ, ამ იარაღს გადასცემდნენ პატიმარ დ.ლ.-ს ძმას. მოწმის განცხადებით, როგორც ბაჩოსგან იცოდა, დაშლილი იარაღი იდებოდა ჩანთაში.

დაიკითხა კუდ-ის, კერძოდ, დათა ახალაიას დეპარტამენტის თანამშრომელი, რომელიც 2006 წლის 12 იანვარს მისი უშუალო უფროსის დავალებით, დახვდა სამ პიროვნებას, ატარა მანქანით თბილისში, მოგვიანებით კი ნავთლუღში მიიყვანა. მოწმე იხსენებს, რომ ამ პიროვნებებს იარაღი არ ჰქონიათ, ჰქონდათ „ქეისი", თუმცა, შიგნით რა იდო, არ იცის. ადგილის დატოვების შემდეგ, გაიგო სროლის ხმები, უკან მიბრუნებულმა დაინახა სპეცრაზმი და გარდაცვლილი ის სამი პიროვნება, რომელიც თავად მიიყვანა ადგილზე. მოწმემ დაადასტურა, რომ შემთხვევის ადგილას იყვნენ დათა ახალაია, შალვა თათუხაშვილი, ლევან ქარდავა და გიორგი მაზმიშვილი. ახსოვდა, რომ იარაღი ეჭირათ დათა ახალაიასა და შალვა თავთუხაშვილს. მოწმემ გამოძიებაში თავდაპირველად სხვა ჩვენება მისცა მისი და ოჯახის უსაფრთხოების გამო.

გამოქვეყნდა შალვა თათუხაშვილის ჩვენება, რომლის თანახმადაც, 12 იანვრის სპეცოპერაციისას დათა ახალაიამ მას სპეცრაზმელების შეკრება დაავალა. ნავთლუღში შეხვდა დათა ახალაიას, ლევან ქარდავას, გიორგი მაზმიშვილს. ცოტა ხანში შემოესმა ხმები „არ გვესროლოთ!" „გვიშველეთ!" დათა ახალაია, გიორგი დგებუაძე და გიორგი მაზმიშვილი ისროდნენ. მოწმემ თქვა, რომ თავადაც მოახდინა დაახლოებით 5-6 გასროლა. სროლების შემდეგ, ეს ბიჭები დაეცნენ. დათა ახალაია ერთ ბიჭთან შეჩერდა და მოახდინა საკონტროლო გასროლა, შემდეგ მოიხსნა ნიღაბი. მეორესთან მივიდა

დგებუაძე და მოახდინა საკონტროლო გასროლა. მოწმე აცხადებდა, რომ გარდაცვლილებს იარაღი დაუწყვეს გვერდით, შემდეგ მივიდნენ ექსპერტ კრიმინალისტებიც. ჩვენებაში მოწმე ამბობდა, რომ დავალება მოდიოდა დათა ახალაიასგან. როგორც მოწმე აცხადებდა, გარდაცვლილებს იარაღი არ ჰქონიათ. დათა ახალაიას დავალებით კიდევ განახორციელეს სროლები პიარის მიზნით, რომელსაც უკვე კამერები იღებდნენ. შალვა თათუხაშვილი **მეორე ჩვენებაში** ადასტურებდა პირველ ჩვენებაში მიცემულ ინფორმაციას.

დაიკითხა მოწმე ჯ.ჯ., აღნიშნული მოწმე იყო ისანი-სამგორის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ინსპექტორი და მისი სამოქმედო ტერიტორია იყო ნავთლუღის ავტოსადგური. 2006 წლის 12 იანვარს ის შეესწრო 2-3 მანქანის გაჩერებას, იქიდან შეიარაღებული პირები გადმოვიდნენ. სროლის შედეგად დაეცა ერთი პიროვნება, მასთან ნიღბიანი მივიდა და იარაღიდან ესროლა, ნიღაბი მოიხსნა და ეს იყო დათა ახალაია. მეორე გვამთან მივიდა გიორგი მაზმიშვილი და მანაც გასროლა განახორციელა, მესამე პიროვნების ამოცნობა ვერ მოახერხა, რადგან ზურგით იდგა. მოწმემ განაცხადა რომ ორმხრივი სროლა არ ყოფილა. ასევე, დაინახა, როგორ დაულაგეს იარაღი გარდაცვლილებს. ავტოსადგურთან მან დაინახა იმ მარკის მანქანა, რომელიც, როგორც სხვა მოწმეები ადასტურებენ, დათა ახალაიას ეკუთვნოდა.

დაიკითხნენ კუდ-ის სპეცრაზმის თანამშრომლები, რომლებმაც განაცხადეს, რომ შალვა თათუხაშვილის ბრძანებით, 8-10 კაციანი ჯგუფი სამარშრუტო ტაქსით მივიდნენ ნავთლუღის ავტოსადგურთან, ბრძანების თანახმად, მანქანიდან არ გადმოსულან. მათ გაიგონეს სროლის ხმა, რის შემდეგაც გადავიდნენ მანქანიდან, მიუახლოვდნენ შემთხვევის ადგილს და ნახეს სამი გვამი. მოწმეების განცხადებით, იქვე იყვნენ დათა ახალაია, მეგის ქარდავა და გიორგი მაზმიშვილი სხვა პირებთან ერთად. აღნიშნულთან დაკავშირებით, მოწმეები დაკითხული იყვნენ 2006 წელსაც, თუმცა მაშინ დაკითხვის ოქმს შინაარსს გაუცნობლად მოაწერეს ხელი, ხოლო ხელახალი გამოძიების ფარგლებში დაკითხვისას გაიგეს, რომ ტექსტი შეიცავდა შინაარს, თითქოს გარდაცვლილი პირების ლიკვიდაცია სპეცრაზმმა მოახდინა. მოწმეებმა აღნიშნეს, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა და მათ რეალურად გარდაცვლილი სამი პიროვნების ლიკვიდაცია არ მოუხდენიათ.

დაიკითხა კუდ-ის თანამშრომელი რომელიც იხსენებს, რომ 2006 წლის 12 იანვარს წაიყვანეს შემთხვევის ადგილას, სადაც უნდა დახმარებოდნენ სპეცოპერაციის ჩატარებაში, თუმცა ტერიტორიაზე არ უნდა შესულიყვნენ. გაიგეს სროლების ხმა, ამის

შემდეგ, ბრძანების თანახმად გადავიდნენ მანქანიდან და სროლით შევარდნენ შემთხვევის ადგილას, თუმცა პიროვნებების ლიკვიდაცია მათ არ მოუხდენიათ. ბრალდებული პირები იქ იყვნენ. იქ იყო, ასევე, შალვა თათუხაშვილი.

დაიკითხა, ასევე, კუდ-ის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც შემთხვევის ადგილისგან მოშორებით იყო, ესმოდა სროლის ხმები, ხოლო შემთხვევის ადგილას მისულს იქ ბრალდებულები დახვდა. მოგვიანებით, მოწმემ მისი უფროსის დავალებით შეარჩია ორი პირი, რომელიც იტყოდა, რომ სპეცოპერაციას შეესწრნენ და ნახეს, რომ ორმხრივი სროლისა და წინააღმდეგობის გაწევის შედეგად დაიღუპა სამი პიროვნება.
კუდ-ის სხვა თანამშრომელი იხსენებს, რომ სამსახურში იცოდა რაღაც სპეცოპერაციის ჩატარების შესახებ, რის შემდეგაც სამსახურში მისულმა გიორგი მაზმიშვილმა უთხრა „დღეს იარაღი მოვნათლეო”.

დაიკითხა შემთხვევის ადგილთან არსებული ავტო-ბაზრის ღამის დარაჯი, რომელმაც შემთხვევის ღამეს დაინახა, როგორ გარბოდა იარაღის გარეშე სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული სამი ბიჭი ყვირილით, უკან კი მისდევდნენ სხვა პირები, ისმოდა, ასევე, სროლის ხმაც. აღნიშნულმა მოწმემ 2006 წელს დაკითხვისას დამალა ეს ფაქტები, თქვა რომ მაშინ სიმართლის თქმის ეშინოდა.

დაიკითხა ნავთლუღის ავტოსადგურთან არსებული ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომლის მეუღლე, რომელიც იხსენებს 2006 წლის 12 იანვრის მისი მეუღლის მონაყოლს, რომელიც შეესწრო, სამი ახალგაზრდა ბიჭის ჩაცხრილვას, რომლებიც შველას ითხოვდნენ და გარბოდნენ.

დაიკითხა პიროვნება, რომელიც ტელეფონით ელაპარაკა ტრისტან წითელაშვილს და ტრისტან წითელაშვილმა უთხრა, ცუდი ამბავია, 3 უდანაშაულო ბიჭი ჩაცხრილესო.

პატიმრების წამების ეპიზოდი

გია გორგაძის განცხადებით, ციხეში მივიდნენ სპეცრაზმის თანამშრომლები, მათ შორის მეგის ქარდავა და ბაჩო ახალაია, რომლებმაც დაზარალებული ექვსი პატიმარი სასტიკად სცემეს და აწამეს. შემდეგ პატიმრები გადაიყვანეს სხვა დაწესებულებაში. მოწმე, ასევე, იხსენებდა, რომ მეგის ქარდავას პერიოდულად გაჰყავდა საკნიდან და სასტიკად სცემდა, ითხოვდა აღიარებით ჩვენებას. ძმის გარდაცვალების შესახებ მხოლოდ 4 თვის შემდგომ გაიგო გაზეთიდან.

დაკითხვისას მოწმემ ბრიფინგის მოწყობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თავისივე ოჯახის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, სურდა ბაჩო ახალაიასთან გასაუბრება, სწორედ ამ მიზნით შეხვდა ბაჩოს მეუღლესა და გიორგი ონიანს, რომელთაც მატერიალური დახმარების მიღების სანაცვლოდ შეპირდა მათთვის სასურველ ჩვენებას. მოგვიანებით პრესკონფერენციაზე აპირებდა გაეკეთებინა განცხადება, რომ წამებისას ბაჩო იქ არ ყოფილა, თუმცა პრესკონფერენციის გამართვამდე შესასვლელთან დახვდნენ და წაიყვანეს პროკურატურაში. ამის შემდგომ, მოწმე კიდევ შეხვდა გიორგი ონიანს, რომელმაც საუბრისას გადაუღო ვიდეო, რომელიც აცხადებდა, რომ ბაჩო ახალაია მის ცემასა და წამებაში მონაწილეობას არ იღებდა.

დაიკითხა დაზარალებული ბერდია მესხი. მოწმემ გაიხსენა ცემის ფაქტი, რაშიც მონაწილეობას სხვა სპეცრაზმის თანამშრომლებთან ერთად ბაჩო ახალაია და მეგის ქარდავაც იღებდა. დაზარალებულები გააშიშვლეს, სასტიკად სცემეს და აწამეს. საკანში მოთავსების შემდეგ მეგის ქარდავას კაბინეტში დაზარალებულები სათითაოდ გაჰყავდათ და იქაც სასტიკად უსწორდებოდნენ. ასევე დაიკითხა დაზარალებული მამუკა ბეჭვაია. მან გაიხსენა იგივე ფაქტი, როგორ დაუძახეს მას და სხვა დაზარალებულებს და გაიყვანეს ეზოში. ბაჩო ახალაია და მეგის ქარდავაც იქ იყვნენ. ასევე, გაიხსენა ვიღაც თეთრთმიანი კაცი, რომელსაც ცემაში მონაწილეობა არ მიუღია. დაიკითხა ვალერიან პაპავაც, დაზარალებული იხსენებს იგივეს, მეგის ქარდავას კაბინეტში მას დენის აპარატით აწამებდნენ და მისგან აღიარებით ჩვენების მიცემას ითხოვდნენ, თითქოს ციხიდან აპირებდა გაქცევას. მოწმემ გაიხსენა, რომ ბაჩო ახალაია და მეგის ქარდავა სპეცრაზმის სხვა თანამშრომებთან ერთად იყვნენ. დაკითხული დაზარალებულები მსგავს სცენარებს იხსენებდნენ.

დაიკითხნენ კოლონიის თანამშრომლებიც, რომლებიც შეესწრნენ პატიმრების ეზოში ცემის ფაქტს. მათ გაიხსენეს, რომ ადგილზე იყვნენ ბაჩო ახალაია, მეგის ქარდავა და მესამე ჭაღარა კაცი.

> შენიშვნა: დაცვის მხარემ მოწმეს დაუსვა შეკითხვა გათავისუფლების შემდეგ მის ნასამართლობასა და პასუხისგებაში მიცემაზე, მოწმემ განაცხადა, რომ გათავისუფლების შემდგომ მის მიმართ საქმე არ ყოფილა აღძრული. დაცვის მხარემ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით გამოეთხოვა ინფორმაცია ციხიდან გათავისუფლების შემდეგ მიეცა თუ არა მამუკა ბეჭვაია პასუხისგებაში,

> როგორც დაცვის მხარემ განაცხადა, მათ ინფორმაცია მტკიცებულების გამოკვლევის შემდგომ გადაეცათ. [37]

დაიკითხა იმ განყოფილების დირექტორის მოადგილე, სადაც ნაცემი პატიმრები გადაიყვანეს. მოწმემ გაიხსენა მეგის ქარდავასა და ბაჩო ახალაიას მხრიდან პატიმრების მიმართ განხორციელებული ძალადობა. ცემის ფაქტს ადასტურებენ ბრალდების მხარის სხვა მოწმეებიც.

მოწმეების განცხადებით, პატიმრებს სამედიცინო შემოწმება რეალურად არ ჩატარებიათ.

ს. გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებული პირებისთვის პრივილეგირებულ მდგომარეობაში სასჯელის მოხდის ეპიზოდი

გირგვლიანის საქმეში მსჯავრდებულები იხსენებენ დათა ახალაიასთან საუბარს, რომ ციხეში უნდა წასულიყვნენ და თავად მიხედავდა იქ, რომ ერთი წელი მოუწევდათ ციხეში ყოფნა. მათ წინასწარ იცოდნენ, როდის დააკავებდნენ. დაადასტურეს, რომ ციხეში განსაკუთრებულ პირობებში იყვნენ, თავისუფალი რეჟიმი ჰქონდათ, შეზღუდვები მათზე არ ვრცელდებოდა, ტელეფონითაც სარგებლობდნენ და კონდიციონერი, მაცივარი, ტელეფონები, სათამაშო კომპიუტერებიც ჰქონდათ. შეუზღუდავად იღებდნენ ამანათებს, ასევე, ალკოჰოლს. დაკითხვისას განაცხადეს, რომ მათთან ბაჩო ახალაია მიდიოდა ხოლმე. მოწმეებმა განაცხადეს, რომ ერთ-ერთი პატიმარი ბაჩომ ორჯერ ციხიდანაც კი გაიყვანა, ერთხელ მეუღლის სანახავად, მეორედ კი აგვისტოს ომის დროს. ციხიდან გაყვანის ფაქტი დაკითხვისას ციხის თანამშრომელმაც დაადასტურა.

ავთანდილ აფციაური, რომელიც გასამართლებული იყო გირგვლიანის საქმეზე, იხსენებს, რომ მას შეხვდა დათა ახალაია და უთხრა, რომ გირგვლიანის საქმეზე უნდა ჩამჯდარიყო ციხეში. კითხვაზე, თუ რა ბრალი მიუძღვოდა, დათამ უპასუხა, რომ მისი ოქროყანაში ყოფნაც საკმარისი იყო. დაპირდა, რომ მხოლოდ 1 წელს გაატარებდა ციხეში და ამ პერიოდის განმავლობაში ყველაფრით უზრუნველყოფილი იქნებოდა, აგრეთვე ყველა პრობლემას მოუგვარებდა. დათა ახალაიამ მისი საბანკო სესხი დაფარა. მოწმემ განაცხადა, რომ სახალხო დამცველი თუ მიდიოდა, სხვა საკანში გადაყავდათ . მოწმემ დაადასტურა, რომ ბაჩო ახალაიასაც შეხვედრია ციხეში. ასევე, 2008 წლის აგვისტოს

[37] დამატებულ იქნა ბაჩო ახალაიას დამცველის შენიშვნების მიხედვით.

დროს გაიყვანეს ციხიდან, შემდეგ კი უკან მოაბრუნეს. დათა ახალაია მათ ჰპირდებოდა შეწყალებას, თუმცა ერთ-ერთი შეხვედრისას უთხრა, რომ შეწყალების ამბავი ვერ გამოდიოდა და რამდენიმე თვე კიდევ მოუწევდათ ჯდომა.

ციხის დირექტორმა ისაუბრა გირგვლიანის საქმეში ბრალდებული პირებისთვის საპატიმროში განსაკუთრებული პირობების შექმნაზე, რომ ისინი თავისუფალ რეჟიმში იყვნენ, ბაჩო ახალაია კი ამ ყველაფრის საქმის კურსში იყო და მათთან ბაჩოს გარდა, დათა ახალაიაც მიდიოდა სტუმრად. ციხის სხვა თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ მათ ჰქონდათ სასადილოს მოწყობილობები, მაგიდა, მაცივარი, ტელევიზორი, საწოლები, სკამები, სავარძლები. შეუფერხებლად გადაადგილდებოდნენ, ალკოჰოლს მოიხმარდნენ და სუფრაც ხშირად ჰქონდათ გაშლილი. ერთ-ერთმა მოწმემ, ციხის თანამშრომელმა გაიხსენა ციხის დირექტორის მითითება, რომ კუდ-ის მაღალჩინოსნები უნდა შემოესახლებინათ და სხვა პირობებში უნდა ყოფილიყვნენ.

მოწმეები ადასტურებენ, რომ მსჯავრედებულებს შემოწმება, ჩხრეკა არ ეხებოდათ, სხვა ოთახებში იყვნენ და მნახველები შეუზღუდავად ჰყავდათ.

გამოქვეყნდა, ასევე, თემურ ტაბაღუას რამდენიმე ჩვენება:
პირველი ჩვენების თანახმად, მოწმე მუშაობდა სასჯელაღსრულების მე-10 დაწესებულებაში და როდესაც გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებულები გადაიყვანეს მათთან, მათთვის საკნები გაარემონტეს. პატიმრები იმყოფებოდნენ პრივილეგირებულ მდგომარეობაში, ჰქონდათ საყოფაცხოვრებო ნივთები, მაცივარი, კონდიციონერი, ხის საწოლები, ასევე ინტერნეტი. მათზე შინაგანაწესის მოთხოვნები არ ვრცელდებოდა, ხშირად ქეიფობდნენ, მოდიოდნენ სტუმრები, მათ შორის მეგის ქარდავა. მნახველების ციხეში შეშვებასთან დაკავშირებით მათთან გერონტი ალანია რეკავდა ხოლმე. მოწმე აცხადებდა, რომ ბაჩო ახალაია საქმის კურსში იყო პატიმრების ციხიდან გაყვანის თაობაზე.

მეორე ჩვენებაში მან ციხიდან გაყვანის ფაქტი ისევ დაადასტურა. იხსენებს, რომ პატიმრებს მალე გათავისუფლებას პირდებოდნენ.

მესამე ჩვენებაში მოწმე ამბობდა, რომ დათა ახალაია ციხეში მსჯავრდებულებთან სანახავად არ ყოფილა, მხოლოდ ერთხელ იყო შესული, შესვლის მიზეზი კი ეკლესიის გახსნა იყო, სადაც პატრიარქთან ერთად იმყოფებოდა. მოწმემ ვერ გაიხსენა, იყო თუ არა

დირექტორის წერილობითი ბრძანება გერონტი ალანიას ციხიდან გაყვანის თაობაზე, მისი განცხადებით, გაყვანა ზეპირი ბრძანების საფუძველზე მოხდა.

მეოთხე ჩვენებაში ტაბაღუა საუბრობდა ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილისთვის (დაცვის მხარის ადვოკატი) მიცემულ ახსნა-განმარტებაზე და ამბობდა, რომ ის სინამდვილეში გამოკითხვას არ დასწრებია. მოწმემ გაიხსენა, რომ სატელეფონო საუბრისას მას შეეცოდა ბაჩო ახალაიას ოჯახი და უთხრა, ის დაწერათ, რაც ბაჩოს მდგომარეობას შეამსუბუქებდა და ხელს მოაწერდა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებულ ვიდეოსთან[38] დაკავშირებით, სადაც ის საუბრობდა მის მიმართ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან სასურველი ჩვენების მიღების მიზნით განხორციელებულ ზეწოლაზე, ტაბაღუამ განაცხადა, რომ გადაღლილობის გამო გამომძიებლის მიერ დასმული შეკითხვები ზეწოლად აღიქვა აღნიშნა, რომ, მართალია, ვიდეოჩანაწერის მისი ინიციატივით გაკეთდა, თუმცა ნებართვის გარეშე გამოქვეყნდა. საბოლოოდ მან ზეწოლის ფაქტი უარყო.

სხვა მნიშვნელოვანი ჩვენებები

დაიკითხნენ ექსპერტები, რომლებმაც ექსპერტიზა ჩაუტარეს შალვა თათუხაშვილის გვამს. ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ გვამს სისხლჩაქცევები და დაზიანებები სიცოცხლის დროს ჰქონდა მიყენებული და დაზიანებები სიკვდილთან მიზეზობრივ კავშირში არ იყო. დაზიანებები მიყენებული იყო ბლაგვი საგნით. სიკვდილის მიზეზი, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, იყო ალკოჰოლური ინტოქსიკაცია. ორგანიზმში აღმოჩენილ იქნა ალკოჰოლური და ფსიქოტროპული ნივთიერებები.

დაიკითხნენ ექსპერტები, რომელმაც მოახდინეს პიროვნებების იდენტიფიკაცია სპეცოპერაციის ამსახველ ვიდეოზე (საუბარია ვიდეოზე, სადაც ჩანს, რომ ორმხრივი სროლების შედეგად თითქოს სპეცრაზმმა მოახდინა გარდაცვლილი პირების ლიკვიდაცია.) დადგინდა, რომ ვიდეო სხვადასხვა კამერით იყო გადაღებული, ამასთან ერთ მოკლულს ნასროლი აქვს ძლიერ ახლო მანძილიდან, თითქმის მიბჯენით, ერთ გარდაცვლილთან მიმართებაში მანძილის დადგენა ვერ მოხერხდა. ერთ მოკლულს კი

[38] https://www.youtube.com/watch?v=XVdAZfDwXMw

ზურგიდან აქვს ნასროლი. არცერთი გვამის ორგანიზმში ნარკოტიკი ან ალკოჰოლი არ აღმოჩენილა.

ბ. დაცვის მხარის მოწმეები:

დაცვის მხარის მოწმემ, რომელიც დაწესებულების თანამშრომელი იყო, განაცხადა, რომ დაზარალებული პირები იყვნენ ე.წ ციხის მაყურებლები და ქურდული სამყაროს წევრები. მოწმე უარყოფდა ბაჩო ახალაიას მხრიდან მათზე რაიმე სახის ძალადობას.

დაცვის მხარის სხვა მოწმემ ციხეში გირგვლიანის საქმეში მსჯავრდებული პირების განსაკუთრებულ პირობებში ყოფნა უარყო.
დაცვის ერთ-ერთმა მოწმემ განაცხადა, რომ 6 პატიმარი, უბრალოდ, გამოიძახეს და ფორმალურად დაათვალიერეს, მათზე ძალადობას ადგილი არ ჰქონია. მოწმემ, აგრეთვე, უარყო, რომ ბაჩო ახალაიას იარაღი ჰქონდა. აღნიშნულმა მოწმემ პატიმრები მეშვიდეში გადაყვანის შემდგომაც ნახა, თუმცა განაცხადა, რომ მათ ძალადობის კვალი არ აღენიშნებოდათ.

დაცვის მხარის მოწმე ამბობდა, რომ პატიმრების თითქოსდა წამების დღეს ბაჩოსთან ერთად იმყოფებოდა, დაწესებულებაში მისვლის მიზეზი იყო ინფორმაცია, რომ პატიმრები გაქცევას აპირებდნენ. იქ მისულებმა პატიმრები შეამოწმეს. მოწმემ უარყო რაიმე სახის ძალადობა.

დაცვის მხარის ერთ-ერთმა მოწმემ პრესკონფერენციის გამართვასთან დაკავშირებით გია გორგაძესთან შეხვედრა გაიხსენა. გია გორგაძესთან შეხვედრაზე მოწმესთან ერთად იმყოფებოდნენ ბაჩოს მეუღლე (ანი ნადარეიშვილი) და ბაჩოს დამცველი გიორგი ონიანი. მოწმის განცხადებით, გია გორგაძემ მათთან საუბარში აღიარა, რომ ბაჩოს წინააღმდეგ ჩვენება დააწერინეს, რეალურად მას ბაჩო რუსთავის პირველ დაწესებულებაში არ უნახავს, თუმცა ჩვენებაში დააწერინეს, თითქოს ბაჩო იქ იმყოფებოდა.

მოწმემ, ასევე, ისაუბრა თემურ ტაბაღუაზე. მისი განცხადებით, თემურ ტაბაღუამ მასთან საუბრისას აღიარა, რომ პროკურატურაში 10-12 საათის განმავლობაში ყოფნისას ზეწოლას ვერ გაუძლო და ამიტომ მისცა ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენება.

დაცვის მხარის ერთ-ერთმა მოწმემ დაკითხვისას განაცხადა, რომ ბრალდების მხარის მოწმემ მასთან პირად საუბარში აღიარა, რომ ის იძულებული იყო, ბაჩო ახალაიას და მეგის ქარდავას წინააღმდეგ მიეცა ჩვენება, რადგან დაჭერით ემუქრებოდნენ.

დაიკითხა რამდენიმე მოწმე, რომლებიც საუბრობდნენ ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ არსებულ სხვა საქმეებში მათზე ზეწოლის ფაქტებზე სასურველი ჩვენების მიღების სანაცვლოდ. მათ სამართალდამცველები სანაცვლოდ ბრალის მოხსნას ჰპირდებოდნენ.

დაცვის მხარის მოწმემ (მსჯავრდებული ე.წ სამალავების საქმეზე) დ.ჩ., რომელიც ავსტრიაში დააკავეს, განაცხადა რომ ექსტრადირებისას მასთან მივიდნენ და შესთავაზეს ბაჩოს წინააღმდეგ ჩვენების მიცემა. მას შემდეგ, რაც მოწმემ განუცხადა სამართალდამცველებს, რომ ბაჩო ახალაიას საერთოდ არ იცნობდა, სამართალდამცველებმა შესთავაზეს ეთქვა, თითქოს მისი ექსტრადირება მოხდა ოლეგ მელნიკოვთან ერთად, რომელმაც მასთან საუბარში თქვა, რომ ნავთლუღის სპეცოპერაციისას დაღუპულებს დათა ახალაიამ და მეგის ქარდავამ ესროლეს.

მოწმის სახით დაიკითხა ბაჩო ახალაიას ადვოკატი გიორგი ონიანი, რომელიც 2006 წელს მუშაობდა სად-ში. ნავთლუღის სპეცოპერაციის დღეს განვითარებული მოვლენების მომსწრე არ ყოფილა, ვინაიდან შემთხვევის ადგილზე გვიან მივიდა. საპატიმრო დაწესებულებაში ბაჩო ახალაიას მხრიდან ცემისა და წამების ფაქტებს მოწმე უარყოფს. მისი ჩვენებით, ადგილი ჰქონდა მხოლოდ შელაპარაკებას და პატიმრების გაყვანას ხმაურის ფონზე.

დაიკითხა ბრალდებული ლევან ქარდავა, რომელიც იკავებდა კუდ-ის მესამე სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობას. მას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ციხეებზე მზადდებოდა თავდასხმა და ამ მიმართულებით ინფორმაციის მოძიებაზე მუშაობდა. ნავთლუღის ტერიტორიაზე მისულმა მანქანა 10-15 მეტრის სიახლოვეს გააჩერა და სროლის ხმა გაიგო, სროლა ავტოსადგურის ტერიტორიიდან ისმოდა. მისი ჩვენების თანახმად, უშუალოდ შემთხვევის ადგილზე მისულს დახვდა მიწაზწ დაგდებული პიროვნება, რომელსაც გვერდზე იარაღი ედო. მოწმე იხსენებს, რომ შალვა თათუხაშვილი იდგა დათასთან და უხსნიდა, თუ რა ხდებოდა. მისი განცხადებით, ნიღაბი მხოლოდ 2-3 სპეცრაზმელს ეკეთა, შალვა თათუხაშვილმა გასცა ბრძანება, გაეკეთებინათ რკალი, მოწმე სხვა არაფერს შესწრებია, ამის შემდეგ სამსახურში მიბრუნდა, ვინაიდან უთხრეს, რომ ციხეებზე თავდასხმის საფრთხე ჯერ კიდევ არსებობდა.

ლევან ქარდავამ გაიხსენა, ასევე, მისი დაკავება. დაკავებისას მისთვის არ განუმარტავთ, ვინ იყვნენ და რისთვის აკავებდნენ, მხოლოდ უთხრეს, რომ პროკურატურაში უნდა წაეყვანათ. დაკავებულს წაართვეს ტელეფონი, პროკურატურაში მიყვანის შემდეგ კი უთხრეს, რომ რა ჩვენებასაც დაუდებდნენ, იმაზე უნდა მოეწერა ხელი, თუ არ სურდა „ცხოვრების გაფუჭება“. დაწერილი ჩვენება ეხებოდა ნავთლუღის სპეცოპერაციას. სხვადასხვა პირი ცდილობდა ლევან ქარდავასგან სასურველი ჩვენების მიღებას, უარის თქმის შემთხვევაში კი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებითა და პასუხისგებაში მიცემით ემუქრებოდა. ბოლოს ლევან ქარდავას მისცეს ადვოკატთან დარეკვის უფლება. გლდანის ციხეში გადაყვანის შემდეგ, ლევან ქარდავას განცხადებით, კვლავ გრძელდებოდა სასურველ ჩვენებაზე ხელის მოწერის დათანხმების მცდელობა. მოწმემ, ასევე, აღნიშნა, რომ ციხეში მისთვის მინიჭებული სატელეფონო ზარის განხორციელების უფლების მიუხედავად, მას არ აძლევდნენ დარეკვის საშუალებას. ოფიცერმა უთხრა, რომ ასეთი ბრძანება პროკურატურისგან მიიღო. დარეკვის უფლება მას შემდეგ მისცეს, რაც მოწმემ ციხეში შიმშილობა დაიწყო.

გიორგი მაზმიშვილმა დაკითხვისას განაცხადა, რომ ნავთლუღის ტერტირორიაზე დათა ახალაია და გერონტი ალანია სროლით შევიდნენ, თავად არ უსვრია, რადგან სპეცრაზმს უკვე ლიკვიდირებული ჰყავდა პირები. მოწმემ გაიხსენა შალვა თათუხაშვილის მონაყოლი, რომ იარაღის დაყრისკენ მოწოდების მიუხედავად, მათ ცეცხლი გაუხსნეს სპეცრაზმს, რის შემდეგაც მოხდა მათი ლიკვიდაცია. გიორგი მაზმიშვილმა განაცხადა, რომ ლევან ქარდავას არც ფორმა ცმია და არც იარაღი ჰქონია.

გიორგი მაზმიშვილმა დაკითხვისას განაცხადა, რომ მისი მეუღლე გაიტაცეს, მას კი უთხრეს, რომ თუ ახალაიების წინააღმდეგ ჩვენებას მისცემდა, ის და მისი მეუღლეც კარგად იქნებოდნენ. მოწმემ შეთავაზებაზე უარი განაცხადა.

დაიკითხა ბრალდებული ბაჩანა ახალაია. დაკითხვისას გაიხსენა, რომ იყო ინფორმაცია პატიმრების ციხიდან გაქცევის შესახებ, ინფორმციის წყარო არ ახსოვდა. 2006 წლის 12 იანვრის ღამესთან დაკავშირებით, ბაჩო ახალაიამ დაკითხვისას განაცხადა, რომ პატიმრებზე ზეწოლას, მუქარას და ძალადობას ადგილი არ ჰქონია, მათი გადმოყვანისას კი ატყდა ხმაური პატიმრების მხრიდან.

ბაჩანა ახალაია უარყოფს, ასევე, ს. გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებული რომელიმე პატიმრისთვის პრივილეგირებული მდგომარეობის შექმნას. არც იმაზე ფლობდა ინფორმაციას, რატომ გათავისუფლდნენ ისინი ვადაზე ადრე.

მოწმე რ.ჭ., რომელიც დაიკითხა დისტანციურად skype-ს საშუალებით, იხსენებს, რომ შევიდა ინფორმაცია პატიმრების ციხიდან გაქცევის შესახებ. ამიტომ მოხდა ამ პატიმრების ციხიდან გადაყვანა, გადაყვანას მოჰყვა ხმაური, თუმცა მოწმე უარყოფს პატიმრების ცემის ფაქტებს.

ერთ-ერთმა მოწმემ დაკითხვისას განაცხადა, რომ მასთან მივიდა დაახლოებით 15 კაცი, განუცხადეს, რომ ჰქონდათ ინფორმაცია, თითქოს მასთან ინახებოდა იარაღი და ნარკოტიკული საშუალება. მას შემდეგ, რაც ვერაფერი იპოვნეს, უთხრეს, რომ სამმართველოში უნდა წაყოლოდა და ხელი მოეწერა დოკუმენტზე. დაცვის მხარის აღნიშნული მოწმე ბრალდებულებთან ერთად იმყოფებოდა, როდესაც მათ პატიმრები ციხიდან სხვა განყოფილებაში გადაყავდათ. მოწმემ განაცხადა, რომ პატიმრებისთვის არცერთ ბრალდებულს ხელი არ დაუკარებია, მათზე ძალადობას ადგილი არ ჰქონია.

დაიკითხა შალვა თათუხაშვილის ბიძაშვილი, რომელიც შალვა თათუხაშვილის დაკითხვასთან დაკავშირებით იხსენებს, რომ მას დაუკავშირდა შალვას მამა, რომელმაც შალვასთვის ადვოკატის გაგზავნა თხოვა, რადგან პროკურატურაში იყო დაბარებული. მოწმემ გაიხსენა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში საერთოდ არ იცოდა, სად იყო შალვა თათუხაშვილი. შალვამ მასთან საუბრისას უთხრა, რომ ყველაფერს მოაწერდა ხელს და ძალიან ცუდად იყო. შალვამ მოწმესთან საუბარში თქვა, რომ ან სამუდამოდ ციხეში უნდა მჯდარიყო ან ახალაიას, ქარდავასა და მაზმიშვილზე უნდა დაედო ხელი, იყო მუქარა მისი ოჯახის მიმართ, ადგილი ჰქონდა მის წამებასაც. მოწმის განცხადებით, თათუხაშვილის ცნობით, მასზე ზეწოლას ახდენდა გურგენ გილაური და დავით ძნელაშვილი.

როგორც მოწმემ დაკითხვისას აღნიშნა, შალვამ მასთან საუბრისას ასევე თქვა, რომ ნავთლუღის სპეცოპერაციას ის ატარებდა პირადად და ბრალდებულები არ იყვნენ დამნაშავეები. მოწმის განცხადებით შალვამ მასთან საუბრისას უთხრა, რომ ვიდეო ჩანაწერისას, სადაც ის ამბობს, რომ პროკურატურას მასზე ზეწოლა არ განუხორციელებია, სინამდვილეში მას იარაღით ადგნენ თავზე და ისე წერდნენ ვიდეოს. [39]

[39] https://www.youtube.com/watch?v=fpxSH8syv2s&feature=youtu.be

დაცვის მხარის სხვა მოწმის განცხადებით, თემურ ტაბაღუამ მასთან საუბარში აღიარა, რომ ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენებაში ტყუილი ათქმევინეს. აღნიშნულმა მოწმემ, ასევე, უარყო გირგვლიანის საქმეზე გასამართლებული პირების პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფნა.

6. განაჩენი

ბაჩო ახალაია უდანაშაულოდ იქნა ცნობილი მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებების საქმეზე, რამაც საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების, ასევე ფიზიკურ პირთა კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

ბაჩო ახალაია და მეგის ქარდავა სასამართლომ დამნაშავედ სცნო მოხელის მიერ ჯგუფურად ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილ წამებაში, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ. ასევე, ბაჩანა ახალაია ცნობილ იქნა დამნაშავედ ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით, ჩადენილი საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის და სხვისთვის რაიმე გამორჩენის და უპირატესობის მისაღებად სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდების საქმეზე, რამაც საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. ბაჩანა ახალაიასა და მეგის ქარდავას "ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონისა" და შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად 7 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ. მათვე აეკრძალათ სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება: ახალაიას 3 წლის, ხოლო მეგის ქარდავას 2 წლისა და 3 თვის ვადით.

ბრალდებულები გიორგი მაზმიშვილი და ლევან ქარდავა გამართლდნენ მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდების საქმეზე, ჩადენილი ძალადობით და იარაღის გამოყენებით, რამაც ფიზიკური პირის უფლების, საზოგადოების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ხოლო ცნობილ იქნენ დამნაშავედ ჯგუფურად, ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის. გიორგი მაზმიშვილსა და ლევან ქარდავას "ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონისა" და შთანთქმის პრინციპის გამოყენებით,

საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად თითოეულს 11 წლისა და 3 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ.

7. ჩვენი დაკვირვება

კითხვის ნიშნებს ბადებს და მოწმის სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს საქმეში ბრალდების მხარის, სასულიერო პირის, თეიმურაზ ტაბაღუას ჩვენებები. გავრცელებულ ვიდეოში[40] ის აცხადებდა, რომ მასზე ადგილი ჰქონდა ზეწოლას სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან, თუმცა მოგვიანებით ის გამოძიებისას მიცემულ ჩვენებაში ამბობდა, რომ ვიდეოში მის მიერ გაცხადებული ფაქტები არ შეესაბამება სიმართლეს. საბოლოოდ, მოწმემ დატოვა ქვეყნის საზღვრები და საქმეში მოხდა მისი გამოძიებისას მიცემული ჩვენების გამოქვეყნება. აღნიშნულ მოწმესთან მიმართებით ეჭვებს ბადებს არა მხოლოდ მის მიერ გავრცელებულ ვიდეოში მოყვანილი ფაქტები, სადაც ზეწოლაზე საუბრობდა, არამედ, ასევე, მისი ქმედებების ქრონოლოგიაც.

კითხვის ნიშნები ჩნდება, ასევე, ბრალდების მოწმე გია გორგაძესთან მიმართებით. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გია გორგაძე აპირებდა პრეს-კონფერენციის გამართვას. ბრალდებულ ბაჩანა ახალაიას მეუღლის განმარტებით, გია გორგაძე აპირებდა თქმას, რომ მას ჩვენება ძალით მიაცემინეს და ბაჩანა ახალაია უდანაშაულო იყო. პრეს-კონფერენციამდე რამდენიმე წუთით ადრე, გია გორგაძე სამართალდამცველებმა წაიყვანეს,[41] აღნიშნულის დამადასტურებელი ვიდეო მასალაც გავრცელდა სოციალურ ქსელში. მოგვიანებით, პროკურატურამ გაავრცელა განცხადება,[42] რითიც დაადასტურა რომ მათ ნამდვილად წაიყვანეს მოწმე, თუმცა განაცხადეს, რომ ამის საფუძველი გორგაძის ოჯახის წევრების განცხადება გახდა, რომლებმაც სამართალდამცავებს აცნობეს, რომ არ იცოდნენ, სად იმყოფებოდა გია გორგაძე, გათიშული ჰქონდა მობილური ტელეფონი და გამოთქვამდნენ ეჭვს, რომ იგი გაიტაცეს ბაჩანა ახალაიას და მეგის ქარადავას მიმართ მიცემული მამხილებელი ჩვენების გამო. ოჯახის წევრები ითხოვდნენ დახმარებას. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, მთავარმა პროკურატურამ დაუყონებლივ დაიწყო გამოძიება გია გორგაძის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ფაქტზე, ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, დაადგინეს მისი ადგილსამყოფელი და იგი მიიყვანეს საგამოძიებო ორგანოში დაკითხვისა და სათანადო საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით. არსებობს,

[40] https://www.youtube.com/watch?v=XVdAZfDwXMw
[41] https://www.youtube.com/watch?v=ubBjqiAjGxw
[42] http://pog.gov.ge/geo/news?info_id=418

ასევე, ბაჩო ახალაიას მეუღლის მიერ გავრცელებული ვიდეო, სადაც გია გორგაძე აცხადებდა, რომ ბაჩო ახალაიას ის არ უწამებია.[43]

ეჭვებს ბადებს, ერთის მხრივ, თავად გია გორგაძის ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებები, მეორეს მხრივ კი, სამართალდამცველების მხრიდან პრეს-კონფერენციამდე რამდენიმე წუთით ადრე მისი იძულებით წაყვანა, მითუმეტეს, რომ პროკურატურის მიერ დასახელებული საფუძვლები არადამაჯერებელია.

ისევე, როგორც სხვა გახმაურებულ საქმეებში, ბაჩო ახალაიას მიმართ არსებულ მიმდინარე საქმეშიც მოხდა ბრალდებულისათვის პატიმრობის ცხრა თვიანი ვადის მიწურულს ახალი ბრალის წარდგენა. აღნიშნული მიანიშნებს, რომ ბრალდების მიზანია, ბრალდებული დატოვოს პატიმრობაში, რადგან ვერ ასწრებს სასამართლო საქმის განხილვის დასრულებას, ცხრა თვიანი ვადის გასვლის შემდეგ კი სასამართლოს მისი გათავისუფლება მოუწევდა. აღსანიშნავია, რომ ბაჩო ახალაიას მიმართ აღკვეთი ღონისძიების გამოყენებაზე საუბარი იყო, ასევე, ევროსაბჭოს რეზოლუციაში, სადაც აღნიშნულია, რომ ევროსაბჭო შეშფოთებას გამოთქვამს მის მიმართ გამოყენებული პატიმრობის ხანგრძლივობის თაობაზე და ხელისუფლებას მოუწოდებდა, გამოეყენებინა ყველა სამართლებრივი მექანიზმი პატიმრობის არასაპატიმრო აღკვეთი ღონისძიების შეცვლის მიზნით.

ბრალდებულები აკეთებდნენ განცხადებებს მათ მიმართ კანონის დარღვევის თაობაზე. მათ მიერ მოყვანილი ფაქტები აშკარად შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს. ამდენად, აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მოხდეს ამ ფაქტებზე შესაბამისი რეაგირება. აღსანიშნავია, რომ ბაჩანა ახალაიას მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ, მოსამართლემ მოუწოდა პროკურატურას, დაეწყოთ გამოძიება, პროკურორმა კი მომდევნო პროცესზე განაცხადა, რომ ინფორმაცია შესაბამის ორგანოებს გადაეგზავნა შემდგომი რეაგირების მიზნით. ჩვენთვის უცნობია გამოძიების შედეგები, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მსგავს ფაქტებზე ხდებოდეს შესაბამისი რეაგირება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც, ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის შესახებ გაკეთებულ განცხადებაზე სრულყოფილი გამოძიება ჯერ კიდევ არ ჩატარებულა. აღნიშნულზე ჩვენი ორგანიზაცია წინა ანგარიშშიც უთითებდა. აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულების მიერ მათზე ზეწოლის შესახებ გაკეთებული განცხადებების დამადასტურებელი ფაქტები წარმოდგენილი არ ყოფილა.

[43] http://news.ge/ge/news/story/88471-nadareishvili-chanatsers-aqveynebs-sadats-gia-gorgadze-saubrobs-rom-is-akhalaias-ar-utsamebia

საქმის განხილვისას რამდენჯერმე იყო შემთხვევა, როდესაც ყველა დაინტერესებულმა პირმა ვერ შეძლო დარბაზში შესვლა.

ივანე მერაბიშვილი, დათა ახალაია და სხვები

I. ს. გირგვლიანის ეპიზოდი
II. აბულაშვილის და დაბრუნდაშვილის ეპიზოდები

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

ივანე მერაბიშვილი (შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი) - სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და სამსახურებრივი სიყალბე (სანდრო გირგვლიანის ეპიზოდი).

ოლეგ მელნიკოვი (შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი) - თავისუფლების უკანონო აღკვეთა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება. (სანდრო გირგვლიანის, ვამეხ აბულაშვილისა და კახა დაბრუნდაშვილის ეპიზოდები).

გერონტი ალანია (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს ყოფილი უფროსი) **და ვალერიან მეტრეველი** (კონსტიტუციური უსაფრთოხების დეპარტამენტის მეხუთე სამმართველოს ყოფილი უფროსი) - თავისუფლების უკანონო აღკვეთა, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და მათ მიმართ დამამცირებელი და არაადამიანურ მოპყრობა (ვამეხ აბულაშვილისა და კახა დაბრუნდაშვილის ეპიზოდები)

დათა ახალაია (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი) - სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით თავისუფლების უკანონო აღკვეთა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და სამსახურებრივი სიყალბე (სანდრო გირგვლიანის ეპიზოდი). თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მათ მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა ვამეხ აბულაშვილისა და კახა დაბრუნდაშვილის ეპიზოდები)

> შენიშვნა: დათა ახალაიას საქმე გამოეყო აღნიშნულ საქმეს. ოლეგ მელნიკოვთან კი საპროცესო შეთანხმება გაფორმდა.

2. რით გამოიხატა ქმედება

გირგვლიანის ეპიზოდი

ბრალდების თანახმად, 2006 წლის იანვარში სანდრო გირგვლიანი, კაფე „შარდენიდან“ გატაცების შემდეგ, თბილისთან ახლოს, ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სასტიკად სცემეს და მრავლობითი დაზიანებები მიაყენეს, რის შედეგადაც გირგვლიანი გარდაიცვალა. ივანე მერაბიშვილმა პოლიტიკური/თანამდებობრივი პასუხისმგებლობისათვის თავის არიდების მიზნით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილ დირექტორთან, დავით ახალაიასა და სხვა თანამდებობის პირებთან ერთად, პირადი მოტივით, წინასწარი განზრახვით დაფარა და შეცვალა სანდრო გირგვლიანის სიცოცხლისა და თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გარემოებების შესახებ არსებული და მოპოვებული მონაცემები, რის შედეგადაც დანაშაულის შემკვეთებმა და თანააღმსრულებლებმა თავიდან აიცილეს ადეკვატური სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. მერაბიშვილისა და სხვა თანამდებობის პირთა შეთანხმებული ქმედებებით განხორციელდა სანდრო გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების ინსცენირება, რომლის მიზანი იყო, ერთი მხრივ, დანაშაულის ჩამდენი უფრო მაღალი თანამდებობის პირების, მათთან შეხების მქონე შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლის და დანაშაულში მისი შესაძლო მონაწილეობის დაფარვა და, მეორე მხრივ, გ. ალანიას, ა. აფციაურის, ალ. ღაჭავას და მ. ბიბილურიძის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემდეგ მათი ჩადენილზე უფრო მსუბუქი დანაშაულისათვის მსჯავრდება (აღნიშნულ პირებთან შეთანხმდა მოსალოდნელი სასჯელის ვადა და მისი მოხდის პირობები).

ვამეხ აბულაშვილის ეპიზოდი

ბრალდების თანახმად, დათა ახალაია ვამეხ აბულაშვილის მეგობარ გოგონას სისტემატურად ურეკავდა, რაც დათა ახალაიასა და ვამეხ აბულაშილს შორის დაპირისპირების მიზეზი გახდა. ვალერიან მეტრეველმა ვამეხ აბულაშვილი ჯერ ე.წ. "მოდულის" შენობაში, გამოუცხადებლობის შემდეგ კი ტაბიძის ქუჩაზე დაიბარა, სადაც ვამეხ აბულაშვილი თავის მეგობარ კახა დაბრუნდაშვილთან ერთად მივიდა. აბულაშვილი და დაბრუნდაშვილი კუდის უსაფრთხოების დეპარტამენტის მაღალჩინოსნებმა ოქროყანაში გაიტაცეს, სადაც მათ დათა ახალაია, გერონტი ალანია, ვალერიან მეტრეველი და სხვები დახვდნენ. შურისძიების მოტივით, ვამეხ აბულაშვილი

სასტიკად სცემეს, იყო გასროლაც. ვამეხ აბულაშვილი მეორე დღეს გადაიყვანეს ღუდუშაურის საავადმყოფოში. ის ოლეგ მელნიკოვის მხრიდან სისტემატურად განიცდიდა მუქარას მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ, რომ მომხდარზე არაფერი ეთქვა.

3. მნიშვნელოვანი გარემოებები/ფაქტები

ინტერპოლის მიერ ძებნილი ოლეგ მელნიკოვი უკრაინელმა სამართალდამცველებმა 2012 წლის დეკემბერში დააკავეს. მოხდა მისი საქართველოში ექსტრადირება. ოლეგ მელნიკოვი უკრაინიდან ექსტრადიციის შემდეგ საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მეცხრე დაწესებულებაში მოათავსეს. თუმცა, ექსტრადირებიდან 48 საათის განმავლობაში პროკურატურას აღკვეთი ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით არ მიუმართავს სასამართლოსათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლით. შესაბამისად, მელნიკოვის ადვოკატი აცხადებდა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი უკანონო პატიმარი იყო.

სასამართლო პროცესი დაცვის მხარის მიერ სხვადასხვა მიზეზით რამდენჯერმე გადაიდო. მოსამართლემ, ერთ შემთხვევაში, დაცვის მხარის ადვოკატები არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო დააჯარიმა. განმეორების შემთხვევაში კი განაცხადა, რომ მსჯავრდებულს სახაზინო ადვოკატს დაუნიშნავდა.

ბრალდებული ვალერიან მეტრეველის ადვოკატმა განაცხადა, რომ დაირღვა მისი დაცვის ქვეშ მყოფის უფლებები, რადგან ის უკვე ცხრა თვე იყო წინასწარ პატიმრობაში, სასამართლომ კი საქმის სწრაფად დასრულებისთვის მისი საქმე ცალკე წარმოებად არ გამოყო. იგივე განაცხადა, გერონტი ალანიას ადვოკატმაც.

დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი დათა ახალაიას ადვოკატსა და ირაკლი კაკაბაძეს შორის. [44] გავრცელებული ინფორმაციით, ადვოკატს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მანდატურის სამსახურმა მოახერხა მდგომარეობის განმუხტვა და აღნიშნული პიროვნება სასამართლოს შენობიდან გაიყვანა.
ბრალდებულმა ოლეგ მელნიკოვმა წარდგენილ ბრალდებებში თავი სრულად ცნო დამნაშავედ. მასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმდა. ბრალდებულმა დანაშაულში

[44] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/30479/

ამხილა ამავე საქმეში ბრალდებული სხვა პირები. დაცვის მხარის განცხადებით, ეს დათა ახალაიას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად გაკეთდა.
ერთ შემთხვევაში, სხდომა დაიხურა, რადგან იკითხებოდა ბრალდების მხარის მოწმე. პროკურატურის განმარტებით, ის გერონტი ალანიას „მეგობარი ქალი“ იყო და მასთან კითხვები როგორც მოწმის, ასევე ბრალდებულ ალანიას პირად ცხოვრებას შეეხებოდა.

დაცვის მხარემ ერთ-ერთ პროცესზე აღნიშნა, რომ ვამეხ აბულაშვილი (დაზარალებული) ამ ეტაპზე შსს-ში მაღალ თანამდებობას იკავებდა და ბრალდებისთვის მისაღებ ჩვენებას სწორედ ამიტომ აძლევდა.

მოსამართლემ მანდატურებს სთხოვა მოსაცდელში მოწმეები ისე განეთავსებინათ, რომ მათ ერთმანეთთან თავისუფალი კომუნიკაციის საშუალება არ ჰქონოდათ.

4. აღკვეთის ღონისძიება

პროკურატურამ ივანე მერაბიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება მოითხოვა.

დაცვის მხარემ განაცხადა, რომ ივანე მერაბიშვილს პატიმრობა სხვა საქმეზე ორჯერ ჰქონდა შეფარდებული; ამიტომ აღკვეთის ღონისძიების სახით მისი კიდევ ერთხელ გამოყენების საფუძველი არ არსებობდა.
სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე არ გამოიყენა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა.

ოლეგ მელიკოვი და გერონტი ალანია ძებნაში იმყოფებოდნენ. 2012 წლის დეკემბერში ოლეგ მელნიკოვი დააკავეს და მოახდინეს მისი საქართველოში ექსტრადირება. გერონტი ალანია კი დღემდე იძებნება.

დათა ახალაიას მიმართ პროკურატურამ პატიმრობის შეფარდება მოითხოვა, დაცვა კი მისი აღკვეთი ღონისძიების გარეშე დატოვებას მოითხოვდა.

სასამართლომ დათა ახალაიას დაუსწრებლად შეუფარდა პატიმრობა. მასზე გამოცხადებულია ძებნა.

5. პროცესის მიმდინარეობა

5.1. მნიშვნელოვანი შუამდგომლობები

ა. დაცვის მხარის შუამდგომლობები:

1. დაცვის მხარემ მოითხოვა გერონტი ალანიასა და ვალერიან მეტრეველის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფა იმ მიზეზით, რომ აღნიშნული პირები ბრალდებულები იყვნენ სხვა საქმეზე და გირგვლიანის ეპიზოდი მათი საქმის განხილვას გააჭიანურებდა.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარე მიიჩნევდა, რომ აღნიშნული შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან მსგავსი შუამდგომლობა სასამართლომ ერთხელ უკვე განიხილა. გარდა ამისა, მეტრეველის საპატიმრო ვადაში საქმის განხილვა თავისუფლად მოესწრებოდა და, შესაბამისად, კანონი არ დაირღვეოდა.

განჩინება: სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ მსგავსი შუამდგომლობა უკვე განხილული იყო და არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, ხელმეორედ არ მოხდებოდა მისი განხილვა.

2. დაცვის მხარემ, კერძოდ კი ვალერიან მეტრეველის დამცველმა, დააყენა შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე, რადგან საქმე იმ დღეს ჩაიბარა და ვერ მოასწრო გაცნობოდა მასალებს.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას.

განჩინება: სასამართლომ ადვოკატი დააჯარიმა 200 ლარით და დაცვის მხარეს განუმარტა, რომ ეს შუამდგომლობა პროცესის გახსნისას უნდა დაყენებილიყო და არა პროცესის დაწყების შემდეგ, რადგან მისი მოგვიანებით დაყენების საპატიო მიზეზი არ არსებობდა.

შენიშვნა: აღნიშნული ადვოკატი საქმეში ახალი ჩართული იყო, ბრალდებულს მანამდე სხვა ადვოკატი იცავდა, რომელმაც თვითაცილება მოითხოვა. შედეგად, ბრალდებულს სახაზინო ადვოკატი დაენიშნა. თუმცა, მიმდინარე სხდომაზე გაირკვა, რომ ვალერიან მეტრეველის ოჯახმა ადვოკატი უკვე აიყვანა. შესაბამისად, სახაზინო ადვოკატი მოეხსნა და დაენიშნა მის მიერვე აყვანილი დამცველი, რომელმაც მოგვიანებით სხდომაზე ზემოაღნიშნული შუამდგომლობა დააყენა.

3. **დაცვის მხარემ მოითხოვა** პროცესის გადადება დათა ახალაიას ექსტრადირების საკითხის გადაწყვეტამდე. მათ განაცხადეს, რომ ბრალდებულის გარეშე საქმის განხილვა მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო დასაშვები, თუ ის თავს არიდებდა გამოცხადებას, რასაც დათა ახალაიას შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა. დაცვის მხარის განცხადებით, ბრალდებული ელოდებოდა საბერძნეთის სასამართლოს გადაწყვეტილებას და მას ჰქონდა პროცესზე დასწრების სურვილი.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარე შუამდგომლობას არ დაეთანხმა და აცხადებდა, რომ ეს ყველაფერი პროცესის გაჭიანურებას ემსახურებოდა. აგრეთვე, ირღვეოდა სამართლიანი სასამართლოს პრინციპი, რადგან აღნიშნული მიზეზით პროცესი უკვე რამდენჯერმე გადაიდო და თითქმის თვენახევარი ბრალდების მხარეს შესავალი სიტყვის თქმის საშუალებაც კი არ ეძლეოდა.

განჩინება: სასამართლომ ამ საფუძვლით პროცესის კიდევ ერთხელ გადადება მიზანშეწონილად არ მიიჩნია და აღნიშნა, რომ ახალაიას პასუხის მოლოდინში პროცესი არაერთხელ გადაიდო, ხოლო პროცესის კიდევ ერთხელ გადადების საფუძველი ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთან, მიუხედავად დათა ახალაიასთან საბერძნეთში მისი დამცველების ვიზიტისა, მათ ვერ გაარკვიეს, ნამდვილად სურდა თუ არა ბრალდებულს პროცესზე დასწრება.

4. დაცვის მხარემ იშუამდგომლა და სასამართლოს მიმართა თხოვნით, დახმარებოდა გარკვეული მტკიცებულებების, კერძოდ, 2005 წლის 5 ოქტომბრის ე.წ. „მოდულის შენობიდან“ საშვის მონაცემების ამონაწერის მოპოვებაში. დაცვის მხარემ განაცხადა, რომ გამოძიების ეტაპზე მათი ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, რადგან პირადი მონაცემების გაცემად იქნა აღქმული. შესაბამისად, მის მოპოვებაში ჭირდებოდათ სასამართლოს დახმარება.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უსაფუძვლობის გამო არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან მათ გამოძიების ეტაპზე შეეძლოთ მიემართათ პროკურატურისთვის ან სასამართლოსთვის დახმარებისთვის, რაც მათ არ გააკეთს. არსებითი განხილვის სხდომაზე კი სასამართლო უკვე აღარ იყო უფლებამოსილი ამგვარი საკითხები განეხილა.

განჩინება: მოსამართლემ განაცხადა, რომ გამოძიების ეტაპი დასრულებული იყო, არსებით სხდომაზე კი ამგვარი საკითხები არ განიხილებოდა. შესაბამისად, აღნიშნული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

5. დაცვის მხარემ რეპლიკის ეტაპზე დააყენა შუამდგომლობა საქმეზე მტკიცებულების სახით დართულიყო იმ პირთა სია, ვინც მოდულის შენობაში გერონტი ალანიას (ბრალდებული) მიერ დაშვებული საშვით იყო შესული, განაცხადეს, რომ აღნიშნული ინფორმაცია ამ ეტაპამდე მათთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ პროცესი რეპლიკის ეტაპზე ახალი მტკიცებულების დართვის შესაძლებლობას არ იძლევა, ამიტომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

განჩინება: მოსამართლემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და აღნიშნული არ დაურთო დაცვის მხარის მტკიცებულებათა ნუსხას.

6. დაცვის მხარემ იშუამდგომლა, დაუშვებლად ყოფილიყო ცნობილი დაზარალებული ვამეხ აბულაშვილის 2013 წლის 7 დეკემბრის გამოძიებაში მიცემული ჩვენება და 2014 წლის 6 ივნისს სასამართლოში მიცემული ჩვენება, რადგან ეს ორი ჩვენება არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო იყო.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ უკვე გაიარეს მტკიცებულებათა დაშვება-არდაშვების ეტაპი და არსებით სხდომაზე ეს საკითხი არ უნდა განხილულიყო, აღნიშნულზე კომენტარი კი შეეძლოთ გაეკეთებინათ დასკვნით სიტყვაში. ამასთან, მხოლოდ სასამართლოში მიცემული ინფორმაციაა მოწმის ჩვენება და გამოძიების ეტაპზე მიცემული ინფორმაცია ჩვენებად ვერ ჩაითვლებოდა.

განჩინება: მოსამართლემ განაცხადა, რომ შუამდგომლობის განხილვა არსებით სხდომაზე შესაძლებელია, თუმცა შუამდგომლობა მაინც არ დაკმაყოფილდა, რადგან ჩვენება მხოლოდ სასამართლოში მიცემული ინფორმაციაა.

ბ. ბრალდების მხარე:

1. ბრალდების მხარემ შუამდგომლობით მოითხოვა ბრალდებულ ოლეგ მელნიკოვის საქმის გამოყოფა იმ მიზეზით, რომ მასთან საპროცესო შეთანხმების ყველა პირობაზე შეთანხმდა. დაცვის მხარე დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას.

მოსამართლემ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და ბრალდებულ მელნიკოვის საქმე გამოყო ცალკე წარმოებად.

შენიშვნა: ბრალდებულმა ოლეგ მელნიკოვმა წარდგენილ ბრალდებებში თავი სრულად ცნო დამნაშავედ. მასთან საპროცესო შეთანხმები გაფორმდა. ბრალდებულმა დანაშაულში ამხილა ამავე საქმეში ბრალდებული სხვა პირები.

2. ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა ბრალდებულ დავით ახალაიას საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის თაობაზე, რომ საქმის წარმოება გონივრულ ვადებში განხორციელებულიყო და ბრალდებულის გამოუცხადებლობის მოტივით სხდომა აღარ გადადებულიყო.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარემ განაცხადა, რომ საქმის წარმოების ცალკე გამოყოფის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან აღნიშნულის თაობაზე პოზიცია უნდა ეკითხათ ბრალდებულისთვისაც, რაც შეუძლებელი იყო მისი ქვეყანაში არყოფნის გამო . დამცველები, ასევე, აცხადებდნენ, რომ საქმის ერთად განხილვით სასამართლოს რესურსი დაიზოგებოდა, რადგან ერთი და იგივე მოწმეები ორჯერ არ დაიკითხებოდნენ.

განჩინება: მოსამართლემ საქმის გონივრულ ვადებში განხილვის მოტივით დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და დათა ახალაიას საქმე გამოყო.

5.2. მოწმეთა ჩვენებები

ა. ბრალდების მხარის მოწმეები:

გირგვლიანის ეპიზოდი

დაიკითხა სანდრო გირგვლიანის უფლებამონაცვლე დაზარალებული გურამ გირგვლიანი (სანდრო გირგვლიანის მამა). მოწმე იხსენებს შემთხვევის დღეს, როდესაც მისი შვილი სახლში არ დაბრუნდა და დაიწყეს მისი ძებნა, გვიან ღამით კი სამართალდამცველებმა სანდრო გირგვლიანის დასახიჩრებულ გვამთან მიიყვანეს. მოწმემ, ასევე, საქმის გამოძიების და სასამართლოში წარმოების მიმდინარეობა გაიხსენა, განაცხადა, რომ ოჯახთან ხშირად მიდიოდნენ და ხან ემუქრებოდნენ, ხან კი დუმილის სანაცვლოდ ფულს სთავაზობდნენ.

დაიკითხა დაზარალებული ლევან ბუხაიძე, რომელმაც გაიხსენა 2011 წლის 27 იანვარი და „შარდენ-ბარში“ განვითარებული მოვლენები. მოწმემ განაცხადა, რომ ხმამაღალი მუსიკის გამო არ ესმოდა, თუმცა ხედავდა, რომ სანდრო გირგვლიანი და თ.მ. კამათობდნენ. მეზობელი მაგიდიდან, საიდანაც თ.მ. გადმოჯდა, თ.მ.-სთან უცხო ქალბატონი მივიდა და ჰკითხა, რამე პრობლემა ხომ არ ჰქონდა (ეს პიროვნება ვანო მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაია იყო). ბარიდან წამოსულებს კი პირები შეხვდნენ ავტომობილით, უთხრეს რომ “თანამშრომლები” (იგულისხმება ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლობა) იყვნენ და მანქანაში ჩასვეს. წინ გერონტი ალანია იჯდა, რომელმაც პირადი ნივთების ამოლაგება უბრძანა. წაიყვანეს ოქროყანაში, სასაფლაოზე. მოწმე აცხადებდა რომ პირადად მას გერონტი ალანია სცემდა, სანდროს ვინ სცემდა, არ ახსოვს. ახსოვს იქ მყოფი ღაჭავაც, დაზარალებულები გააშიშვლეს და ნაცემები დატოვეს ტყეში. მოწმემ მოახერხა ავტოსადგურამდე მისვლა და პატრულში დარეკვა. პოლიციასთან ერთად ავიდნენ სანდრო გირგვლიანის მოსაძებნად, თუმცა ვერ იპოვეს. მოწმის მიერ მიწოდებული ინფორმაცია გამოძიებამ არადამაჯერებლად მიიჩნია, დააკავეს და მას ბრალი წაუყენეს დანაშაულის დაფარვისთვის, მაგრამ მტკიცებულების არარსებობის გამო, 48 საათში გაუშვეს. მოწმემ გაიხსენა, რომ თბილისის პროკურორმა უთხრა, ვინ უნდა ამოეცნო და ვინ არა. იხსენებს, რომ ამოიცნო ალანია, ღაჭავა და აფციაური, მელნიკოვის ამოცნობაზე დაიბარეს და გააფრთხილეს, არ ამოეცნო, წინააღმდეგ შემთხვევაში ცრუ დასმენის მუხლით გაასამართლებით დაემუქრნენ, მოწმე ასეც მოიქცა.

დაიკითხა მოწმე, რომელიც ასევე იმყოფებოდა „შარდენ-ბარში“ და გაიხსენა, რომ სანდრო გირგვლიანი მივიდა მაგიდასთან, სადაც გურამ დონაძესთან, მელნიკოვსა და

თაკო სალაყაიასთან ერთად იჯდა. თ. მოგვიანებით გადაჯდა სანდროს მაგიდასთან, მოწმეს მათი საუბარი არ ესმოდა, თუმცა ხელების მოძრაობაზე მიხვდა, რომ ჩხუბობდნენ.

დაიკითხა თ.მ., რომელიც ბარში დათა ახალაიასთან, ოლეგ მელნიკოვთან, გურამ დონაძესთან და თაკო სალაყაიასთან ერთად იმყოფებოდა. იგი იხსენებს, რომ სანდრო გირგვლიანმა დაურეკა, ჰკითხა, სად იყო და იმავე ბარში მივიდა. მოწმე უარყოფს, რომ თაკო სალაყაიასთვის ეთქვა, თითქოს აწუხებდა სანდრო. თ.მ.-ს განცხადებით, მან სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების შესახებ მეორე დღეს შეიტყო.

დაიკითხა კუდის თანამშრომელი, რომელიც იხსენებს, რომ ალანია, ღაჭავა და ბიბილურიძე გაიყვანა შარდენზე, სადაც ისინი დათა ახალაიას თხოვნით მიდიოდნენ. შემდგომ მანქანაში ჩაისვეს ორი პიროვნება და ოქროყანის ტყეში წავიდნენ. მოწმე იხსენებს, რომ ალანიასა და ბუხაიძეს შორის შელაპარაკება მოხდა და ალანიამ დაარტყა ბუხაიძეს, რომელიც წაიქცა. მოწმის განცხადებით, გირგვლიანი სხვა მხარეს წაიყვანეს. მანქანაში გაიგონა გასროლის ხმა. მოგვიანებით შეიტყო სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების შესახებ. მოწმის განცხადებით, **ალანიამ უთხრა, რომ მინისტრმა (იგულისხმება ვანო მერაბიშვილი) და დათა ახალაიამაც ყველაფერი იცოდნენ და არაფერი მოხდებოდა.**

დაიკითხა ბრალდებული ოლეგ მელნიკოვი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იკავებდა კუდ-ის განყოფილების უფროსის მოადგილის თანამდებობას. მან განაცხადა, რომ თ.მ-, თაკო სალაყაიას უთხრა, რომ ვიღაც ბიჭმა შეაწუხა, სალაყაიამ კი დათა ახალაიას სთხოვა დახმარება. ამის შემდგომ, დათა ახალაია დაუკავშირდა ალანიასა და მეტრეველს. მოგვიანებით, მოწმეს ორი პიროვნება დაანახა (ესენი იყვნენ ლევან ბუხაიძე და სანდრო გირგვლიანი) და დაკავება უბრძანა. გარეთ გასულს დახვდა ალანია, მათ დაკავებას არ შესწრებია, ვინაიდან ბარში შებრუნდა. ოქროყანაში მომხდარის შესახებ რამდენიმე დღის შემდეგ გაიგო. მოწმემ გაიხსენა, რომ დათა ახალაიამ დაიბარა თავისთან, საიდანაც ალანიასთან ერთად პროკურატურაში ზურაბ ადეიშვილთან შესახვედრად წავიდნენ, შეხვედრის შემდგომ დათამ ალანიას, უთხრა, რომ ციხეში უნდა ჩამჯდარიყო. შემდეგ პრეზიდენტის რეზიდენციაში ავიდნენ. მანქანაში ელოდებოდნენ, დათა კი გადავიდა. უკან დაბრუნებულმა ალანიას უთხრა, რომ მოგვიანებით პრეზიდენტი შეიწყალებდა.

ოლეგ მელნიკოვმა განაცხადა, რომ შეესწრო დათა ახალაიასა და ვანო მერაბიშვილის საუბარს. დათა ვანოს ამშვიდებდა, რომ არაფერი გამჟღავნდებოდა. ასევე, გაიხსენა, რომ ერთად დაიკითხნენ ის, თაკო სალაყაია (ვანო მერაბიშვილის მეუღლე), დათა ახალაია და სხვები. ოლეგ მელნიკოვის განცხადებით, მას პირადად დათა ახალაიამ მისცა დაწერილი ჩვენება. მოწმემ განაცხადა, რომ ყველაფერს დათა ახალაიას დავალებით აკეთებდა.

მოწმე (მიხეილ ბიბილურიძე) იხსენებს, რომ მიაკითხა გერონტი ალანიამ (საქმეში ბრალდებული) და ერთად წავიდნენ ოქროყანაში, სადაც ლევან ბუხაიძესა და სანდრო გირგვლიანს ფიზიკურად გაუსწორდნენ, შემდგომ ორივე დატოვეს ტყეში, თვითონ კი წამოვიდნენ. მეორე დღეს მოწმემ გაიგო, რომ სანდრო გირგვლიანი გარდაიცვალა, თუმცა გერონტი ალანიამ უთხრა რომ დათა ახალაია საქმის კურსში იყო და ყველაფერი რიგზე იქნებოდა, საქმე „თაროზე შემოიდებოდა“. მოგვიანებით აღნიშნულ მოწმეს დათა ახალაიამ უთხრა რომ ციხეში მოუწევდა ჩაჯდომა, თუმცა, ყველაფრით იქნებოდა უზრუნველყოფილი. დათა ახალიას გეგმის მიხედვით, ციხეში, ასევე, უნდა ჩამსხდარიყვნენ გერონტი ალანია, ავთანდილ აფციაური და ალექსანდრე ღაჭავა. მოწმემ გაიხსენა, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით განხორციელდა. დაკავებულებს პროკურატურაში შეხვდნენ ვანო მერაბიშვილი, ვასილ სანოძე და დათა ახალაია. მოწმის განცხადებით, მერაბიშვილმა გაამხნევა და უთხრა, რომ სანერვიულო არაფერი ჰქონდა, ვასილ სანოძეს და დათა ახალაიას კი უთხრა, რომ ამათ მაგივრად თქვენ უნდა სხდებოდეთ ციხეშიო, რაზეც მათ გაეცინათ. მიხეილ ბიბილურიძემ დაკითხვისას გაიხსენა, რომ მასთან მოსანახულებლად დათა ახალაია იყო მისული, გერონტი ალანიამ კი ბიბილურიძეს ფული დაუტოვა, უთხრა რომ „შეფისგან“ იყო (იგულისხმა ვანო მერაბიშვილი).

შემდგომში ამნისტიის აქტით ბიბილურიძესა და ყველა სხვა გირგვლიანის საქმეში ბრალდებულს, სასჯელი გაუნახევრდათ. მოგვიანებით, 3 წელსა და 9 თვეში ეს პირები გათავისუფლდნენ.

დაიკითხა კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი რომლის განცხადებით, გამოძიებისას ამოღებული კამერებიდან ირკვეოდა მანქანის ასვლის და ჩამოსვლის დრო, დადგინდა „შარდენ-ბარში“ მყოფთა ვინაობა და მანქანის მეპატრონეები, თუმცა საქმის პროკურატურისთვის გადაცემის შემდეგ, არ იცოდა, მოვლენები როგორ განვითარდა. მოგვიანებით აღნიშნული მოწმე და მისი ზემდგომიც იძულებული გახადეს სამსახური დაეტოვებინათ. იგივეს აცხადებდა სხვა მოწმეც, რომლის ჩვენების მიხედვითაც, გამოძიებით დადგინდა რომ მანქანა, რომლითაც გაიტაცეს დაზარალებულები,

ეკუთვნოდა გერონტი ალანიას, ასევე ალანიას ზარები ფიგურირებდა სატელეფონო საუბრებში.

პოლიციის თანამშრომლებმა დაკითხვაზე გაიხსენეს, რომ 2006 წლის 28 იანვარს შეტყობინება შევიდა, რომ ოქროყანაში გვამი იქნა აღმოჩენილი. პოლიციელის განმარტებით, იგი ლევან ბუხაიძეს პირადად გაესაუბრა. ბუხაიძე დაჟინებით ამბობდა, რომ ეს მისმა სიმამრმა ჩაიდინა, რომელიც გამუდმებით ემუქრებოდა, მას სანდრო ლევანში აერია და შეცდომით მოაკვლევინა. გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მისი სიმამრი საქართველოში საერთოდ არ იმყოფებოდა, ანუ ეს ვერსია გამოირიცხა. ამის შემდეგ დადგინდა „შარდენ-ბარში“ მათი ყოფნის ამბავი, მაგრამ ბუხაიძე გამორიცხავდა იქ მყოფებთან კონფლიქტსა და დაპირისპირებას. ამოღებულ იქნა სატელეფონო ანძების მიხედვით ნომრები ოქროყანის მიმართულებით და დადგინდა კუდ-ის თანამშრომლების ნომრები. ასევე, გზაზე დამონტაჟებული სათვალთვალო კამერებიდან ამოღებული მასალებით დადგინდა მანქანები, რომლითაც იმ დროისთვის კუდ-ის თანამშრომელი ალანია სარგებლობდა. შესაბამისად, საქმე გადაეცა პროკურატურას.
ბრალდების მხარის ერთ-ერთმა მოწმემ დაადასტურა, რომ თაკო სალაყაია, ვასილ სანოძე, გურამ დონაძე, დათა ახალაია, ოლეგ მელნიკოვი და თათია სანიკიძე ერთდროულად და ერთ ოთახში იკითხებდონენ, პასუხებს კი თაკო სალაყაია უსწორებდა ყველა მოწმეს.

დაიკითხა პატიმრების შეწყალების კომისიის წევრი, რომელმაც განაცხადა რომ დავით ჩხატარაშვილის (კუდის უფროსის მოადგილე) დავალებით, პროკურატურამ ერთ ღამეში შეადგინა 300 კაციანი პატიმრების შეწყალების სია, კომისიამ კი ხელი მოაწერა. მოწმემ თქვა, რომ წესი ამას არ ითვალისწინებდა და რომ ყველაფერი ადეიშვილის დავალებით კეთდებოდა.

დაიკითხა ნინო ბურჯანაძეც, რომელმაც განაცხადა, რომ გირგვლიანის გარდაცვალების შემდეგ, შეხვდა მაშინდელ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და მოითხოვა დამნაშავეების - არა შემსრულებლების, არამედ დამკვეთების დასჯა. შეხვდა, ასევე, ვანო მერაბიშვილს და მოსთხოვა გადადგომა.

დაიკითხა მოწმე დავით ჩხატარაშვილი, რომელიც იმ პერიოდში იყო კუდის უფროსის მოადგილე. მოწმემ განაცხადა, რომ სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების შემდეგ, დათა ახალაიამ დაიბარა თავის კაბინეტში, მისცა ფურცელზე დაწერილი

წერილი/განცხადება, სთხოვა სამართლებრივად გაემართა და მერაბიშვილისა და ადეიშვილისთვის გადაეგზავნა კანცელარიაში გატარების გარეშე.

> შენიშვნა: წერილში საუბარი იყო, თითქოს დავით ახალაიას ძალისხმევის შედეგად, სანდრო გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში მონაწილე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები გამოაშკარავდნენ: გერონტი ალანია, მიხეილ ბიბილურიძე, ავთანდილ აფციაური და ალექსანდრე ღაჭავა.

დაიკითხა ექპერტი, რომელმაც ტყეში ნაპოვნ სანდრო გირგვლიანის გვამს ექსპერტიზა ჩაუტარა. ექსპერტმა დაკითხვისას განაცხადა, რომ გვამს მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდა, თუმცა სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში, მისი გადარჩენა შესაძლებელი იყო. მეორე ექსპერტმა კი დაადასტურა, რომ ყველა დაზიანება, რომელიც გვამს აღენიშნებოდა, სიცოცხლეში იყო მიყენებული.

მოწმეთა ჩვენებები, ასევე, შეეხო გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებული პირებისათვის ციხეში პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფნის ფაქტს. მოწმეები აცხადებდნენ, რომ ასეთი იყო უფროსების ბრძანება. მოწმეთა ჩვენების თანახმად, ბრალდებულ პირებთან ხშირად შედიოდნენ მერაბიშვილი, ხიზანიშვილი, დონაძე, მელნიკოვი, დათა ახალაია. დაიკითხა მოწმე, რომელმაც განაცხადად, რომ დათა ახალაიას მითითებით ბრალდებულებთან მიჰქონდა საჭმელი და ალკოჰოლი.

სასჯელაღსრულების დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსმა ჩვენებაში განაცხადა, რომ ბაჩანა ახალაიამ გამართა თათბირი, დაიბარა ყველა უფროსი თანამშრომელი და უთხრა, რომ კუდ-ის თანამშრომლები გადმოყავდათ მათ ციხეში და უბრძანა, გაერემონტებინათ ოთხი ოთახი, სადაც იმ პირებს შეასახლებდნენ. კამერების გარემონტების შემდეგ, ადგილზე მიიტანეს ახალი საწოლები, სავარძლები, მაცივარი, ტელევიზორი, გამათბობელი, კონდიციონერი და აღჭურვეს კომფორტისთვის საჭირო ნივთებით. მოწმეთა განცხადებით, პრივილეგირებულ პატიმრებზე ციხის ზოგადი რეჟიმი არ ვრცელდებოდა. მათ შეუზღუდავად შეეძლოთ გადაადგილებაც. გარდა ამისა, შენობა, სადაც გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებული პირები იხდიდნენ სასჯელს, ციხის ძირითადი შენობისგან გამოყოფილი იყო და სხვა პატიმრებთან მათ შეხება არ ჰქონიათ.

დაიკითხა იმ დროს მსჯავრდებული პირი, რომელიც ციხეში პატიმრებს ემსახურებოდა, მათ შორის გირგვლიანის საქმეზე ბრალდებულებს. მოწმემ დაადასტურა გირგვლიანის

მკვლელობაში ბრალდებულთა პრივილეგირებულ მდგომარეობა და განაცხადა, რომ შესწრებია, როგორ ესაუბრებოდა ხოლმე გერონტი ალანია ვანო მერაბიშვილს და ზურაბ ადეიშვილს.

ერთ-ერთმა ბრალდების მოწმემ ი.წ.-მ განაცხადა, რომ ბრალდებულებიც სხვა პატიმრების მსგავს პირობებში იყვნენ.

ვამეხ აბულაშვილისა და კახაბერ დაბრუნდაშვილის ეპიზოდი:

ბრალდებულმა ოლეგ მელნიკოვმა (მოგვიანებით მასთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა) განაცხადა, რომ დათამ დაიბარა და წავიდნენ ოქროყანაში. როგორც მოწმემ დათას სატელეფონო საუბრებიდან გაარკვია, ვიღაცის ცემის მიზნით მიდიოდნენ. დაახლოებით 10-12 კაცი, მათ შორის დათა ახალაია, ვალერიან მეტრეველი და გერონტი ალანია იყვნენ.

> შენიშვნა: ამ დროს მოსამართლემ ჰკითხა ვალერიან მეტრეველის ადვოკატს, ხომ არ ჰქონდა თვითაცილების შუამდგომლობა, ვინაიდან ის იცავდა ასევე მელნიკოვის ინტერესებსაც. მელნიკოვი კი, ფაქტობრივად, მისი დაცვის ქვეშ მყოფის წინააღმდეგ აძლევდა ჩვენებას. ადვოკატმა დააყენა თვითაცილება, მოსამართლემ კი მისი შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

დაიკითხა პოლიციის თანამშრომელი, რომელმაც გაიხსენა, რომ საავადმყოფოდან შესული ინფორმაციის საფუძველზე შეხვდა დაზარალებულს, რომელმაც უთხრა, რომ მის ცემაში ერია დათა ახალაია, თუმცა ამას ვერ იტყოდა, რადგან ეშინოდა. მეორე დღეს ჩვენებაში უთხრა, რომ კიბიდან დაგორდა, ამასთან დაკავშირებით საქმე აღიძრა, თუმცა უსაფუძვლობის მიზეზით შეწყდა. მოწმემ განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა უფლება, ზეწოლა მოეხდინა დაზარალებულზე, რადგან მას არ უნდოდა ოფიციალურად გაეცხადებინა ის, რასაც მასთან დათა ახალაიაზე ამბობდა.

მოწმედ დაიკითხა დაზარალებული კახაბერ დაბრუნდაშვილი, რომელმაც გაიხსენა, რომ ვამეხ აბულაშვილს იბარებდნენ ე.წ „მოდულის“ შენობაში, სადაც ის არ გამოცხადდა. შემდგომში მას თავისუფლების მოედანზე შეხვდნენ, ვამეხ აბულაშვილი მოწმესთან ერთად შეიარაღებულმა პირებმა ჩასვეს მანქანაში და წაიყვანეს ოქროყანისკენ, სადაც დახვდნენ დათა ახალაია, ოლეგ მელნიკოვი და ალანია. მოწმემ გაიხსენა, რომ ალანია სცემდა ვამეხს, ცემის ხმა ესმოდა დაახლოებით 40 წუთი, შემდგომ ის ნაცემთან

მიიყვანეს და დათა ახალაიამ მათი მიმართულებით იარაღიდან გაისროლა, თუმცა გამიზნულად ააცილა. დაემუქრნენ, პოლიციასა და საავადმყოფოში არ მისულიყვნენ. მოწმემ განაცხადა, რომ უშუალოდ გერონტი ალანიას მისთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია. დაზარალებულები ოჯახის უსაფრთხოების მიზნით აცხადებდნენ, რომ ავარიაში მოყვნენ. მათ მხოლოდ 2012 წელს თქვეს სიმართლე, მანამდე სამართალდამცველებისთვის არ მიუმართავთ.

დაიკითხა დაზარალებული ვამეხ აბულაშვილიც, რომელიც იგივეს მოყვა და დაადასტურა ცემისა და წამების ფაქტები. მან განაცხადა, რომ შეხვდა ვალერიან მეტრეველი (ბრალდებული) და მან წაიყვანა ისინი ოქროყანისკენ.

ერთ-ერთმა მოწმემ განაცხადა, რომ მათ ცემეს ვამეხ აბულაშვილი, შემდეგ კი დატოვეს ტყეში. როგორც მან იცოდა, დათა ახალაიას უნდოდა მისი ცემა ვიღაც გოგოს გამო. მოწმემ დაადასტურა დათა ახალაიას მიერ გასროლის ფაქტი.

ბ. დაცვის მხარის მოწმეები:

დაცვის ორი მოწმის დაკითხვის დაწყებისთანავე გაირკვა, რომ ორივე ესწრებოდა სხდომებს. შესაბამისად, პროკურატურამ იშუამდგომლა მათი მოხსნის თაობაზე. სასამართლომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

დაიკითხა ექსპერტი, რომელმაც ჩაატარა ექსპერტიზა. ექსპერიმენტი ეხებოდა, შესაძლებელი იყო თუ არა გარკვეული მანძილის გავლა კონკრეტულ დროში. ექსპერიმენტით დადგინდა, რომ ეს შეუძლებელი იყო.

6. განაჩენი

თბილისის საქალაქო სასამართლომ ივანე მერაბიშვილი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და ”ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონისა” და შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. მასვე აეკრძალა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება 2(ორი) წლისა და 3 (სამი) თვის ვადით.

ბრალდებულები ვალერიან მეტრეველი და გერონტი ალანია ცნობილ იქნენ დამნაშავედ თავისუფლების უკანონო აღკვეთის და არაადამიანური მოპყრობის ბრალდებაში. მათ სასჯელის სახედ და ზომად, "ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონისა" და შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, საბოლოოდ 4 წლით და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრათ ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით და 2 წლისა და 3 თვის ვადით აეკრძალათ სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება. გამართლდნენ მოხელის მიერ ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით ჩადენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდების ფაქტზე, რამაც ფიზიკური პირის უფლების, საზოგადოების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

ოლეგ მელნიკოვს საპროცესო შეთანხმების საფუძველზე განესაზღვრა 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

7. ჩვენი დაკვირვება

მედია საშუალებები ახორციელებდნენ სხდომების გადაღებას და მათ ხელი არ შეშლიათ თავიანთ საქმიანობაში.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე გაიმართა 37 სასამართლო სხდომა. დაიკითხა ბრალდების 73 და დაცვის 1 მოწმე.

საქართველოში ექსტარადირების შემდეგ, ბრალდებული ოლეგ მელნიკოვი 48 საათის განმავლობაში არ წარედგინა სასამართლოს აღკვეთი ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მეათე ნაწილის თანახმად, "ძებნილი ბრალდებულის უცხოეთში დაკავების შემთხვევაში საქართველოში გამოძიების ადგილზე ჩამოყვანიდან არა უგვიანეს 48 საათისა იგი უნდა წარედგინოს შესაბამის სასამართლოს." მოსამართლე ისმენს მხარეთა განმარტებებს, რის შემდეგაც იღებს გადაწყვეტილებას აღკვეთის ღონისძიების გაუქმების, შეცვლის ან ძალაში დატოვების შესახებ. აღნიშნული მოთხოვნა უპირობოდ უნდა შესრულდეს და საგამონაკლისო წესს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს. თუმცა, ბრალდების მხარე სხვაგვარ ინტერპრეტირებას ახდენდა და აცხადებდა, რომ 206-ე მუხლის ჩანაწერი მათზე არ უნდა გავრცელებულიყო, რადგან

გამოძიების ეტაპი დასრულებული იყო, წინასასამართლო სხდომა ჩატარებული და საქმის განხილვა უკვე სასამართლოში მიმდინარეობდა. მსგავსი დასაბუთება გამოიყენა სასამართლომაც.

მიგვაჩნია, რომ ის გარემოება, რომ ბრალდებულ ოლეგ მელნიკოვის ექსტრადირების მომენტისთვის სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დასრულებული იყო და წინასასამართლო სხდომა მიმდინარეობდა, არ ნიშნავს, რომ პროკურატურას არ უნდა მიემართა სასამართლოსთვის, რადგან, 206-ე მუხლის თანახმად, ძებნილი ბრალდებული ნებისმიერ შემთხვევაში უნდა წარედგინოს სასამართლოს. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ ოლეგ მელნიკოვს უკვე შეფარდებული ჰქონდა აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა, არაფერს არ ცვლის. ბრალდებულის დაუსწრებლად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ სასამართლოს განჩინების არსებობის მიუხედავად, აუცილებელია მისი არა უგვიანეს 48 საათისა სასამართლოსთვის წარდგენა. ამდენად, ბრალდებული ოლეგ მელნიკოვი იმყოფებოდა თავისუფლების თვითნებურად ხელყოფის ქვეშ.

სასამართლო პროცესი რამდენჯერმე გადაიდო დაცვის მხარის მიერ სხვადასხვა მიზეზით. ზოგიერთ შემთხვევაში რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს პროცესის გაჭიანურებას ემსახურებოდა.

პროცესის მიმდინარეობის მანძილზე არ გამოვლენილა არც ერთი მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევა.

როგორც სხვა საქმეთა მიმოხილვაში აღინიშნა, სასამართლო სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა მოწმეთა განცალკევებას, რათა ერთ საქმეზე გამოძახებულ მოწმეებს დაკითხვის დამთავრებამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონოდათ. მოცემულ შემთხვევაში კი მოსამართლემ მოუწოდა მანდატურის სამსახურს აღნიშნულის უზრუნველყოფისკენ, ეს ფაქტი დადებითად უნდა შეფასდეს.

მიხეილ სააკაშვილი (ვალერი გელაშვილის ცემის საქმე)

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

მიხეილ სააკაშვილი - სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, ძალადობით და იარაღის გამოყენებით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. ჯგუფურად ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ორგანიზება.

1. რით გამოიხატა ქმედება

გამოძიების ვერსიით, 2005 წლის 29 ივნისს, გაზეთ „რეზონანსში“ მიხეილ სააკაშვილისა და მისი ოჯახის წევრების შეურაცხმყოფელი სტატიის გამოქვეყნების შემდგომ, მიხეილ სააკაშვილმა სტატიის ავტორის, ვალერი გელაშვილის სამაგალითო დასჯის მიზნით, პირადი შურისძიების მოტივით, საქართველოს თავდაცვის იმჟამინდელ მინისტრს, ირაკლი ოქრუაშვილს დაავალა ვალერი გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება, რაზედაც უარი მიიღო. შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა ვალერი გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება დაავალა საქართველოს შინაგან საქმეთა იმჟამინდელ მინისტრს, ივანე მერაბიშვილს, რომელმაც მის დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დახმარებით შეძლო დავალების შესრულება. მოხდა ვალერი გელაშვილის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის ბლოკირება. მიღებული ბრძანების ფარგლებში, გაანეიტრალეს ავტომანქანის მძღოლი, მგზავრები და ავტომანქანიდან ამოიღეს დოკუმენტაცია. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გელაშვილმა მიიღო ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანებები, ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლის ნიშნით.

2. აღკვეთის ღონისძიება

საქმეზე პროკურატურას აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თხოვნით სასამართლოსთვის არ მიუმართავს.

შენიშვნა: ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილს ე.წ 7 ნოემბრის საქმეზე შეფარდებული აქვს პატიმრობა და ის ძებნაშია.

საანგარიშო პერიოდში საქმის არსებითი განხილვა არ დაწყებულა.
ამასთან, ორგანიზაცია სრულად ვერ დაესწრო წინასასამართლო სხდომებს, ვინაიდან საქმის მასალები შეიცავდა საიდუმლო ინფორმაციას, რაც სხდომის დახურვის საფუძველი იყო.

მიხეილ სააკაშვილი (სახელმწიფო კუთვნილი ქონების გაფლანგვის საქმე)

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

მიხეილ სააკაშვილი (საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი), თეიმურაზ ჯანაშია (სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსი) - დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვა

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების თანახმად, მას შემდეგ, რაც ბრალდებულმა სახელმწიფო თანხები პირადი მიზნებისთვის, კერძოდ კი მასაჟისტის მოწვევისთვის გახარჯა და ეს ინფორმაცია გასაჯაროვდა, მომავალში მსგავსი ინფორმაციის საზოგადებაში გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, 2009 წლის აპრილში, მიიღო გადაწყვეტილება, მისი პირადი მიზნებისათვის საჭირო თანხების გასაიდუმლოებული ფორმით ხარჯვის თაობაზე. მიხეილ სააკაშვილი ბიუჯეტიდან საჭირო თანხების მობილიზებას ახდენდა მის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, საიდანაც მიხეილ სააკაშვილის პირადი მიზნებისათვის განკუთვნილი ხარჯების დაფინანსება საიდუმლო რეჟიმში ხორციელდებოდა.

დანაშაულებრივი გეგმის განხორციელება დაევალა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელს თეიმურაზ ჯანაშიას. თეიმურაზ ჯანაშიას მეშვეობით, ,,სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით, მიხეილ სააკაშვილის მიერ ბიუჯეტის კუთვნილი თანხების პირადი მიზნებისათვის ხარჯვა შეინიღბა, როგორც ფარული ხარჯები. ასევე, მიხეილ სააკაშვილის გრიფით „საიდუმლო“ განკარგულებებით, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს უკანონოდ დაევალა საქართველოს პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების, ასევე მათი სტუმრების როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ

მგზავრობისა და ცხოვრების, კოსმეტიკური პროცედურების, კვების, სწავლის, საჩუქრებისა და სუვენირების შეძენის, საყოფაცხოვრებო და სხვა ხარჯების დაფინანსება. სულ გაიფლანგა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი **8 837 461 ლარი.**

3. მნიშვნელოვანი გარემოებები/ფაქტები

2014 წლის 3 სექტემბერს სააპელაციო სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე, შეცვალა პირველი ინსტანციის 29 აგვისტოს განჩინება. ყადაღა დაადო არა მხოლოდ ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის, არამედ მასთან დაკავშირებული პირების ქონებას და ბრალდებულის საბანკო ანგარიშებს.

ქონებაზე ყადაღის დადება წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიებას, რომელიც ხორციელდება ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად. მისი გამოყენება შესაძლებელია, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას ა) გადამალავენ ან ბ) დახარჯავენ ან/და გ) ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. ქონებაზე ყადაღის დადებით ხდება ადამიანის ძირითადი უფლების, საკუთრების უფლების ხელყოფა. ამიტომ, ბრალდების შუამდგომლობა უნდა იყოს არგუმენტირებული, სასამართლომ კი უნდა განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა შუამდგომლობა ფაქტობრივ და ფორმალური საფუძვლებს და გადაწყვეტილება მასზე დაყრდნობით მიიღოს.

პროკურატურა მოითხოვდა ყადაღა დადებოდა როგორც ბრალდებულის, ასევე მასთან დაკავშირებული პირების ქონებასა და საბანკო ანგარიშებს. პირველმა ინსტანციამ საბანკო ანგარიშების დაყადაღების ნაწილში შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ პროკურატურას არ წარმოუდგენია რაიმე სახის დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა, საერთოდ ჰქონდა თუ არა ბრალდებულს ფულადი თანხები ან სხვა ფასეულობები მითითებულ ბანკებში. შესაბამისად ის აბსტრაქტულ საბანკო ანგარიშზებზე ყადაღას ვერ დაადებდა. თუმცა, ამის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოში მოსამართლემ აღნიშნული არგუმენტი არ გაიზიარა და დამატებით ბრალდებულის საბანკო ანგარიშებს ყადაღა დაადო.

პირველმა ინსტანციამ პროკურორის არგუმენტაცია ბრალდებულთან დაკავშირებული პირების ქონების დაყადაღების შესახებ დაუსაბუთებლად მიიჩნია და არ გაიზიარა. სასამართლომ აღნიშნა, რომ “მხოლოდ ბრალდებულთან დაკავშირებული პირების და მათი ქონების არსებობა არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს მოცემულ ქონებაზე ყადაღის დასადებად”. ამისთვის აუცილებელი იყო კონკრეტული მტკიცებულებების

წარდგენა. პირველი ინსტანციის მოსამართლემ, ასევე, აღნიშნა, რომ ბრალდების მხარის მტკიცება, თითქოს ბრალდებულის ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული ქონება არ შეესაბამება და მნიშვნელოვნად აღემატება მათ მიერ მიღებულ კანონიერ შემოსავალს, ვერ დასტურდება, რადგან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, ქონების წარმომავლობასთან დაკავშირებით არ იქნა წარმოდგენილი. ასევე, არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე ინფორმაცია ხსენებული პირების კანონიერი შემოსავლის ოდენობისა და მათი სტატუსის თაობაზე, რათა სასამართლოს აღნიშნულის საფუძველზე ჰქონოდა შესაძლებლობა დაესკვნა, რომ აღნიშნული ქონება შესაძლებელია მოპოვებული ყოფილიყო დანაშაულებრივი გზით.

საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასაამართლომ ყადაღა დაადო მხოლოდ ბრალდებულის ქონებას და უარი თქვა ბრალდებულის საბანკო ანგარიშების და მასთან დაკავშირებული პირების ქონებაზე ყადაღის დადებაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლომ კი დააყადაღა როგორც მიხეილ სააკაშვილის საბანკო ანაგრიშები, ასევე მისი მეუღლის, შვილების, დედის, მამის და ბებიის ქონებაც (თუმცა, პროკურატურის შუამდგომლობა სრულად არც სააპელაციო სასამართლოს დაუკმაყოფილებია). არცერთმა ინსტანციამ არ გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა იმ ნაწილში, რომელშიც მოთხოვნილი იყო მემკვიდრეობით მიღებული ან 2009 წლის სექტემბრამდე შეძენილი ქონების დაყადაღება, რადგან წარდგენილ საქმეში გამოძიება ბრალდებულს ედავებოდა 2009 წლის სექტემბერიდან 2013 წლის 25 თებერვლამდე ჩადენილ ქმედებებში.

4. აღკვეთი ღონისძიება

საქმეზე პროკურატურას აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თხოვნით სასამართლოსთვის არ მიუმართავს.

საანგარიშო პერიოდში საქმის არსებითი განხილვა არ დაწყებულა.

ჩვენი დაკვირვება:

ქონებაზე ყადაღის დადებისას, ორივე ინსტანციამ ყადაღის დადების საფუძვლად მიუთითა შემდეგი გარემოებები: 1. ბრალდებული თავს არიდებდა გამოძიებას, 2. მიხეილ სააკაშვილმა თანამდებობაზე ყოფნისას დაამყარა კავშირები ფინანსურ-ეკონომიკურ წრეებთან როგორც ქვეყნის გარეთ ისე შიგნით, რაც დაეხმარება მას

ქონებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებაში და ამას ქონების გასასხვისებლად ან სხვაგვარად დასამალად გამოიყენებდა.

ნებისმიერ საპროცესო ქმედების განხორციელება უნდა იყოს დასაბუთებული და პროპორციული მიზნის მისაღწევად. აღნიშნულ საქმეში, რიგ შემთხვევებში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ იზიარებს პირველი ინსტანციის პოზიციას და აღნიშნავს, რომ ბრალდებულთან დაკავშირებული პირების ქონებაზე ყადაღის დადების ფაქტობრივი (მტკიცებულებები) საფუძვლები არ იყო საკმარისი მათ ქონებაზე ყადაღის დასადებად. დამკვირვებლის თვალით არგუმენტირებულობა აკლდა იმ გარემოების დასაბუთებას, რომ ბრალდებული ან მასთან დაკავშირებული პირები გადამალავდნენ/დახარჯავდნენ ქონებას ან ქონება დანაშაულებრივი გზით იყო მოპოვებული. მხოლოდ ბრალდებულთან დაკავშირებული პირების მიერ გარკვეული ქონების მესაკუთრეობა არ წარმოადგენდა საკმარის საფუძველს მოცემულ ქონებაზე ყადაღის დასადებად.

მიხეილ სააკაშვილი (გირგვლიანის საქმე)

2. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

მიხეილ სააკაშვილი - სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

3. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების თანახმად, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კორდინირებული და ურთიერთშეთანხმებული დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად, მოხდა ალექსანდრე გირგვლიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა, გამოძიების გაყალბება, დანაშაულში ჩართული მაღალი თანამდებობის პირებისთვის ხელის დაფარება და მათთვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდება.

2006 წლის 27 იანვარს, ქ. თბილისში, კაფე-ბარ „შარდენბარში“, ალექსანდრე გირგვლიანს სიტყვიერი შელაპარაკება მოუხდა შინაგან საქმეთა მინისტრის ივანე მერაბიშვილის მეუღლის თამარ მერაბიშვილის (სალაყაიას) და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის დავით ახალაიას სუფრის წევრ თ.მ.-სთან, რის გამოც, დავით ახალაიას დავალებით, ადგილზე გამოძახებულმა კონსტიტუციური უსაფრთხოების

დეპარტამენტის თანამშრომლებმა ალექსანდრე გირგვლიანი და მისი მეგობარი ძალის გამოყენებით ჩასვეს ავტომანქანაში, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და გაიტაცეს ქალაქგარეთ, ოქროყანის სასაფლაოზე. გამტაცებლებმა ალექსანდრე გირგვლიანი და მისი მეგობარი გააშიშვლეს ძლიერ ყინვაში და სასტიკად სცემეს. ნაწამები ალექსანდრე გირგვლიანის გვამი ნანახი იქნა ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე.

4. აღკვეთი ღონისძიება

საქმეზე პროკურატურას აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თხოვნით სასამართლოსთვის არ მიუმართავს.

საანგარიშო პერიოდში საქმის არსებითი განხილვა არ დაწყებულა.

გიორგი ონიანი

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

გიორგი ონიანი (შს მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე) - მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია, ადამიანის დევნა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, განზრახ უკანონო დაკავება (დავით შათირიშვილის ეპიზოდი). განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება, ადამიანის დევნა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია (მდინარაძის ეპიზოდი).

2. რით გამოიხატა ქმედება

გამომძიების მტკიცებით, გიორგი ონიანმა ფაქტობრივი მტკიცებულებების გარეშე, უკანონოდ დააკავა პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ლევან მდინარაძე (DJ რემბო). ლევან მდინარაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის ხელოვნურად შექმნისა და მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის მიზნით, გიორგი ონიანმა საქმის გამომძიებელს წარუდგინა ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა და დაავალა, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში აესახა ამ ნარკოტიკული საშუალების ლევან მდინარაძისაგან ამოღების ფაქტი, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია. ლევან მდინარაძის მიმართ განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით. გიორგი ონიანმა იდენტური სცენარით უკანონოდ დააკავა პოლიტიკური გაერთიანება ქართული ოცნების ლოგოიანი მაისურების დამზადებისთვის შპს “დაო-პრინტის” მენეჯერი დავით შათირიშვილი.

3. მნიშვნელოვანი გარემოებები/ფაქტები

გიორგი ონიანის დაკავების დღეს განხორციელდა მისი პირადი და საცხოვრებლის ჩხრეკა სასამართლო განჩინების გარეშე. ორივე საპროცესო მოქმედება როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ ცნო, ვინაიდან არ დადგინდა გადაუდებელი აუცილებლობის არსებობა.

ბრალდების მხარემ რამდენჯერმე დაადანაშაულა დაცვის მხარე პროცესის გაჭიანურებაში.

საქმის განხილვისას პროცესი რამდენჯერმე გადაიდო. ერთ შემთხვევაში, ამის მიზეზი იყო ბრალდების მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობები, რაზეც დაცვის მხარემ მოითხოვა პროცესის გადადება პოზიციის ჩამოსაყალიბებლად.

სხვა პროცესზე დაცვის მხარე ითხოვდა გადადებას ერთ-ერთი ადვოკატის საქართველოში არყოფნის მიზეზით (მიემგზავრებოდა დასასვენებლად თურქეთში). ამასთან, ითხოვდა პროცესი მის გარეშე არ ჩატარებულიყო. სასამართლომ მიზეზი არ ჩათვალა საპატიოდ, რადგან ბრალდებულს სხვა დამცველებიც ჰყავდა, ვისაც შეეძლო ბრალდებულის ინტერესების დაცვა სხდომაზე.
საქმის განხილვის გადადების მიზეზი გახდა, ასევე, გიორგი ონიანის ავადმყოფობა.

ერთ-ერთ სხდომაზე გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ იგი იცავს ბაჩო ახალაიას, დატვირთულია და სურს სხდომის გადადება 1 თვით ან თვე-ნახევრით. დაცვის მხარე მიიჩნევდა, რომ სასამართლოს ეს ფაქტი უნდა გაეთვალისწინებინა და საქმე გადაედო, რადგან სწრაფი მართლმსაჯულება წარმოადგენს ბრალდებულის უფლებას. ბრალდების მხარემ ბრალდებული პროცესის გაჭიანურების მცდელობაში დაადანაშაულა.

გიორგი ონიანს ბრალად ედება ლევან მდინარაძისა და დავით შათირიშვილის მიმართ ჩადენილი ქმედებები, რის შედეგადაც მათ მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. საინტერესოა, რომ ლევან მდინარაძის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა და იგი გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მეორე დაზარალებულის, დავით შათირიშვილის სასამართლო განხილვები გიორგი ონიანის წინააღმდეგ არსებული მიმდინარე საქმის პარალელურად მიმდინარეობს. შედეგად, გამოდის, რომ დავით შათირიშვილი ერთდროულად წარმოადგენს დაზარალებულს გიორგი ონიანის ბრალის საქმეში, ხოლო ბრალდებულს იმ საქმეში, სადაც გიორგი ონიანის ქმედებების შედეგად წარედგინა ბრალი და რომლის ქმედებების დანაშაულებრიობის საკითხიც განიხილება მიმდინარე საქმეში.

დაცვის მხარის ინფორმაციით, ის თანამშრომლები, რომლებიც გიორგი ონიანთან ერთად ფიგურირებდნენ საქმეში, კვლავ აგრძელებენ მუშაობას პოლიციის ორგანოებში და მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა გიორგი ონიანზე მამხილებელი ჩვენებების სანაცვლოდ. აღნიშნულთან დაკავშირებით, მოსამართლემ სთხოვა პროკურორს, მიეწოდებინა ინფორმაცია, მუშაობდნენ თუ არა ეს პირები კვლავ თანამდებობებზე პოლიციაში. მომდევნო სხდომაზე პროკურორებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნული პირები მუშაობენ იმავე თანამდებობებზე.

დაცვის მხარემ წარადგინა ვიდეო მასალა, სადაც ბრალდების მხარის ერთ-ერთი მთავარი მოწმე გიორგი შარიფაშვილი საუბრობს, რომ პროკურატურაში მას თანამდებობის სანაცვლოდ ტელევიზიაში მისვლას და გიორგი ონიანის დადანაშაულებას სთავაზობდნენ. აღნიშნული მტკიცებულება არ დაერთო საქმეს.

დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მოწმის მიმართ ადგილი ჰქონდა შეურაცხმყოფელ განცხადებებს დარბაზში დამსწრე პირების მხრიდან, რაც დარბაზში ხმაურს იწვევდა. მოსამართლემ დამსწრე პირები გააფრთხილა, რომ განმეორების შემთხვევაში პროცესს დახურავდა.

საქმეში თავდაპირველად ბრალდებულები იყვნენ ასევე გ.შ., ლ.გ, ლ.კ, და გ.ქ., თუმცა მათ მიმართ შეწყდა სისხლისსამარტლებრივი დევნა და განრიდება გაუფორმდათ. [45]

4. აღკვეთის ღონისძიება

ბრალდების მხარემ აღკვეთი ღონისძიების სახით მოითხოვა პატიმრობის გამოყენება. ვინაიდან არსებობდა ბრალდებულის მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე.
დაცვის მხარე ითხოვდა არც ერთი აღკვეთი ღონისძიების სახე არ გამოყენებულიყო, ალტერნატივის სახით კი სასამართლოს გირაო შესთავაზა, ასევე, ბრალდებულ გიორგი ონიანს პირად თავდებობაში 26 პარლამენტარი ჩაუდგა.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებები, რომ ბრალდებულს აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ჰყავს ოჯახი, ამასთანავე გამოძიების პროცესში მას თავი არ აურიდებია სამართალდამცავ ორგანოში და სასამართლოში გამოცხადებისათვის და არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულ გიორგი ონიანის მიმართ

[45] დამატებულ იქნა გიორგი ონიანის დამცველების შენიშვნების მიხედვით.

პატიმრობის შეფარდების თაობაზე, მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო - 20 ათასი ლარის ოდენობით.

5. პროცესის მიმდინარეობა

5.1. მნიშვნელოვანი შუამდგომლობები

ა. დაცვის მხარის შუამდგომლობები:

1. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე, რადგან ბრალდებული გიორგი ონიანს ჰქონდა გულის შეტევა, წარმოადგინეს ასევე სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ ეს ემსახურებოდა პროცესის გაჭიანურებას, ავადმყოფობის შესახებ ბრალდებისთვის დაცვას არ უცნობებია. ამიტომ, პროცესი არ უნდა გადადებულიყო.

განჩინება: სასამართლომ განაცხადა, რომ ბრალდების მხარის პოზიცია უსაფუძვლოა და დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა.

2. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა, დაუშვებელ მტკიცებულებად ყოფილიყო ცნობილი დაზარალებული დავით შათირიშვილის მიერ მიცემული ჩვენება, ვინაიდან ჩვენება მიცემული იყო გამოძიების დასრულების შემდგომ, როდესაც საქმე უკვე სასამართლოში განიხილებოდა. დაცვის მხარე, ასევე, დაუშვებლად მიიჩნევდა მის ჩვენებას, რადგან დავით შათირიშვილი ერთ საქმეზე პროკურატურის მიერ ცნობილია ბრალდებულად, ამ საქმეზე კი დაზარალებულად, რასაც დაცვის მხარემ წარმოუდგენელი ფაქტი უწოდა.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ დაცვის მხარის შუამდგომლობას უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი უწოდა და აღნიშნა, რომ კანონი ავალდებულებს საგამოძიებო ორგანოებს, დანაშაულის შეტყობინების შემდეგ დაიწყონ გამოძიება. მდინარაძემ და შათირიშვილმა პროკურატურას განცხადებით მიმართეს და ამ დანაშაულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. პროკურატურა ვალდებული იყო, დაეწყო გამოძიება ნებისმიერ ეტაპზე. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მათი განცხადების საფუძველზე დაწყებული გამოძიების შედეგად საქმე აღიძრა გიორგი ონიანის წინააღმდეგ და ამასთანავე მიმდინარეობს შათირიშვილის საქმის განხილვა, არაფერს არ ცვლის, რადგან ეს ორი საქმე არ არის შემხებლობაში ერთმანეთთან.

განჩინება: სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა იმ მოტივით, რომ კანონი ავალდებულებდა პროკურატურას, დაეწყო გამოძიება დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისას იმის მიუხედავად, განხილვის რა ეტაპზე იყო შათირიშვილის საქმე.

3. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა პროკურორის აცილების თაობაზე. მიზეზად დაცვის მხარე ასახელებდა სიტყვიერ შელაპარაკებას მასსა და პროკურორს შორის წინა პროცესზე. გიორგი ონიანი აცხადებდა, რომ მათ შორის დაპირისპირება მიუთითებდა ბრალდების პირად კონფლიქტზე ბრალდებულთან. ამიტომ, ის ვერ იქნებოდა ობიექტური.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ უარყო აღნიშნული და განაცხადა, რომ ის მოქმედებდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ აქვს პირადი დაინტერესება.

განჩინება: დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან დაპირისპირების ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება არ იქნა წარმოდგენილი.

4. დაცვის მხარემ ერთ-ერთ სხდომაზე განაცხადა, რომ სხდომის თარიღი იყო უკანონოდ ჩანიშნული. ამიტომ ითხოვდა განხილვის გადადებას. გიორგი ონიანის საქმე თავდაპირველად განიხილებოდა სხვა ბრალდებულებთან ერთად, მოგვიანებით კი, პროკურატურის მოთხოვნით, მოხდა მისი საქმის ცალკე გამოყოფა. დაცვის მხარის განცხადებით, როდესაც მათ მიმართეს სასამართლოს სხდომის გადადების თაობაზე, გადადების მოთხოვნა შეეხებოდა იმ საქმეს სადაც გიორგი ონიანის საქმე სხვა ბრალდებულებთან ერთად განიხილებოდა და არა ცალკე გამოყოფილ საქმეს. შესაბამისად, თვლიდნენ, რომ სხდომის თარიღი იყო უკანონოდ ჩანიშნული.

მოსამართლის კითხვაზე, სასამართლოს მიმართვისას ვადის გაგრძელების მოთხოვნით, იყო თუ არა მიწოდებული ინფორმაცია, რომ სისხლის სამართლის საქმე ონიანზე ცალკე იყო გამოყოფილი, დაცვის მხარემ განაცხადა, რომ საქმის გამოყოფის შესახებ დადგენილება მოსამართლისთვის არ მიუწოდებიათ, რადგან მიაჩნდა, რომ ამ დადგენილებაში ნათლად არ ჩანდა ონიანის მიმართ საქმის ცალკე საქმედ გამოყოფის ფაქტი.

ბრალდების მხარის პოზიცია: პროკურორმა განაცხადა, რომ არ არსებოდა არავითარი ორი საქმე და მოხდა უბრალოდ გიორგი ონიანის საქმის გამოყოფა, რაც ცნობილი უნდა ყოფილიყო დაცვის მხარისთვის, ვინაიდან მათ საქმის მასალები გაცვალეს. ბრალდების მხარემ გიორგი ონიანი დაადანაშაულა პროცესის გაჭიანურებაში და განაცხადა, რომ მათ საქმის გამოყოფის შესახებ დადგენილება მიზანმიმართულად არ წარუდგინეს სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მიზნით.

განჩინება: საქმის განხილვა გადაიდო.

ბრალდების მხარემ მომდევნო სხდომაზე წარმოადგინა სასამართლოს დაზუსტებული განჩინება, რომლითაც დასტურდებოდა, რომ საქმის გადადება მოხდა გიორგი ონიანის გამოყოფილ საქმეზე. ბრალდების მხარემ, ასევე, განაცხადა, რომ გიორგი ონიანმა უკანონოდ ჩანიშნული სხდომის თაობაზე საკითხი გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, თუმცა, ვინაიდან ის არ დაკმაყოფილდა, დაცვის მხარემ სასამართლოს არ აცნობა აღნიშნულის შესახებ. ამიტომ ბრალდება ითხოვდა, საქმეს დართვოდა დაცვის მხარის საჩივარი და სააპელაციო სასამართლოს განჩინება.

დაცვის მხარე დაეთანხმა პირველ შუამდგომლობას, თუმცა სააპელაციო სასამართლოს განჩინებასთან მიმართებით განაცხადა, რომ მისი დაკმაყოფილება არ უნდა მომხდარიყო, რადგან მისი წარმოდგენა წინასასამართლო სხდომამდე უნდა მომხდარიყო.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდების მხარე ვერ მოიპოვებდა ამ მტკიცებულებებს წინასასამართლო სხდომამდე. შესაბამისად, წარმოუდგენლობის მიზეზი საპატიო იყო. ამიტომ, დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა.

> შენიშვნა: დაცვის მხარე ასევე აცხადებდა, რომ საქმის მასალები სასამართლოში წარდგენილ იქნა საქმის ცალკე გამოყოფამდე, დაცვის მხარის მტკიცებით ეს ნიშნავდა იმას, რომ გიორგი ონიანის ახლანდელ უკვე გამოყოფილ საქმეზე მტკიცებულებები ფაქტობრივად წარდგენილი არ არის, ამიტომ დაცვის მხარე მიიჩნევდა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყვეტილიყო.[46]

[46] დამატებულ იქნა გიორგი ონიანის დამცველების შენიშვნების მიხედვით.

5. დაცვის მხარემ მოითხოვა საქმეს მტკიცებულებად დართვოდა შემდეგი დოკუმენტები:
o არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული არჩევანი“-ს ანგარიში: პოლიტიკურად მიკერძოებული მართლმსაჯულება საქართველოში;
o სახალხო დამცველის რეკომენდაცია;
o გადაცემა „განსხვავებული აქცენტები“-ს ჩანაწერი, სადაც გიორგი ონიანის საქმეზე გაკეთდა სიუჟეტი;
o ვიდეო, რომელზეც გიორგი ონიანის და გიორგი შარიფაშვილის საუბარია ჩაწერილი. დაცვის მხარის განცხადებით, ვიდეო ჩაიწერეს ჟურნალისტებმა გიორგი ონიანის ოფისში, ვიდეოში გიორგი შარიფაშვილი (ბრალდების მხარის მოწმე) ამბობდა, რომ პროკურატურაში სამსახურის სანაცვლოდ სთავაზობდნენ ტელე გადაცემაში მისვლას და გიორგი ონიანის წინააღმდეგ საუბარს.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ თითოეულ მტკიცებულებასთან მიმართებით განაცხადა შემდეგი:

- არასამთავრობო ორგანიზაცია „საქრთველოს დემოკრატიული არჩევანის“ ანგარიშში მხოლოდ 4 გვერდი აქვს დათმობილი გიორგი ონიანის საქმეს. ამასთან, ანაგრიში არის შეფასებითი დოკუმენტი და არ არის რელევანტური საქმესთან.

- სახალხო დამცველის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც საუბარია, როგორ მოახერხა გამომძიებელმა ორი მოწმის ერთდროულად დაკითხვა, ბრალდებამ აღნიშნა, რომ, შესაძლოა, გამომძიებელმა დაუშვა მექანიკური შეცდომა, თუმცა ამის თაობაზე დაცვის მხარეს წსს-ზე მათი დაკითხვის ოქმები სადავო არ გაუხდიათ. გარდა ამისა, ბრალდების მხარის განმარტებით, სახალხო დამცველის რეკომენდაციაც მხოლოდ მოსაზრებაა, ჩამოთვლილი მიზეზების გამო, არ უნდა დართვოდა საქმეს.
- „რუსთავი 2“-ის რეპორტაჟთან მიმართებით პროკურორმა განაცხადა, რომ სიუჟეტში პირები საუბრობენ მათ შეხედულებებზე. ისინი საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე არანაირ ცოდნას არ ფლობენ. შესაბამისად, ამ მასალასაც შეფასებითი ხასიათი აქვს და არ უნდა დართვოდა საქმეს.
- გიორგი ონიანისა და გიორგი შარიფაშვილის საუბრის ჩანაწერთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ ის ჩაწერილია დაუდგენელი ჟურნალისტის მიერ, რომელსაც წინასწარი თანხმობა კერძო საუბრის ჩაწერაზე არ ჰქონია, ეს კი იყო კერძო საუბრის მიყურადება, რაც უკანონოდ, არსებითი დარღვევით მოპოვებულა მტკიცებულებაა. შესაბამისად, არც ის არ უნდა დართვოდა საქმეს.

განჩინება: სასამართლომ საქმეს მხოლოდ სახალხო დამცველის რეკომენდაცია დაურთო. „საქართველოს დემოკრატიული არჩევანის“ ანგარიშთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს არის ორგანიზაციის მოსაზრება, სასამართლომ არ იცის, რა მოცულობით შეისწავლა ორგანიზაციამ საქმე, ხოლო პოლიტიკური დევნა ხორციელდება თუ არა, ეს სასამართლომ უნდა შეაფასოს. ამიტომ არ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობა ამ ნაწილში. საქმეს არ დაერთო ასევე გადაცემის ჩანაწერი. გიორგი შარიფაშვილისა და გიორგი ონიანის საუბრის ჩანაწერთან დაკავშირებით კი სასამართლომ აღნიშნა, რომ ვერ დასტურდებოდა ჩანაწერის ავთენტურობა, ასევე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში არ დასტურდებოდა, ეკუთვნოდა თუ არა ჩანაწერში არსებული ხმა გიორგი ონიანს ან გიორგი შარიფაშვილს. სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, დაცვის მხარე ვერ ასახელებდა იმ ჟურნალისტს, ვინც ჩანაწერი გააკეთა. შესაბამისად, ვერ დასტურდება დოკუმენტის წარმომავლობა. სასამართლომ არც ამ ნაწილში დააკმაყოფილა შუამდგომლობა.

ბ. ბრალდების მხარე:

1. ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა გარკვეულ მოწმეთა დასაკითხ სიიდან ამორიცხვის შესახებ, ვინაიდან ისინი ბრალდებულის პიროვნების დახასიათებით შემოიფარგლებოდნენ და საქმის გარემოებათა შესახებ ინფორმაციას ვერ აწვდიდნენ სასამართლოს.

დაცვის მხარის პოზიცია/განჩინება: დაცვის მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას, თუმცა სასამართლომ პირები, რომლებიც არ ფლობდნენ ინფორმაციას საქმის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით და მხოლოდ ბრალდებულის დახასიათებას ახდენდნენ, ამორიცხა დასაკითხ პირთა სიიდან.

2. ბრალდებამ იშუამდგომლა იმ მოწმეთა დასაკითხ პირთა სიიდან ამოღების თაობაზე, რომლებიც მხოლოდ ვარაუდებებს გამოთქვამდნენ და ბრალდებულის მიმართ დამოკიდებულებაზე საუბრობდნენ. ბრალდება აცხადებდა, რომ მათი დაკითხვა სასამართლოს ჭეშმარიტების დადგენაში ვერ დაეხმარებოდა.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარემ განაცხადა, რომ მოწმეები ფლობდნენ ინფორმაციას გარკვეულ გარემოებებთან დაკვშირებით და ისინი დაადასტურებენ, რომ ბრალდებულს არ გაუცია უკანონო დავალება.

განჩინება: სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის ეს შუამდგომლობა და მოწმეები დატოვა დასაკითხ პირთა სიაში.

3. ბრალდების მხარემ ასევე იშუამდგომლა, დაუშვებლად ყოფილიყო ცნობილი საგამოძიებო მოქმედებების ოქმები, ვინაიდან ისინი იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ ჩატარებული, რადგან ადვოკატ ირინა ჯანელიძეზე ორდერი გაცემული იყო ამ მოქმედებების ჩატარების შემდეგ.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარემ აღნიშნა, რომ ადვოკატ ირინა ჯანელიძის ორდერი იყო საქმეში და ბრალდების მხარეს აღნიშნული გადაეცა მტკიცებულებების გაცვლის დროსაც. ამასთან, მათი განცხადებით, ისინი არ იყვნენ ვალდებული, მოქმედებათა შესახებ ბრალდებისთვის ეცნობებინათ.

განჩინება: სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა აღნიშნული მტკიცებულებების ამორიცხვის თაობაზე და ადვოკატ ირინა ჯანელიძის მიერ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებს მიენიჭა მტკიცებულების ძალა.

4. ბრალდებამ იშუამდგომლა იმ მოწმეთა დასაკითხ პირთა სიიდან ამორიცხვის თაობაზე, რომელთა გამოკითხვის ოქმებიც არ გადასცემიათ.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და აღნიშნა, რომ ეს მოწმე მნიშვნელოვან ინფორმაცია ფლობდა, ვინაიდან სწორედ ის იყო გამომძიებელი იმ საქმეზე, რომლის უკანონოდ წარმოებასაც გიორგი ონიანს ედავებიან. დაცვის მხარის განცხადებით, აღნიშნული მოწმე ისევ მუშაობდა სამართალდამცავ სტრუქტურაში და როდესაც მას სთხოვეს გამოკითხვა, მან დრო მოითხოვა საკითხის უფროსობასთან შესათანხმებლად, მოგვიანებით კი დაცვას უარი უთხრა გამოკითხვაზე, თუმცა დაცვის მხარეს უთხრა, რომ სასამართლოში მისი მოწმედ გამოცხადების შემთხვევაში, სიმართლეს იტყოდა.

განჩინება: სასამართლომ დაამტკიცა აღნიშნული მოწმე დასაკითხ პირთა სიაში.

5.2. მოწმეთა ჩვენებები

ა. ბრალდების მხარის მოწმეები:

მოწმის სახით დაიკითხა დაზარალებული დავით შათირიშვილი, რომელიც 2011 წლის ოქტომბერში მუშაობდა სარეკლამო კომპანიაში, სადაც ბუკლეტებს, ბროშურებს და მაისურებს ამზადებდა. ერთ-ერთი შემკვეთი იყო Georgian Dream სტუდია, რომელსაც დაუმზადეს დიდი რაოდენობის პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ შავი მასიურები. ერთ დღეს მოწმეს ქუჩაში ორი იარაღიანი მამაკაცი მიუახლოვდა, ერთ-ერთი იყო გიორგი ონიანი. უთხრეს, რომ ნარკოტიკის ტარების თაობაზე ჰქონდათ ეჭვი. მოწმემ გაიხსენა, რომ ჯიბიდან ყველაფერი გადმოალაგა, თუმცა არაფერი არ აღმოაჩნდა. შემდეგ ჩასვეს მანქანაში და წაიყვანეს განყოფილებაში, სადაც ჰკითხეს, იყო თუ არა მაისურები მისი დამზადებული. დადებითი პასუხის შემდეგ განუცხადეს, რომ მისი ქცევებით სახელმწიფოს შეექმნა საფრთხე და ამისთვის უნდა დასჯილიყო. განუცხადეს, რომ ნარკოტიკები ჰქონდა, მოწმემ უარყო, თუმცა გააფრთხილეს თუ თუ მათ დავალებას არ შეასრულებდა, მისი სახლიდან ან მეუღლის სამსახურიდან ამოიღებდნენ ჰეროინს. შესთავაზეს თანამშრომლობა, რომ მათთვის ინფორმაცია მიეწოდებინა. უარის შემდეგ კი სცემეს. დავით შათირიშვილს აღკვეთი ღონისძიების სახით თავდაპირველად პატიმრობა შეუფარდეს, მოგვიანებით კი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. აღნიშნულის შემდეგაც ჰქონდა გიორგი ონიანს მასთან კავშირი თანამშრომლობის მოთხოვნით, თუმცა კვლავ უარი მიიღო . დავით შათირიშვილის ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდების საქმე არ არის დასრულებული და მესამე წელია, მიმდინარეობს.

მოწმის სახით დაიკითხა საქმეში მეორე დაზარალებული ლევან მდინარეძე, რომელიც 2011 წლის ოქტომბერში მუშაობდა ღონისძიებების ორგანიზატორად, იცნობდა ბერას (ბიძინა ივანიშვილის შვილი). მოწმეს ბერას სტუდიის მენეჯერი დაუკავშირდა და სთხოვა დახმარება ბერას კონცერტის ორგანიზებაში. მოწმემ დაკითხვისას გაიხსენა მისი დაკავება. ის ძალით ჩასვეს მანქანაში, სადაც იყო გიორგი ონიანიც, რომელსაც ფორმა არ ეცვა. უთხრეს, რომ სამშობლოს ღალატისთვის დაიჭირეს. წაიყვანეს განყოფილებაში, სადაც გამომძიებელმა აღიარებით ჩვენება დაუდო ხელმოსაწერად, სადაც ეწერა, თითქოს ნარკოტიკი ედო ჯიბეში. მასვე ჩაუტარეს ექსპერტიზა, თუმცა ორგანიზმში არ აღმოაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება. მის მიმართაც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, აღკვეთი ღონისძიების სახით მას გირაო შუფარდეს.

დაიკითხა მოწმე გიორგი შარიფაშვილიც (აღნიშნულ მოწმეს განრიდება გაუფორმდა), რომელიც გიორგი ონიანის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის დროს მუშაობდა

გლდანი-ნაძალადევის განყოფილებაში ინსექტორ-გამომძიებლად, გიორგი ონიანი კი იყო სამმართველოს უფროსის მოადგილე. მოწმემ გაიხსენა დავით შათირიშვილის წინააღმდეგ გამოძიების დაწყება, განაცხადა, რომ დაურეკა გიორგი ონიანმა და უთხრა, რომ უკარნახებდა პატაკს და მის საფუძველზე უნდა დაეწყო გამოძიება. ასეც მოიქცა. გამოძიება დაიწყო ფაქტზე, რომ თითქოს გიორგი შათირიშვილს ჯიბეში აღმოაჩნდა ნარკოტიკული საშუალება. მოწმის ჩვენების თანახმად, მოგვიანებით განყოფილებაში მივიდა გიორგი ონიანი დაკავებულ გიორგი შათირიშვილთან ერთად. გიორგი ონიანმა დადო ნარკოტიკული საშუალება მაგიდაზე და უთხრა, რომ ის ამოღებულ იქნა შათირიშვილის ჯიბიდან. მოწმემ განაცხადა, რომ, მართალია, თავად არ დასწრებია ჩხრეკას, გიორგი ონიანმა უბრძანა, დაეწერა, თითქოს მან შეასრულა ჩხრეკა.

იმავე მოწმემ ისაუბრა ასევე ლევან მდინარაძის საქმის წარმოების დაწყებაზეც და განაცხადა, რომ დაურეკეს და განყოფილებაში მისვლა სთხოვეს, სადაც დახვდა დაკავებული ლევან მდინარაძე. მოწმემ განაცხადა, რომ გიორგი ონიანმა უბრძანა ისე შეედგინათ ოქმი, თითქოს ნაკოტიკი იქნა ამოღებული მდინარაძის ჩხრეკისას. აღნიშნული მოწმე თავისით წამოვიდა სამსახურიდან. მოწმემ უარყო ფაქტი, თითქოს მას გიორგი ონიანის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის სანაცვლოდ თანამდებობას დაპირდნენ.

მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა. საქმეზე განაჩენი არ დამდგარა.

7. ჩვენი დაკვირვება

დაცვის მხარემ წარადგინა ვიდეო მასალა, სადაც მოწმე გიორგი შარიფაშვილი, რომელიც შესაძლო დანაშაულის ჩადენის დროს მუშაობდა გლდანი- ნაძალადევის განყოფილებაში ინსექტორ-გამომძიებლად, ამბობდა, რომ პროკურატურაში მას თანამდებობის სანაცვლოდ ტელევიზიაში მისვლას და გიორგი ონიანის წინააღმდეგ საუბარს სთავაზობდნენ. აღნიშნული მტკიცებულება საქმეს არ დაერთო, ვინაიდან არ დასტურდებოდა მისი ავთენტურობა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს ფაქტი მოწმის სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს. ეჭვებს ისიც ამყარებს, რომ მოწმე თავდაპირველად ბრალდებული იყო გიორგი ონიანთან ერთად საქმეში, თუმცა მოგვიანებით მას განრიდება გაუფორმდა.

საინტერესოა, რომ მეორე დაზარალებულის, დავით შათირიშვილის მიმართ გიორგი ონიანის წინააღმდეგ არსებული საქმის განხილვის პარალელურად მიმდინარეობს

თავად შათირიშვილის საქმის სასამართლო განხილვები. აღსანიშნავია, რომ გიორგი ონიანს სწორედ დავით შათირიშვილის მიმართ განხორციელებულ უკანონო ქმედებებში ედება ბრალი, ამ ქმედებების საფუძველზე კი მოხდა დავით შათირიშვილის წინააღმდეგ საქმის წარმოება. დავით შათირიშვილი ერთდროულად წარმოადგენს დაზარალებულს ამ საქმეში, ხოლო ბრალდებულს მეორე საქმეში.

რამდენჯერმე მოხდა საქმის განხილვის გადადება დაცვის მხარის მოთხოვნით. დაცვის მხარე მიიჩნევდა, რომ სწრაფი მართლმსაჯულება წარმოადგენდა ბრალდებულის უფლებას. მართალია, პირს შეუძლია, უარი განაცხადოს სწრაფი მართლმსაჯულების უფლებაზე, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადოდ მომზადებისათვის, თუმცა, აღნიშნულ უფლებას აქვს საზღვრები. აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს სასამართლოს რესურსები და არ ხდებოდეს მისი არამიზნობრივი გამოყენება.

ნიკანორ მელია, ზურაბ ადეიშვილი და სხვები (ბანკი ქართუს გაკოტრების საქმე)

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

ნიკანორ მელია, აღსრულების ეროვნული ბიუროს ყოფილი თავმჯდომარე – დახმარება საწარმოში და სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი და სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ქონების გადამალვაშვი მოჩვენებითი გარიგებით, ჩადენილი მოსალოდნელი ქონებრივი ვალდებულებისათვის თავის არიდებით, დიდი ოდენობით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ; სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

ზურაბ ადეიშვილი, საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება; სამსახურებრივი უფებამოსილების გადამეტება; საწარმოში და სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი და სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიერ დიდი ოდენობით ქონების გადამალვის ორგანიზება მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებით, მოსალოდნელი და უკვე არსებული ქონებრივი ვალდებულებებისათვის თავის არიდების მიზნით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ; [47]

ცეზარ ჩოჩელი, მცხეთა-მთიანეთის ყოფილი სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი – ქონების გადამალვა მოჩვენებითი გარიგებით, ჩადენილი მოსალოდნელი ქონებრივი ვალდებულებისათვის თავის არიდებით, დიდი ოდენობით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, უფლების დამდგენი დოკუმენტის ჯგუფურად გაყალბება.

სხვა ბრალდებულები: ჯამბულ ებანოიძე, დავით გიორგაძე, გრიგოლ მორჩილაძე, გოჩა ცხენოსანიძე, ნუგზარ საჯაია, დავით კოდუა, ვასილ ჩიგოგიძე, ლევან საყვარელიძე, ილია ანთაძე, ლაურა ღაჭავა, ნიკა ყუბანეიშვილი, ირაკლი თაქთაქიშვილი.

[47] შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით.

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების თანახმად, ბრალდებულებმა 2011 წლის მიწურულს და 2012 წლის დასაწყისში ბანკი „ქართუს“ წინააღმდეგ სხვადასხვა უკანონო ქმედება განახორციელეს. კერძოდ, ისინი უკავშირდებოდნენ იმ ორგანიზაციათა მმართველებს, რომლებსაც „ქართუსთან“ სესხის ხელშეკრულებები ჰქონდათ გაფორმებული და აიძულებდნენ, ორგანიზაციების ძველ დეკლარაციებში ყალბი მონაცემები შეეტანათ, ისე, რომ აღნიშნულ ორგანიზაციებს სახელმწიფოს წინაშე დიდი ოდენობის დავალიანება წარმოშობოდათ. დეკლარაციებში ყალბი მონაცემების შეტანის შემდეგ, სასამართლო განხილვისას ხსენებულ ორგანიზაციათა მმართველები აღიარებდნენ სახელმწიფოს წინაშე არსებულ დავალიანებას, რის შედეგადაც ამ ორგანიზაციების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების მიმართ აღსრულება იწყებოდა: იმართებოდა ფიქტიური ინტერნეტაუქციონები, რომლებზედაც დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ წინასწარ განსაზღვრული იურიდიული პირი იმარჯვებდა. გამარჯვების შემდეგ. აღნიშნული იურიდიული პირი უარს აცხადებდა აუქციონით დადგენილი თანხის გადახდაზე; ამდენად, უძრავი ქონება სახელმწიფო ბალანსზე ხვდებოდა. სახელმწიფო ბალანსიდან ეს უძრავი ქონება ასევე ფიქტიურად, საბაზრო ფასთან შედარებით დაბალ ფასად, მხარეთა მიერ წინასწარ განსაზღვრულ იურიდიულ პირებზე იყიდებოდა. ამის პარალელურად, მევალე ორგანიზაციები წყვეტდნენ „ქართუს“ მიმართ არსებული სესხის დაფარვას, ბანკს კი აღარ შეეძლო სესხით დატვირთული უძრავი ქონების აღსასრულებლად მიქცევა, რადგან ეს ქონება ყოველგვარი უფლებრივი ნაკლის გარეშე სრულიად სხვა ორგანიზაციის საკუთრებად იყო რეგისტრირებული. სქემა რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. მისი საბოლოო მიზანი ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი ბანკის, „ქართუს“ გაკოტრება იყო.

იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იურიდიული პირისთვის საგადასახადო დავალიანების აღმოჩენის შემთხვევაში, სახელმწიფოს მისი ქონების აუქციონზე გატანა შეეძლო იმის მიუხედავად, დატვირთული იყო თუ არა ეს ქონება იპოთეკით. ბრალდების მხარის მტკიცებით, ყოფილმა მაღალჩინოსნებმა შესაბამისი კანონი პარლამენტს საგანგებოდ შეაცვლევინეს.

3. მნიშვნელოვანი გარემოებები/ფაქტები

ხშირი იყო ბრალდებულების ან დამცველების პროცესზე გამოუცხადებლობის შემთხვევები.
ერთ შემთხვევაში, ბრალდებულები ნუგზარ საჯაია და დავით თოდუა არ გამოცხადნენ პროცესზე, როგორც მომდევნო სხდომაზე გახდა ცნობილი, ერთ მათგანს ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა, მეორეს კი ავტოსაგზაო შემთხვევა შეემთხვა. მოსამართლემ საპატიოდ ცნო მათი გამოუცხადებლობა.

რამდენჯერმე პროცესზე არ გამოცხადდა ბრალდებული ცეზარ ჩოჩელი, მიზეზად სახელდებოდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რის გამოც მას მოუწია გერმანიაში სამკურნალოდ გამგზავრება. მოსამართლემ მოუწოდა ბრალდებულს, მომდევნო სხდომამდე დაბრუნებულიყო ქვეყანაში, ვინაიდან ამით საფრთხის ქვეშ დგებოდა მისი აღკვეთი ღონისძიების საკითხი.

აღკვეთი ღონისძიების გადახედვის საფრთხის თაობაზე მოუწოდა, ასევე, მოსამართლემ ბრალდებულ ნიკანორ მელიას, რომელიც რამდენჯერმე არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე. ერთ შემთხვევაში მოსამართლემ გააფრთხილა ბრალდებული, რომ მომდევნო სხდომაზე გამოუცხადებლობის ცნობის წამოუდგენლობის შემთხვევაში, ის დაჯარიმდებოდა. მას შემდეგ, რაც ბრალდებული სხდომაზე გამოცხადდა მან განაცხადა, რომ გამოუცხადებლობის მიზეზი ერთ შემთხვევაში მისი ჯანმრთელობის პრობლემები იყო, მეორე შემთხვევაში კი მას ქვეყნიდან გასვლა მოუწია, პროცესის თარიღი კი მისთვის ცნობილი არ იყო.

ერთ-ერთ სხდომაზე წარმოდგენილ იქნა ცნობა ბრალდებულ დავით კოდუას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რის გამოც ის პროცესზე დასწრებას ვერ ახერხებდა, თუმცა მოსამართლემ ეჭქვეშ დააყენა მისი გამოუცხადებლობის მიზეზები და განაცხადა, რომ ის სოციალურად საკმაოდ აქტიური იყო და მისთვის გაუგებარია, რატომ ვერ ახერხებდა პროცესზე დასწრებას.

სხვა შემთხვევაში სხდომაზე არ გამოცხადდა ბრალდებულის დამცველი, რომელსაც თელავის სასამართლოში ჰქონდა სხვა პროცესი. მოსამართლემ აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ადვოკატმა იცოდა სხდომის თარიღი და წერილობით არ მიუმართავს სასამართლოსთვის სხდომის გადადებასთან დაკავშირებით, თუმცა

მომდევნო სხდომაზე ადვოკატმა წარმოადგინა სხვა პროცესზე დასწრების დამადასტურებელი დოკუმენტი და სასამართლომ საპატიოდ ცნო გამოუცხადებლობა. მოსამართლემ საქმის განხილვისას განაცხადა, რომ სისტემატიურად ხდებოდა დაცვის მხარის ბრალით პროცესის გადადება, რაც მიუთითებდა, რომ მათ არ სურდათ სწრაფი მართლმსაჯულების უფლებით სარგებლობა და ხდებოდა უამრავი რესურსის არამიზნობრივი ხარჯვა.

4. აღკვეთის ღონისძიება

პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობა ზურაბ ადეიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე. ჯამბულ ებანოიძის, რომან ჩხენკელის, მამუკა ლაშხიას, ოთარ აგლაძის და ნიკანორ მელიას მიმართ კი გირაოს გამოყენების თაობაზე.

სასამართლოს განჩინებით, ჯამბულ ებანოიძეს გირაოს თანხად 30 000 ლარი განესაზღვრა, რომან ჩხენკელს – 15 000, მამუკა ლაშხიას და ოთარ აგლაძეს – თითოეულს 8 000 ლარი, ხოლო ნიკანორ მელიას – 25 000 ლარი, ზურაბ ადეიშვილს კი პატიმრობა შეეფარდა.

5. პროცესის მიმდინარეობა

5.1. მნიშვნელოვანი შუამდგომლობები

ა. დაცვის მხარის შუამდგომლობები:

1. ბრალდებულმა, ნიკანორ მელიამ დააყენა შუამდგომლობა თბილისის მერის არჩევნების ჩატარებამდე არ ჩანიშნულიყო პროცესი, რათა მისცემოდა საარჩევნო კამპანაში სრულყოფილად მონაწილეობის საშუალება. სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდებულის შუამდგომლობა.

2. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა სხდომის 2 თვით გადადების მოთხოვნით, მიზეზად ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა დასახელდა.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდება დაეთანხმა შუამდგომლობას.

განჩინება: მოსამართლემ დააკმაყოფილა შუამდგომლობა.

3. დაცვის მხარემ მოითხოვა ბრალდებულების დავით კოდუას და ლაურა ღაჭავას საქმეების გამოყოფა ცალკე წარმოებად, თავიდან რომ აცილებულიყო სხვა ბრალდებულების საქმის განხილვის გაჭიაურება. დაცვის მხარემ აღნიშნა, რომ დავით კოდუას ესაჭირეობა საზღვარგარეთ მკურნალობა, მას კი თან უნდა გაყოლოდა ლაურა ღაჭავა (დავით კოდუას დედა). ამასთან, დაცვა აცხადებდა, რომ დავით კოდუას და ლაურა ღაჭავას საქმის ერთად განხილვა მიზანშეწონილი იქნებოდა იმ მიზეზითაც, რომ მათ საქმეზე საერთო მოწმეები იყვნენ.

მოსამართლემ განაცხადა, რომ საერთო მოწმეების არსებობა ბევრად უფრო დამაჯერებელი არგუმენტი იყო, ვიდრე განცხადება, რომ ლაურა ღაჭავა შვილს უნდა გაყოლოდა საზღვარგარეთ სამკურნალოდ.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარე დაეთანხმა შუამდგომლობას.

განჩინება: მოსამართლემ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და ცალკე გამოყო ლაურა ღაჭავასა და დავით კოდუას საქმე.

4. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა, საქმეს მტკიცებულებად დართვოდა 2014 წლის 18 მაისს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, საქართველოს მთავრობა გეგმავს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების სიმბოლურ ფასად პრივატიზაციას. დაცვის მხარის განცხადებით, ის ფაქტი, რომ ბრალდების მიერ მოწმეებისადმი დასმული კითხვები შეეხებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად პრივატიზებას, მიუთითებს ბრალდების მხრიდან ამ გარემოებაზე გარკვეული არგუმენტებას გამყარებაზე . დაცვი მხარეს მტკიცებულების დართვით ცდილობს გააბათილოს ბრალდების მხარის მოსალოდნელი მტკიცება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ და დაამტკიცოს, რომ სახელმწიფოს შეუძლია, მის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაცია განახორციელოს არათუ საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ, არამედ სიმბოლურ ფასადაც კი. შესაბამისად, ბრალდებულების ქმედებებში დანაშაულებრივი ნიშნები არ იკვეთება.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარის აზრით, შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან დავის საგანია ის, რომ წინასწარ შეთანხმებულ ფასად მოხდა ქონების გაყიდვა და არა საბაზრო ფასზე ნაკლებად გაყიდა თუ არა კონკრეტული ქონება სახელმწიფომ. ბრალდების მხარის გაცხადებით, დაცვის მხრიდან მსგავსი

შუამდგომლობის დაყენება ემსახურება პროცესის გაჭიანურებას, რადგან არსებობს კანონი სახელმწიფოს მხრიდან ქონების პრივატიცების ფასთან დაკავშირებით და დაცვის მხარეს შეეძლო, კანონის დართვა მოეთხოვა საქმეზე მტიცებულების სახით.

განჩინება: მოსამართლემ გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტები და შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

5. რადგან ცეზარ ჩოჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ხშირად ხდებოდა პროცესის გადადება, საქმის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა მისი საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის თაობაზე.

ბრალდების მხარის პოზიცია: შუამდგომლობას დაეთანხმა ბრალდების მხარეც.

განჩინება: მოსამართლემ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა ცეზარ ჩოჩელის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის შესახებ .

ბ. ბრალდების მხარე:

1. ბრალდებამ დააყენა შუამდგომლობა, ცალკე წარმოებად გამოყოფილიყო ილია ანთაძის და გრიგოლ მორჩილაძის საქმე, ვინაიდან მათთან მიმდინარეობდა განრიდების შესახებ მოლაპარაკებები.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვა დაეთანხმა შუამდგომლობას.

განჩინება: მოსამართლემ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, საქმე დაუბრუნდება პროკურორს განრიდების გაფორმების მიზნით.

მოწმეთა ჩვენებები

ა. ბრალდების მხარის მოწმეები:

დაიკითხა ბრალდებულ გრიგოლ მორჩილაძის პარტნიორი, მათ კომპანიას ჰქონდა საბანკო სესხი “ბანკ ქართუში”. მოწმემ განაცხადა, რომ გიორგი მორჩილაძე დაიბარეს ფინანსურ პოლიციაში და უთხრეს, რომ სქემის მიხედვით უნდა მოქცეულიყვნენ. კერძოდ, კომპანიას უნდა ეღიარებინა სახელმწიფო ვალი, შედეგად სახელმწიფო

წაიღებდა აქტივებს და კომპანია ვეღარ დაფარავდა საბანკო სესხს. მოგვიანებით ეკონომიკის სამინისტროდან მოხდებოდა დაბალ ფასად ქონების შესყიდვა იმავე პირების მიერ სხვა შპს-ს სახელით. მოწმემ განაცხადა, რომ შეწინააღმდეგებას აზრი არ ჰქონდა. მოწმემ დაადასტურა, რომ ყველაფერი სქემის მიხედვით მოხდა. მისივე განცხადებით, პროცედურების განხორციელება ბრალდებულმა გრიგოლ მორჩილაძემ ითავა.

ბრალდების მხარის სხვა მოწმემ, გრიგოლ მორჩილაძის მეგობარმა დაკითხვისას განაცხადა, რომ ეკონომიკის სამინისტროსთან ნასყიდობის ხელშეკრულება მის სახელზე დარეგისტრირებულ შპს-სთან გაფორდა, თუმცა მას რეალურად თანხა არასოდეს აუღია. მოწმემ განაცხადა, რომ ამ საკითხებს ილია ანთაძე აგვარებდა. ბრალდების მხარის რამდენიმე მოწმე იგივე გარემოებებს იხსენებს, არც ერთ მათგანს თანხა რეალურად არ აუღია, დარიცხული თანხა სრულად გადასცეს გრიგოლ მორჩილაძეს.

დაიკითხა გრიგოლ მორჩილაძის კიდევ ერთი პარტნიორი. აღნიშნულ მოწმეს დაუკავშირდა შემოსავლების სამსახურიდან ვინმე მამუკა ლაშხია, რომელმაც უთხრა, რომ კომპანიას არ უნდა დაეფარა ბანკის სესხი, „ბანკი ქართუს“ დაზარალების მიზნით . ამისთვის კომპანიას უნდა ეღიარებინა არარსებული ვალი სახელმწიფოს წინაშე, რის შემდეგაც მოხდებოდა წილების გაყიდვა აუქციონის წესით, შესაბამისად ბანკის სესხის დაფარვა აღარ მოხდებოდა. დაპირების მიხედვით, პარტნიორებს ქონება მოგვიანებით სრულად დაუბრუნდებოდათ უკან ეკონომიკის სამინისტროსთან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების გზით. მოწმემ განაცხადა, რომ აღნიშნულის თაობაზე ესაუბრა გრიგოლ მორჩილაძესაც. მისივე განცხადებით, ადგილი ჰქონდა მის მიმართ მუქარასაც. მოწმე თავად მივიდა შემოსავლების სამსახურში და იქვე დეკლარაციებში ციფრების იმგვარად შეცვლეს, რომ კომპანიას გაუჩნდა სახელმწიფოს მიმართ დავალიანება. მას შემდეგ, რაც კომპანიამ სახელმწიფოს მიმართ ვალი არ დაფარა, წილები აუქციონის წესით გაიყიდა. მყიდველი ეკონომიკის სამინისტრო იყო, რომელმაც მოგვიანებით დაუბრუნდა ნასყიდობის ხელშეკრულებით თავდაპირველ მესაკუთრეებს. დაიკითხა იდენტურ სქემაში მონაწილე ბრალდებულ ილია ანთაძის კომპანიის ბუღალტერი, რომელმაც განაცხადა, რომ 2011 წლის ოქტომბერში საგადასახადო პორტალი დაიბლოკა, გახსნის შემდგომ კი კომპანიას სახელმწიფოს წინაშე ჰქონდა 4 მილიონამდე ვალი. მოწმის განცხადებით, სინამდვილეში კომპანიას დავალიანება არ ჰქონია.

დაიკითხა ბრალდებულ ნუგზარ საჯაიას კომპანიის მეწილე, რომელმაც თითქმის იდენტური სქემა გაიხსენა. კომპანიას ჰქონდა ფინანსური პრობლემები, ბანკის ვალები, დანაშაულებრივ სქემაში ჩართვით მათი პრობემები გარკვეულწილად გადაიჭრებოდა, ვინაიდან ბანკის ვალის გადახდა აღარ მოუწევდათ. ყველაფერი სქემის მიხედვით განხორციელდა, კომპანიას გაუჩნდა 5 მილიონამდე დავალიანება, მოწმის განცხადებით, ვალის ოდენობა ხელოვნურად გაზრდილი იყო. დავალიანება საჯაიას თანხმობით და მონაწილეობით გაჩნდა. მოწმემ განაცხადა, რომ შეთანხმების თანახმად, ქონება გასხვისების შემდეგ კვლავ მათ დაუბრუნდებოდათ. მისივე გაცხადებით, სქემაში ჩართვასთან დაკავშირებით საჯაიას წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა უშედეგოდ.

დაიკითხა, ასევე, კომპანიის პარტნიორი. მისი განცხადებით, მასთან მივიდა ილია ანთაძე (ბრალდებული) და გადასცა მ.ლ-ს (შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი) ნათქვამი, რომ კომპანიას უნდა ეღიარებინა არარსებული ვალი სახელმწიფოს წინაშე, რის შემდეგაც ქონება გადავიდოდა ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაში, შედეგად არ მოხდებოდა „ბანკი ქართუს“ საბანო სესხი, რითაც ბანკი დაზარალდებოდა.
მოწმეს მ.ლ-მ (შემოსავლების სამსახურის თანამშრომელმა) უთხრა, რომ წინააღლდეგობის შემთხვევაში, გვერდზე შენობიდან დაელაპარაკებოდნენ (იგულისხმება პროკურატურა). მეწილეები დათანხმდნენ სქემაში მონაწილეობას, თუმცა რეალურად ვალი არ არსებობდა. დეკლარაციებში ცვლილება თავად მამუკა ლაშხიას შეჰქონდა.

ბრალდების მხარის მოწმეებად დაიკითხნენ სხვა კომპანიის მეწილეებიც, რომლებიც იგივე გარემოებებზე საუბრობენ. მათი მოქმედების სქემა მსგავსი შემთხვევების იდენტურია .

მოწმეებად დაიკითნენ ბრალდებული ვასილ ჩიგოგიძის მეგობრები, რომლებმაც ჩიგოგიძის თხოვნით დაარეგისტრირეს კომპანიები. აღნიშნულმა კომპანიებმა კი ეკონომომიკის სამინისტროსთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინეს ის ქონება, რომელიც, სქემის მიხედვით, ვასილ ჩიგოგიძემ ვალის აღიარების გზით გადასცა სახელმწიფოს.

მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა. საქმეზე განაჩენი არ დამდგარა.

6. ჩვენი დაკვირვება

პროცესი რამდენჯემე გადაიდო დაცვის მხარის ბრალით. ხშირად ბრალდებულები ან მათი დამცველები არ ცხადებოდნენ სასამართლო პროცესებზე. მოსამართლემ მოუწოდა ბრალდებულ ცეზარ ჩოჩელს და და ნიკანორ მელიას სასამართლოში გამოცხადების თაობაზე, ვინაიდან ამით ეჭვქვეშ აყენებდნენ მათ მიმართ გამოყენებული აღკვეთი ღონისძიების ეფექტურობის საკითხს და შესაძლებელს ხდიდნენ უფრო მკაცრი ღონისძიების გამოყენებას. დაცვის მხარე თავისი ქმედებებით, ფაქტობრივად, უარს ამბობდა სწრაფი მართლმსაჯულების უფლების გამოყენებაზე.

მართალია, პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს სწრაფ მართლმსაჯულებისუფლებაზე, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადოდ მომზადებისათვის, თუმცა მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს სასამართლოს რესურსები და არ ხდებოდეს მისი არამიზნობრივი გამოყენება.

პროცესის მიმდინარეობისას რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა, რომელიც მხარეთა შეჯიბრებითობას ხელყოფდა, არ გამოვლენილა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა ეძლეოდათ, წარმოედგინათ არგუმენტები და მტკიცებულებები, განეხორციელებინათ საპროცესო მოქმედებები და დაეცვათ საკუთარი ინტერესები.